# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 აპრილი პარასკევი 2014

№069 (14 290) ფასი 80 თეთრი


80 აპრილში ლელო იუბილარია

## დღეს ევროტურნირების წილისყრაა 14 საათიდან...

CHAMPIONS LEAGUE · EUROPA LEAGUE

# ვალენსია!

ევროპალიგა. საპასუხო მეოთხედფინალები



5

პაკო ალკასერმა (მარჯვნივ) ჰეთთრიკი შეასრულა



8

შაბათს გვარდიოლასა (მარცხნივ) და კლოპის დუელია

## გერმანული კლასიკო ბუნდესლიგაში



9

## ევროპული უქმეების მთავარი მარგალიტი

ენფილდზე ლივერპული-სიტია

## სამიანით მესამეზე

ევროლიგაზე გიორგი შერმადინის „ოლიმპიაკოსმა“ ბოლო წამზე ვასილის სპანულისის მიერ ჩაგდებული სამქულიანით აართვა ჯგუფში მესამე ადგილი „მოსისხლე მტერ“ „პანათინაიკოსს“ - 68:65. ქართველმა ცენტრმა 14 წუთში 2 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა.

ევროლიგის ტოპ-16-ის ბოლო ტურის დარჩენილი მატჩები დღეს გაიმართება, „პარტიზანთან“ მოგების შემთხვევაში მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“ მეოთხედფინალისტებს შეუერთდება.



## შაბათიდან ჟურნალ ლელო WEEK-ში წაიკითხავთ

- სპეციალისტების მოსაზრებას მარადიულ თემაზე - მესი თუ რონალდო?
- ინტერვიუს ფეხბურთიდან წასულ გიორგი შაშიაშვილთან;
- ჯანო ანანიძის საინტერესო ფრაზებს;
- კონსტანტინე გოგიშვილის „ფიქრებს ოკეანის გალმიდან“ - ქართული ფეხბურთის ბნელი მხარე - ქაობისპირული;
- ჰოლანდიურ გამოცდილებას - „ვიტესი“ „ჩელსია“?
- ვიწყებთ ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებთა წარდგენას;
- წარმოგიდგენთ აგრეთვე რაგბიში მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტო-ქე ტონგას და სხვა.

# პრიორიტეტები, ვალდებულებები და სხვა...

| I_VI–ადგილები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჭ | ბურთები გაშ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 25 | 17 | 4 | 4 | 56 | 18 | 55 |
| 2 | ზესტაფონი | 25 | 14 | 4 | 7 | 33 | 16 | 46 |
| 3 | სიონი | 25 | 12 | 6 | 7 | 33 | 25 | 42 |
| 4 | ჩიხურა | 25 | 11 | 6 | 8 | 42 | 38 | 39 |
| 5 | მეტალურგი | 25 | 10 | 6 | 9 | 28 | 29 | 36 |
| 6 | გურია | 25 | 11 | 0 | 14 | 26 | 35 | 33 |

| შინ | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჭ | ბურთები გაშ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 13 | 9 | 1 | 3 | 28 | 11 | 28 |
| 2 | ზესტაფონი | 13 | 8 | 3 | 2 | 21 | 8 | 27 |
| 3 | მეტალურგი | 12 | 7 | 4 | 1 | 18 | 6 | 25 |
| 4 | გურია | 12 | 8 | 0 | 4 | 17 | 9 | 24 |
| 5 | ჩიხურა | 13 | 7 | 2 | 4 | 25 | 17 | 23 |
| 6 | სიონი | 12 | 5 | 2 | 5 | 16 | 15 | 17 |

| სტუმრად | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჭ | ბურთები გაშ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 12 | 8 | 3 | 1 | 28 | 7 | 27 |
| 2 | სიონი | 13 | 7 | 4 | 2 | 17 | 10 | 25 |
| 3 | ზესტაფონი | 12 | 6 | 1 | 5 | 12 | 8 | 19 |
| 4 | ჩიხურა | 12 | 4 | 4 | 4 | 17 | 21 | 16 |
| 5 | მეტალურგი | 13 | 3 | 2 | 8 | 10 | 23 | 11 |
| 6 | გურია | 13 | 3 | 0 | 10 | 9 | 26 | 9 |



2014 წლის 26 თებერვალი. დინამო-სიონი 1:2. ჯაბა უგულავას (№10) გააქვს გამარჯვების გოლი დინამოს კარში
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

| VII–XII ადგილები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჭ | ბურთები გაშ | ქ |
| 7 | დილა | 25 | 9 | 8 | 8 | 34 | 26 | 35 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 25 | 10 | 5 | 10 | 32 | 32 | 35 |
| 9 | ტორპედო | 25 | 9 | 5 | 11 | 25 | 36 | 32 |
| 10 | სპარტაკი | 25 | 7 | 4 | 14 | 22 | 33 | 25 |
| 11 | ზუგდიდი | 25 | 6 | 6 | 13 | 15 | 33 | 24 |
| 12 | მერანი | 25 | 5 | 4 | 16 | 18 | 43 | 19 |

| შინ | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჭ | ბურთები გაშ | ქ |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 1 | 5 | 21 | 13 | 22 |
| 8 | დილა | 13 | 5 | 4 | 4 | 21 | 14 | 19 |
| 9 | სპარტაკი | 12 | 5 | 2 | 5 | 12 | 13 | 17 |
| 10 | ზუგდიდი | 12 | 4 | 4 | 4 | 9 | 13 | 16 |
| 11 | მერანი | 12 | 4 | 2 | 6 | 12 | 16 | 14 |
| 12 | ტორპედო | 13 | 3 | 4 | 6 | 11 | 18 | 13 |

| სტუმრად | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჭ | ბურთები გაშ | ქ |
| 7 | ტორპედო | 12 | 6 | 1 | 5 | 14 | 18 | 19 |
| 8 | დილა | 12 | 4 | 4 | 4 | 13 | 12 | 16 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 12 | 3 | 4 | 5 | 11 | 19 | 13 |
| 10 | სპარტაკი | 13 | 2 | 2 | 9 | 10 | 20 | 8 |
| 11 | ზუგდიდი | 13 | 2 | 2 | 9 | 6 | 20 | 8 |
| 12 | მერანი | 13 | 1 | 2 | 10 | 6 | 27 | 5 |

**წინა** ტურისგან განსხვავებით, ამჯერად ყველა მატჩი ერთსა და იმავე დღეს (თანაც - ორივე ექვსეულში) ჩატარდება და ასეთი „სიამოვნება" სეზონის ბოლომდე მხოლოდ ერთხელ (დასკვნით ტურში) იქნება.

რას უნდა ველოდოთ ამ ტურისაგან? განსაკუთრებულს, არაფერს: ზემოთ, ფაქტობრივად, ყველაფერი გარკვეულია და „დინამოს" ჩემპიონობაც ხომ დროის ამბავია. თითქმის გარკვეულია ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობაც (ისე, როგორც, ევროტურნირებზე მოასპარეზე კიდევ ერთი გუნდის).

დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა ქვედა ექვსეულშიც, სადაც „ვითომ-ინტრიგა" კი არის შემორჩენილი, მაგრამ პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხის ქვეშ მყოფებსაც შეუძლიათ, რომ უკვე... მომავალ სეზონზე იფიქრონ: 2014-15 წლების ჩემპიონატში უმაღლეს ლიგას, ხომ, ძალიან დიდი ალბათობით, 16 (შესაძლოა, 18) გუნდი „დაამშვენებს"! ანუ, სწორედ ამ მოჩვენებით ინტრიგას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ალბათ, ჩვენც „ავყვებით", თუმცა, როგორც წინა ტურის მიმოხილვაში დავააანონსეთ, არ არის გამორიცხული, ქვედა ექვსეულის მატჩებს „ლელომ" საერთოდ ბოიკოტი გამოუცხადოს - ეგ კი არა, რამდენიც გნებავთ, იმდენი ადამიანი გვირჩევს, რომ ზედა ექვსეულის მატჩებსაც იგნორირება გავუკეთოთ: თქვენც თავს იტყუებთ და გაზეთის მკითხველიც, ნებსით თუ უნებლიეთ, შეცდომაში შეგყავთო! მით უფრო, რომ უახლოესი 2-3 ტურის განმავლობაში ისეთი მატჩები უნდა ჩატარდეს, ამა თუ იმ გუნდს გარკვეული „ვალდებულების" შესრულებამ რომ უნდა მოუწიოსო.

აი, ასეთ რჩევებსაც ძალიან ხშირად ვისმენთ; თუმცა, ტურის 6 მატჩიდან, ჩვენი ვარაუდით, ერთი-ორი მაინც ხომ ტარდება სპორტული პრინციპების სრული დაცვით, და იმ გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელებს გარჯა რატომ უნდა დავუკარგოთ? მოკლედ, მართლაც ძალიან უცნაური გამოდგა ეს საიუბილეო ჩემპიონატი...

## დინამო–სიონი

პირველი ეტაპი 4:1, 1:2

დისკვალიფიკაცია: **ირაკლი ძარია** (დინამო) - **ზვიად ლობჟანიძე** (სიონი)

ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო-არენაზე" გაიმართება, სადაც თითქმის ჩემპიონმა „დინამომ" ამ სეზონის უდავო აღმოჩენას, „სიონს" უნდა უმასპინძლოს. აღსანიშნავია, რომ **მალხაზ ჟვანიას** გუნდს ერთობ გადატვირთულ გრაფიკში მოუწია ასპარეზობამ: სათასო მატჩების ჩათვლით, „დინამომ" 14 დღეში 5 შეხვედრა ჩაატარა და აქედან 4 მოიგო. ერთი კი ფრედ დაამთავრა. თანაც, „დინამოსგან" მხოლოდ „სავალდებულო" გამარჯვებას კი არ ითხოვენ: გუნდმა სანახაობრივი თამაშიც უნდა აჩვენოს!

ასეა თუ ისე, ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა ეს ურთულესი „მონაკვეთი" წარმატებით დასძლია და, რაც მთავარია, საკუთარ მოედანზე გამარჯვებებსაც... დაეჩვია! ჰო, სულ ახლახან არ იყო, „დინამომ" თავის ისტორიაში (საქართველოს ჩემპიონატს ვგულისხმობთ) ანტირეკორდი რომ დაამყარა? შეგახსენებთ, რომ „დინამომ" ზედიზედ სამი მატჩი წააგო „დინამო-არენაზე" და ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა სწორედ „სიონთან" იყო.

26 თებერვალს გამართული ის მატჩი, ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ ორივე გუნდის ქომაგებს: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ეს იყო „სიონის" პირველი გამარჯვება „დინამო-არენაზე"! საერთოდ კი, ბოლნისურ კლუბს მანამდე მხოლოდ და მხოლოდ ოთხჯერ ჰყავდა თბილისის „დინამო" დამარცხებული: ორჯერ - **თემურ მახარაძის** თავკაცობით, თითო-თითოჯერ კი - **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ყიფიანის** ხელმძღვანელობით. და აი, ამ მწვრთნელთა რიცხვს **ლადო ბურდულიც** შეუერთდა, რომლის დამოძღვრილ „სიონსაც", ძალიან დიდი ალბათობით, ამ ზაფხულს ევროტურნირებზე ვიხილავთ!

... 26 თებერვლის მატჩში ძირითადი მოვლენები ბოლო 20 წუთის განმავლობაში განვითარდა; ჯერ იყო და მართლაც უჩვეულო ფაქტი ვიხილეთ: მოედნის ცენტრის სიახლოვესთან მყოფმა **ჩისკომ**, იმის მაგივრად, რომ „ფეირ პლეის" წესები დაეცვა და ბურთი მეტოქისათვის დაებრუნებინა, ეს ბურთი... მეტოქის კარში ზუსტად გაგზავნა! ამას ორივე გუნდის ფეხბურთელებს შორის დაახლოებით ერთი-ორწუთიანი „საქმეების გარჩევა" მოჰყვა და რის მერეც არანაკლებ კურიოზული გოლიც ვიხილეთ: მასპინძლები გაუნძრევლად დადგნენ და ისე შესცქეროდნენ კარისკენ მარტოდმარტო დაძრულ **გიორგი კახელიშვილს**, რომელმაც ბურთი ცარიელ კარში შეაგორა!

აი, რაც შეეხება ამ მატჩის უკანასკნელ გოლს, ამ შემთხვევაში ვინც რა უნდა თქვას, მართლაც სასიამოვნოდ საცქერი გამოდგა: 22 წლის **ჯაბა უგულავამ** მოხდენილად შეძლო ბურთის დინამოელთა კარში გადაგზავნა და გამარჯვების მომტანი ამ გოლით, „სიონს", ფაქტობრივად, ზედა ექვსეულში მოხვედრაც დაუბევა!..

## ზესტაფონი–ჩიხურა

პირველი ეტაპი 0:1, 1:1

დისკვალიფიკაცია: **თედორე გრიგალაშვილი** (ზესტაფონი)

„ჩიხურას" ჩემპიონატში უკვე ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ ამ სეზონში საჩხერელთა გუნდი ძირითად აქცენტს თასის გათამაშებაზე აკეთებს. თანაც ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ამ პრიორიტეტის არჩევამ თითქმის 100 პროცენტით გაამართლა: გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფრუიძის** დამოძღვრილი გუნდი ხომ, ფაქტობრივად, ფინალშია გასული, ხოლო მეორე ფინალისტი თუ „დინამო" იქნება, ეს ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ „ჩიხურა" ზედიზედ მეორედ იასპარეზებს ევროტურნირებზე...

„ზესტაფონსაც", ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს ევროპალიგაზე თამაში; თუმცა, იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდი მეორე ადგილსაც არავის დაუთმობს და, რაც მთავარია, ვიდრე თეორიული შანსი იარსებებს, „დინამოსაც" შეეცილება „საჩემპიონო რბოლაში". არადა, „დინამოსთან" ჩამორჩენა, ერთი შეხედვით, ბევრიც არ არის (7 ქულა), მაგრამ ისიც სათქმელია, რომ დარჩენილ შვიდ ტურში ძნელად წარმოსადგენია, მოქმედმა ჩემპიონმა ამხელა უპირატესობა გაფლანგოს.

„ზესტაფონისათვის" თუ რომელიმე გუნდზე ითქმის, უხერხული მეტოქეაო, სწორედ „ჩიხურაა": საქართველოს ორგზის ჩემპიონს მხოლოდ ერთადერთხელ ჰყავს დამარცხებული საჩხერელთა გუნდი და ისიც, 8 წლის წინათ...

## გურია–მეტალურგი

პირველი ეტაპი 3:1, 1:3

დისკვალიფიკაცია: **გიგა ჭეიშვილი** (გურია)

პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტური იყო, „გურიამ" შინ „ჩიხურას" რომ მოუგო და ამ გამარჯვებით ლანჩხუთელთა გუნდმა ზედა ექვსეულში მოხვედრაც გაიფორმა! სეზონის წინ, მოვლენების ასეთ განვითარებას მართლაც ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, მაგრამ ლანჩხუთელებმა მონდომების ხარჯზე მაინც შეძლეს თავიანთთვის მართლაც მაქსიმალური შედეგის ჩვენება, თუმცა, ზედა ექვსეულში ადგილის დაბევების შემდეგ „გურიამ" ზედიზედ 4 მატჩი წააგო და ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ **დავით მახარაძის** გუნდმა ევროპალიგის საგზურისათვის იბრძოლოს.

სამაგიეროდ, ლანჩხუთელები იმას მაინც შეეცდებიან, რომ თავისზე ბევრად უფრო „წელში გამართულ" მეტოქეებს დააკარგვინონ ქულები და საერთოდაც, ეს წარუმატებელი სერია შეწყვიტონ. ისე კი, მართლაც ძნელია, გუნდს მაქსიმალური კონცენტრაციით თამაში მოსთხოვო, მაშინ როცა სეზონის ბოლომდე დარჩენილ მატჩებში არანაირი მოტივაცია არა აქვს; დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა „მეტალურგშიც": წინა ტურში, „სიონთან" მარცხის მერე **ვარლამ კილასონიას** გუნდი უკვე 6 ქულით დაშორდა ევროზონას.

თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ზამთრის პაუზის მერე „მეტალურგის" მწვრთნელ-ფეხბურთელებისათვის არც არავის „დაუგეგმავს", გინდა თუ არა, ევროტურნირების საგზური უნდა მოიპოვოთო!

დაბოლოს, „გურიასთან" დაკავშირებულ კიდევ ერთ ინტრიგაზეც: სეზონი ფინიშს უახლოვდება და „გურიას" არც ერთ მატჩში ფრედ არ უთამაშია! აი, ასეთი უკომპრომისო გუნდი ჰყავთ ლანჩხუთელებს...

## ვითომ-საინტრიგო ტურნირზეც...

იმ შემთხვევაში, თუ XXV ჩემპიონატის რეგლამენტი არ დაირღვევა, ქვედა ექვსეულში ამ ტურის ყველა მატჩი უდიდეს ინტრიგას გვპირდება; თუმცა, ზემოთაც აღვნიშნეთ და უკვე, ალბათ, ყველა შევეგუეთ იმ ფაქტს, რომ ამ სეზონის მინურულს საფიქრალ-სანერვიულო არც ერთ გუნდს ექნება არ კი, ბატონო, უმაღლესი ლიგის ორი კლუბი („დინამო" და „ზესტაფონი") კატეგორიული წინააღმდეგია მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა რომ გაიზარდოს.

ასეთივე პოზიცია აქვს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მედიის გარკვეულ ნაწილს (საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს, ინტერნეტპორტალს „მსოფლიო სპორტსა" და გაზეთ „ლელოს"), თუმცა, როგორც ამბობენ, თითქმის 99 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ამ სეზონის ბოლოს უმაღლეს ლიგას არავინ დატოვებს! არადა, კიდევ ვიმეორებთ: ყველაფერი რეგლამენტის მიხედვით რომ წარმართულიყო, მართლაც საინტერესო ტური გველოდა.

აი, თუნდაც „დილა"-"სპარტაკის" მატჩი, სადაც მასპინძლები ალბათ, ყველა ღონეს იხმარდნენ მართლაც დანავსული და წარუმატებელი საშინაო სერიის შესაწყვეტად - გორელთა გუნდს უკვე ოთხი თვეა საკუთარ მოედანზე არ გაუმარჯვია; ან, თუნდაც, მორიგი „მეგრული დერბი", რომელიც... ქუთაისში უნდა გაიმართოს (თანაც - უმაყურებლოდ) და სადაც ერთმანეთს მწვრთნელის რანგში პირველად დაუპირისპირდებიან ყოფილი თანაგუნდელები და საერთოდაც, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში გამორჩეული ფეხბურთელები **ზურაბ იონანიძე** და **გიორგი დარასელია**; ისიც საინტერესოა, შეძლებს თუ არა ქუთაისის „ტორპედო" ზედიზედ მეოთხე... საგარეო მატჩის მოგებას და ასე შემდეგ...

**გია ტუხაშვილი**

### I–VI ადგილები

**12.04. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე — 16:00**

**გურია** – **მეტალურგი**

ურთიერთშეხვედრები: 2: +1 =0 -1 (4:4)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| გურია-სიონი | 1:2 (სჩ) |
| ზესტაფონი-გურია | 1:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-გურია | 3:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-გურია | 2:0 (სჩ) |
| გურია-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| სიონი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| მეტალურგი-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 4:1 (სთ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 0:1 (სჩ) |

**12.04. თბილისი. დინამო არენა — 18:00**

**დინამო (თბ)** – **სიონი**

ურთიერთშეხვედრები: 50: +42 =3 -5 (127:23)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ)-დილა | 1:0 (სთ) |
| ჩიხურა-დინამო (თბ) | 1:1 (სჩ) |
| დინამო (თბ)-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-გურია | 3:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 4:1 (სთ) |
| გურია-სიონი | 1:2 (სჩ) |
| სიონი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| ჩიხურა-სიონი | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-სიონი | 2:1 (სთ) |
| სიონი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |

**12.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე — 18:00**

**ზესტაფონი** – **ჩიხურა**

ურთიერთშეხვედრები: 8: +1 =3 -4 (5:10)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-მერანი | 2:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 (სჩ) |
| ზესტაფონი-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 3:0 (სჩ) |
| გურია-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| გურია-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| ჩიხურა-დინამო (თბ) | 1:5 (სჩ) |
| სპარტაკი-ჩიხურა | 2:3 (სჩ) |
| სიონი-ჩიხურა | 1:1 (სთ) |
| დინამო (თბ)-ჩიხურა | 0:1 (სუ3.) |

### VII–XII ადგილები

**12.04. ქუთაისი. ტორპედო. უმაყურებლოდ — 16:00**

**მერანი** – **ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები: 8: +3 =1 -4 (9:9)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 1:0 (სჩ) |
| მერანი-სპარტაკი | 0:0 (სჩ) |
| დილა-მერანი | 1:2 (სჩ) |
| მერანი-შუქურა | 0:3 (სთ. ტეძ.) |
| მერანი-დილა | 1:2 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 1:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:2 (სჩ) |
| ზუგდიდი-გურია | 2:0 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |

**12.04. გორი. თ. ბურჯანაძე — 16:00**

**დილა** – **სპარტაკი**

ურთიერთშეხვედრები 6: +1=3 -2 (6:8)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ)-დილა | 1:0 (სთ) |
| ტორპედო-დილა | 0:4 (სჩ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| დილა-მერანი | 1:2 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 2:0 (სთ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 1:1 (სჩ) |
| მერანი-სპარტაკი | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 0:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |

**12.04. მცხეთა. მცხეთა პარკი — 16:00**

**ვიტ ჯორჯია** – **ტორპედო**

ურთიერთშეხვედრები: 36: +8 =14 -14 (32:41)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 1:0 (სჩ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:1 (სჩ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| ტორპედო-დილა | 0:4 (სჩ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:1 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 0:2 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 2:0 (სთ) |
| ჩიხურა-ტორპედო | 1:2 (სჩ) |

პუბლიკაციის კვალდაკვალ

# ზესტაფონმა თბილისის ზღვაზე მშენებლობა შეაჩერა

რამდენიმე დღის წინათ „ლელო" წერდა, რომ „ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** თბილისის ზღვის ტერიტორიაზე სანვრთნელ ბაზას აშენებდა, სადაც ორი სტანდარტული მოედანი, მცირე ზომის ტრიბუნები და საჭირო სათავსოები მოეწყობოდა. პლუს, იქვე იგეგმება საფეხბურთო აკადემიის დაფუძნებაც, სადაც ბავშვები უფასოდ ივარჯიშებენ. ჩანაფიქრის თანახმად, ზაფხულში საქართველოს ორგზის ჩემპიონის განკარგულებაში უკვე ორი თბილისური მოედანი უნდა ყოფილიყო.

სამუშაოები რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო და მას ქართულ-უკრაინული კომპანია „ლაუნს ოფ ჯორჯია" აწარმოებდა. კოკაიამ ზესტაფონში მშვენიერი კომპლექსი უკვე მოაწყო და ახლა უკვე სურს, რომ „ზესტაფონს" აღმოსავლეთ საქართველოშიც არანაკლები მოსამზადებელი პირობები ჰქონოდა, სადაც კლუბი ამერული მატჩებისთვის მოემზადება. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ქართული გუნდი ბაზას სხვა ქალაქში აშენებდა.

„ლელო" წერდა, რომ თბილისის ზღვაზე მშენებლობა შეჩერდა. იმედი, რომ „ზესტაფონის" ახალ პროექტის განხორციელება განახლდებოდა, ჯერჯერობით, არ მართლდება.

„სამწუხაროდ, მშენებლობის გაგრძელებას ჯერ ვერ ვახერხებთ, რადგან შესაბამისი ინსტანციებისგან თანხმობა არ მიგვიღია. საქმე ისაა, რომ მშენებლობის პროცესმა გვაჩვენა, პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანა აუცილებელი იყო - ასე ხშირად ხდება და ეს ბუნებრივია. ნებართვის მისაღებად, თბილისის ერთი მმართველი ორგანოდან მეორეში გვგზავნიან და ამასობაში ძვირფასი დრო იკარგება. უკვე სამ კვირაზე მეტია, ასეთ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ და არ ვიცით, რა ვქნათ. კომპანია „ლაუნს ოფ ჯორჯიას" წარმომადგენლები იძულებულები გახდნენ, სამუშაოები შეეჩერებინათ და ტერიტორიიდან ტექნიკა გამოეყვანათ. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ნებართვას არ მოგვცემენ. არადა, არა მგონია, კიდევ ერთი თანამედროვე ბაზის აშენება ქვეყნისთვის საზიანო საქმე იყოს", - ამბობს კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძე**.

გასაგებია, რომ მშენებლობას და პროექტის შეცვლაზე ნებართვას გარკვეული დრო და პროცედურები გააჩნია და ეს აუცილებელია. ამას ვერავინ გადაახტება. მაგრამ როდესაც მშენებლობის უფლება მოპოვებულია, წესით, დეტალების შეთანხმებაც შესაძლებელი უნდა იყოს.

ცოტა სხვა მაგალითებია, მაგრამ ინვესტორს ეხება: თავის დროზე „სამტრედიას" პრეზიდენტს, **ტარიელ ჩაჩუას** ფული ჰქონდა და მშობლიურ ქალაქში 10-ათას მაყურებელზე გათვლილი კოხტა, ევროპული სტანდარტების სტადიონის აშენება სურდა. მაგრამ დანგრეული სტადიონის პრივატიზაციაზე ჯერ საკმაოდ აწვალეს, ბოლოს კი უარი უთხრეს. მერე კი თავადაც გაუჭირდა და სამტრედიას მოწესრიგებული სტადიონი მხოლოდ 2012 წელს ეღირსა - თუმცა, ჩაჩუას გაცილებით შთამბეჭდავი და ამბიციური სტადიონის პროექტი ჰქონდა.

ასევე შეემთხვა „თბილისის" პრეზიდენტ **თემურ უგულავას**, რომელიც ავლაბარში სტადიონის კეთილმოწყობას და 7,5-ათასიანი ტრიბუნების აშენებას გეგმავდა. სანამ მის წინადადებაზე იფიქრეს, იმსჯელეს და გადაწყვიტეს, უგულავა ფეხბურთიდან წავიდა და ამ პროექტმაც „ჩაილურის წყალი" დალია. თავის დროზე, ორივესთვის ხელი რომ შეეწყოთ, მათი ფეხბურთიდან წასვლის მიუხედავად, ეს სტადიონები ქართულ ფეხბურთს მაინც დარჩება.

ასე რომ, სანამ არის ინვესტორი, მან ხელისშეწყობა და თანადგომა დროულად უნდა იგრძნოს.

**მერაბ მამულაშვილი**

*რედაქციისაგან: ვფიქრობთ, მკითხველი მიხვდებოდა, რომ თბილისის ზღვაზე „ზესტაფონის" ბაზის მშენებლობის შეჩერების მიზეზი არის პროექტის დარღვევა, რაც ბუნებრივია, დაუშვებელია. პროექტში ცვლილება ან ოფიციალურად უნდა შევიდეს, ან მშენებლობა ისე უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს, როგორც ეს დამტკიცებულია პროექტით. სხვა გამოსავალი არ არის. პრობლემის კანონიერად მოგვარებასაც თავისი წესი და ვადები აქვს. ასე რომ, უკანონობაში ხელშეწყობას გამართლება არ აქვს.*



ზესტაფონის ბაზის მშენებლობა დაიწყო და შეჩერდა

სპორტული არბიტრაჟი

# ბაბუნაშვილის ჩივის, აფციაურის...




შოთა ბაბუნაშვილი

სპორტული ტრიბუნალი მორიგი დავების განხილვას იწყებს. საქმე კვლავ „ზესტაფონს" ეხება - ამჯერად, კლუბს მისი ყოფილი კაპიტანი **თორნიკე აფციაური** და ნახევარმცველი **შოთა ბაბუნაშვილი** ედავებიან. პირველი მათგანი დღეს მარტვილის „მერანში" თამაშობს, მეორე - ბოლნისის „სიონში".

არბიტრაჟმა საქმე წარმოებაში 10 აპრილს მიიღო. ფეხბურთელები მოითხოვენ, რომ სპორტულმა სასამართლომ „ზესტაფონს" თანხის გადახდა დააკისროს. საქმე ისაა, რომ ორივე ფეხბურთელი კონტრაქტის განყვეტამდე გარკვეულ გასამრჯელოს ელოდა. გუნდიდან მათი წამოსვლის შემდეგ საკითხი პრობლემური გახდა, შედეგი არც მოლაპარაკებამ გამოიღო. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტ **ჯაბა მუჯირის** თქმით, „ზესტაფონი" ორივეს სთავაზობდა, გასამრჯელოს ნახევარზე დათანხმებულიყვნენ, რაზეც აფციაური ყაბულს იყო, მაგრამ ბაბუნაშვილმა უარი განაცხადა. საბოლოოდ, ნახევარიც ვერ მიიღეს და იძულებულები გახდნენ, რადიკალური ნაბიჯი გადაედგათ.

ფაქტობრივად, ისე გამოდის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაფუძნებული სპორტული არბიტრაჟი „ზესტაფონისა" და მის ყოფილ მოთამაშეთა დავების განსახილველად შეიქმნა.

შეგახსენებთ, რომ პირველად არბიტრაჟმა **გია ჭანტურიას** საკითხი განიხილა და დაადგინა, რომ „ზესტაფონმა" თავის ყოფილ მეკარეს კონტრაქტი უსაფუძვლოდ გაუწყვიტა და კლუბს ფინანსური სასჯელი დაუწესა.

„ზესტაფონსა" და **თორნიკე გორგიაშვილს** შორის დავა კი გასულ წელს დასრულდა. იმერულ გუნდს საქმე სასამართლოში ჰქონდა შეტანილი და სფფ-ს საფეხბურთო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას აპროტესდებდა, რომელმაც ფეხბურთელს თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა. მაგრამ კლუბის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, არგუმენტი კი ასეთი იყო - საქმის განხილვის უფლებამოსილება სფფ-ში დაფუძნებულ ტრიბუნალს გააჩნიაო.

შეგახსენებთ, რომ წლეულს, „ზესტაფონმა" კიდევ ერთი საქმე წააგო: მარტში არბიტრაჟმა გუნდის მეკარეთა ყოფილი მწვრთნელის **თამაზ ოდიკაძის** პრეტენზია განიხილა და დაადგინა, რომ „ზესტაფონმა" კონტრაქტი მასაც ფიფას წესების უგულებელყოფით გაუწყვიტა და ამ შემთხვევაშიც კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლუდის სარგებელი ჯანმრთელობისთვის - სასმელი, რომელსაც ოსტეოპოროზისა და ინფარქტის პრევენცია შეუძლია







ლუდის მთავარი აქტიური კომპონენტი სპირტია და ამგვარად გავლენა, რომელსაც ის ახდენს ჯანმრთელობაზე ლუდსაც ეხება. ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ლუდის ზომიერი მოხმარება დაკავშირებულია გულ–სისხლძარღვთა დაავადებების, ინსულტის და შემეცნებითი შესაძლებლობების შესუსტების რისკის შემცირებასთან. 2005 წელს განხორციელებულმა იაპონურმა კვლევამ დაადგინა, რომ ლუდში ალკოჰოლის დაბალი შემცველობა შესაძლოა მას ანიჭებდეს ანტიკანცეროგენულ თვისებებს.

ლუდის საფუარი ცნობილია როგორც საკვები ნივთიერებების მდიდარი წყარო; ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ლუდი შესაძლოა შეიცავდეს საკვები ნივთიერებების მნიშვნელოვან რაოდენობას, მათ შორის მაგნიუმს, სელენს, კალიუმს, ფოსფორს, ბიოტინს, ქრომს და B ჯგუფის ვიტამინებს. ზოგჯერ ლუდს „თხევად პურსაც" უწოდებენ. ზოგიერთი წყაროს თანახმად, გაფილტრული ლუდი კარგავს მასში შემავალი საკვები ნივთიერებების დიდ ნაწილს.

იზოჰუმულონები ქიმიური ნაერთებია, რომლებიც განაპირობებენ ლუდის მწარე გემოს და მიეკუთვნებიან იზო–ალფა მჟავების ნაერთების კლასს.

კვლევების სერიამ ცხოველური მოდელების გამოყენებით აჩვენა, რომ ლუდს შეუძლია კარცინოგენეზის და ოსტეოპოროზის პრევენცია. ლუდი სისხლის პლაზმას ანიჭებს მნიშვნელოვან დამცავ მექანიზმს დამჟანგავი სტრესის მიმართ; იზოჰუმულონებს, სვიისგან მიღებულ მწარე ნივთიერებებს, შეუძლიათ სიმსუქნის და მე–2 ტიპის დიაბეტის პრევენცია (ხოლო დაავადების შემთხვევაში მდგომარეობის შემსუბუქება), ლიპიდური ცვლის გაუმჯობესება და ათეროსკლეროზის რისკის შემცირება. შემდგომი კვლევებია საჭირო იზოჰუმულონების გარდა სხვა კომპონენტების დასადგენად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ლუდის აღნიშნულ სასარგებლო გავლენაზე.

2013 წლის მაისში ვისკონსინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღე შავი ფერის ლუდის ერთი კათხის მიღებას შეუძლია სისხლის შედედების და ინფარქტის პრევენცია. შევიწროებული სისხლძარღვების მქონე ძაღლებზე ჩატარებულ კვლევაში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძაღლებში, რომლებსაც ასმევდნენ მუქი ფერის ლუდს სისხლის შედედების (კოაგულაციის) უნარი მცირდებოდა იმ ძაღლებთან შედარებით, რომლებსაც სხვა სახის ლუდს ასმევდნენ. საინტერესო კვლევაა! R







ინფრასტრუქტურა

# ბათუმის სტადიონი: დაპირება მეშვიდე!

## ახლა მაინც მოჰყვება სიტყვას საქმე?



ბათუმის დინამოს სტადიონზე მოგონებებიღა შემოგვრჩა

ბათუმის სტადიონი საფეხბურთო სამყაროს დიდი ტკივილი იყო და დღემდე ასეთად რჩება. გუშინ ეს ამბავი **გიგი უგულავამაც** ახსენა - ახალმა ხელისუფლებამ, სხვა პროექტებთან ერთად, ბათუმში სტადიონის მშენებლობაც შეაჩერა და გუნდი ანგისას ბაზის ამარა დატოვაო.

„ლელოს" ბათუმის „დინამოს" სპორტული დირექტორი **მალხაზ მახარაძე** დაუკავშირდა: „გასაოცარი განცხადება იყო, რადგან აჭარის დედაქალაქი სწორედ მათ დატოვეს სტადიონის გარეშე. 2006 წელს დაგვინგრიეს და, რატომღაც, ეს ამბავი ორი წლით ადრე გაქცეულ ასლან აბაშიძეს დააბრალეს. სინამდვილეში, ასლანის დროს აშენებული სტადიონის დასავლეთ ტრიბუნის ქვეშ მდებარე გასახდელებში წყალი ჩავიდა და ეს მხარე ხელახლა ასაშენებელი გახდა. მაგრამ აღარ მოხერხდა - 2006 წელს ბათუმის ბულვარის განახლება დაიწყეს და მას საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი შეეწირა. ეს სწორედ მათ დროს მოხდა. არა მხოლოდ სტადიონი, იქ 25 საფეხბურთო ჯგუფი მოქმედებდა და, ფაქტობრივად, აჭარის ფეხბურთი სერიოზული მასაზრდოებელი წყაროს გარეშე დატოვეს. რასაც უგულავა ამბობს, იქ კაფსულა მათ დროს კი ჩაავდეს, ვითომ მშენებლობას იწყებდნენ, მაგრამ პროექტი თავად შეაჩერეს და მას შემდეგ 6 წელი მაინც გავიდა. მიკვირს, ვის რას აბრალებენ? სხვათა შორის, გადაწყვეტილებაც გაუაზრებლად მიიღეს, რადგან სტადიონის აშენება ადლიაში, ნავავსაყრელის ადგილზე სურდათ, რაც დიდი სისულელე იქნებოდა. იმიტომ, რომ სულ მშვიდი ამინდიც რომ ყოფილიყო, იქ მაინც ქარია და ფეხბურთი არ ითამაშება. ხელს რა უშლიდათ? თუ აშენება სურდათ, ძველის დანგრევისთანავე ახლის მშენებლობა უნდა დაეწყოთ".

უკვე მერვე წელია, ბათუმის „დინამო" მეტოქეებს სხვა ქალაქებში მასპინძლობს. იყო შემთხვევა, გუნდმა საშინაო შეხვედრა... ზესტაფონშიც კი ჩაატარა. დიდი მშენებლობების მიუხედავად კი, ბათუმის სტადიონს მხოლოდ სიტყვიერად „აშენებდნენ".

ინტერნეტში ამ დაპირებების არასრული სია მოვიძიეთ. პირველი დაპირება 2007 წელს გაისმა. 2010 წლის 16 მაისს მოაწყვეს მაკეტის პრეზენტაციაც, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა დაესწრნენ. გვახარეს, რომ პროექტის ღირებულება 40 მილიონი იყო და მას ბათუმის ერთ-ერთ გარეუბანში ჰოლანდიური კომპანია 2011 წელს ააშენებდა.

„მშენებლობას ჰოლანდიელები ორ თვეში დაიწყებენ. ტრიბუნები 12 ათას კაცზე იქნება გათვლილი და სახელად „ბათუმი არენა" ერქმევა. ასევე იგეგმება სტადიონის გარშემო სასტუმროების მშენებლობა, რადგან ეს უეფას ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა", - მაშინ ნათქვამი ეს ლამაზი სიტყვები ყურს ჭრიდა.

2010 წლის 18 აგვისტოს უკვე თურქულ-იაპონური ფირმა TAGO-ს არქიტექტორ **ტაცუია იამამოტოს** პროექტი ამოტივტივდა, რომელიც წინა პროექტზე ნაკლებხარჯიანი იყო.

2011 წლის 2 იანვარს ბათუმში მყოფმა **მიხეილ სააკაშვილმა**, სახალხო სეირნობისას, ზღვისპირა ქალაქის კიდევ უფრო გალამაზებაზე ილაპარაკა და ეროვნული ნაკრების პლეიმეიკერ **ჯანო ანანიძეს** დაჰპირდა - ბათუმში თანამედროვე ოლიმპიური სტანდარტების შესაბამის სტადიონს ავაშენებთო.

2011 წლის 4 აპრილს, სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ, ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ბრძანა, რომ კონკრეტული პროექტების განხორციელება დაიწყებოდა: „ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრა სპონტანურად, მისი ინიციატივით დაიგეგმა. ვისაუბრეთ ქართული ფეხბურთისთვის აუცილებელ და საჭირბოროტო საკითხებზე. პრეზიდენტმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ სახელმწიფოს დახმარებით უახლოეს მომავალში გავაუმჯობესოთ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა. ბათუმში დაგეგმილია ორი ახალი სტადიონის მშენებლობა".

მოლოდინი კვლავ უსაფუძვლო გამოდგა. ორს ვინ ჩივის, ბათუმელებს ერთი სტადიონიც დღემდე ოცნებად ექცათ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილ მინისტრ **ლადო ვარძელაშვილსაც** ჰქონდა იმედი, რომ ბათუმში ოლიმპიურ სტადიონს 2012 წელს წამოჭიმავდა, რაც 2011 წლის 17 დეკემბერს, „ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა. 2012 წლის 29 აპრილს კი ბათუმში სააკაშვილის მორიგი დაპირება გაისმა.

ინტერნეტში ახლაც იპოვით 2012 წლის 3 სექტემბერს გავრცელებულ ინფორმაციას. ეს ის პერიოდია, როცა საქართველომ აზერბაიჯანს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში ჩართვა შესთავაზა:

„უეფას სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე სპორტული მოედანი ადლიის დასახლებაში აშენდება. სტადიონი, რომელიც ქართველმა არქიტექტორმა დავით გოგიჩაიშვილმა დააპროექტა, ორიგინალური დიზაინის იქნება და 35 ათას მაყურებელს დაიტევს. მშენებლობას საფუძველი საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმის სპორტსკოლის აღსაზრდელებთან ერთად ჩაუყარა. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ახალი სტადიონი მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობას შეძლებს, მის მშენებლობაზე კი ასობით ადგილობრივი კადრი დასაქმდება. საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა ბათუმში წელიწად-ნახევარში დასრულდება".

...და არაფერიც არ აშენებულა! ამას ვინღა ჩივის, ბულვარში მდებარე ლამაზი არენის შემდეგ „დინამოს" სავარჯიშო მოედანი, ეგრეთ წოდებული „ბე-ენ-ზეც" გაასხვისეს და ბათუმურ სტადიონებზე ნათელი მოგონებებიღა შემოგვრჩა.

წლეულს, სტადიონის მშენებლობას მეშვიდედ შეგვპირდნენ. მახარაძის თქმით, ბოლო ერთი წელია, ამ საკითხზე ლაპარაკობენ, მაგრამ რა გამოვა აქედან, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ახალი პროექტი

# ფუტსალი სკოლაში

საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ სასკოლო სპორტის ფედერაციასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც სკოლის მოსწავლეთა ფუტსალის ტურნირებში მონაწილეობას ითვალისწინებს. შედეგად, საფუძველი ჩაეყარა სასკოლო ფუტსალის ჩემპიონატს.

ტურნირმა უჩვეულოდ დიდი ინტერესი გამოიწვია: განაცხადი სულ 95-მა საჯარო სკოლამ წარადგინა - თბილისის 73-მა, რუსთავის 12-მა და მცხეთის 10-მა. მონაწილე მოსწავლეთა საერთო რაოდენობამ კი 1000-ს მიაღწია. ასეთი მასობრივი ტურნირი საქართველოში იშვიათობაა.

გათამაშებამ სტარტი 30 მარტს აიღო და ბავშვთა დაცვის დღეს, 1-ელი ივნისს დასრულდება. თამაშები თბილისში, წეროვანსა და რუსთავში ჩატარდება.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

**XXI ტური**

A ზონა

| | |
|---|---|
| იმერეთი-გაგრა | 2:4 |
| სქური-ადელი | 2:0 |
| კახეთი-დინამო 2 (თბ) | 2:5 |
| კოლხეთი (ფ)-ჩხერიმელა | 4:0 |
| ალგეთი-საპოვნელა | 0:3 |

**12 აპრილი**

მეშახტე-შუქურა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 19 | 15 | 2 | 2 | 45-10 | 47 |
| 2. შუქურა | 18 | 14 | 3 | 1 | 59-15 | 45 |
| 3. დინამო 2 (თბ) | 20 | 12 | 3 | 5 | 59-26 | 39 |
| 4. გაგრა | 20 | 10 | 6 | 4 | 41-23 | 36 |
| 5. საპოვნელა | 19 | 10 | 3 | 6 | 34-19 | 33 |
| 6. მეშახტე | 18 | 7 | 5 | 6 | 31-29 | 26 |
| 7. ალგეთი | 19 | 8 | 2 | 9 | 29-32 | 26 |
| 8. ჩხერიმელა | 19 | 6 | 4 | 9 | 24-41 | 22 |
| 9. სქური | 20 | 6 | 2 | 12 | 22-42 | 20 |
| 10. იმერეთი | 20 | 5 | 3 | 12 | 21-45 | 18 |
| 11. ადელი | 20 | 4 | 3 | 13 | 21-56 | 15 |
| 12. მერცხალი | 19 | 4 | 2 | 13 | 17-39 | 14 |
| 13. კახეთი | 19 | 4 | 2 | 13 | 22-48 | 14 |

**B ზონა**

| | |
|---|---|
| სასკო-დილა 2 | 2:1 |

**11 აპრილი**

სამტრედია-ლოკომოტივი
ჭიათურა-კოლხეთი (ხ)
ბახმარო-სულორი
მაჭახელა-საბურთალო
ბეთლემი-სტუ
დინამო (ბთ)-სამგურალი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 20 | 16 | 2 | 2 | 46-18 | 50 |
| 2. დინამო (ბთ) | 20 | 15 | 1 | 4 | 44-12 | 46 |
| 3. მაჭახელა | 20 | 13 | 5 | 2 | 34-12 | 44 |
| 4. სასკო | 21 | 13 | 2 | 6 | 40-21 | 41 |
| 5. ჭიათურა | 20 | 10 | 2 | 8 | 33-30 | 32 |
| 6. ლოკომოტივი | 20 | 9 | 2 | 9 | 48-31 | 29 |
| 7. სამგურალი | 20 | 8 | 4 | 8 | 34-38 | 28 |
| 8. საბურთალო | 20 | 7 | 4 | 9 | 30-27 | 25 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 20 | 7 | 4 | 9 | 27-43 | 25 |
| 10. ბეთლემი | 20 | 7 | 3 | 10 | 22-28 | 24 |
| 11. სტუ | 20 | 6 | 2 | 12 | 32-45 | 20 |
| 12. დილა 2 | 21 | 5 | 4 | 12 | 24-39 | 19 |
| 13. ბახმარო | 20 | 1 | 7 | 12 | 23-57 | 10 |
| 14. სულორი | 20 | 2 | 2 | 16 | 11-47 | 8 |

ლეგიონერი

# თარგამაძე ილიჩევეცის ძირითადში დააბრუნეს



დავით თარგამაძე

**დავით თარგამაძე** ისევ მარიუპოლის „ილიჩევეცის" ძირითადი გუნდის ფეხბურთელია - ამის შესახებ თავად გუნდის თავკაცმა **ნიკოლაი პავლოვმა** განაცხადა. შეგახსენებთ, რომ თარგამაძე დონეცკის „შახტარის" ფეხბურთელია და „ილიჩევეცში" იჯარით თამაშობს. ზამთარში მისი ტრანსფერი რუსულ „ურალში" პოლიტიკური მოვლენების გამო ჩაიშალა, უკრაინაში რუსული ინტერვენციის პერიოდში ქართველ ფეხბურთელს რუსეთის ვიზა არ მისცეს.

ჩვენებური იძულებული იყო, „ილიჩევეცში" დარჩენილიყო, სადაც დუბლებში გადაისროლეს. უკრაინულ კლუბში ამას ხსნიდნენ გუნდთან ერთად შეკრების არგავლით და ფორმიდან ამოვარდნით.

და აი, პავლოვმა განაცხადა, რომ ქართველი ნახევარმცველი უკვე დააბრუნა გუნდში და შესაძლოა, თარგამაძემ „ვოლინთან" მატჩში სასტარტო შემადგენლობაშიც ითამაშოს.

„სამშაბათიდან თარგამაძე გადაყვანილია პირველ გუნდში. ახლა ის მორიგი ტურისთვის ემზადება სხვებთან ერთად. მან სამი თამაში ითამაშა ახალგაზრდულ გუნდში, ასე თუ ისე ფორმაშია და შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. მე რეგულარულად ვესწრები დუბლების თამაშებს და განსაკუთრებით ვაკვირდებოდი დავითის პროგრესს. რაც ვნახე და შემდეგ თავად ფეხბურთელთან გასაუბრების შემდეგ გადავწყვიტე - დროა. თარგამაძე თავისუფლად შეიძლება იხილოთ „ვოლინთან" შეხვედრის სასტარტო შემადგენლობაში", - განაცხადა „ილიჩევეცის" თავკაცმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფიფას რეიტინგი

# საქართველო ასეულს მიღმა

10 აპრილს გამოქვეყნდა ფიფას ახალი რეიტინგი. **თემურ ქეცბაიას** ნაკრებმა ერთი თვის განმავლობაში (უთამაშებლად) ოთხი ადგილი დაკარგა და მოწინავე ასეულიდან გავარდა.

საქართველოს ნაკრები 303 ქულით მსოფლიოში 103-ე პოზიციაზეა. ჩვენს გუნდს 30 ქულა დააკლდა. ჩვენს გუნდს ისეთი ნაკრებები უსწრებენ, როგორიც ნიგერია, ეთიოპია, ბენინი, ბოტსვანა და სხვაა.

მოწინავე სამეულში ცვლილებაა - პორტუგალიის ნაკრები 1245 ქულით მესამეზე გადავიდა, ხოლო აქამდე მესამეზე მყოფი არგენტინა მე-6 ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი კი ისტორიაში ასე მაღლა არ ყოფილა - 85-ე პოზიცია **ბერტი ფოგტსის** გუნდისთვის პიკია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ატლეტიკო-ბარსელონა. გამოხმაურება


„ატლეტიკოს“ ფეხბურთელებმა ნახევარფინალის საგზური დაიმსახურეს

# მსაჯების გარეშე ძნელია, არა?

## ვინ აკლდა ბარსელონას?

მადრიდის „ატლეტიკომ“ შესანიშნავ სტილში სძლია „ბარსელონას“ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსის“, „ბაიერნსა“ და თანაქალაქელ „რეალს“ შეუერთდა. პირველად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ერთი ქალაქის ორი წარმომადგენელი 2003 წელს მოხვდა - „მილანი“ და „ინტერი“, მეორედ 2009 წელს - „ჩელსი“ და „არსენალი“, ეს კი მესამე შემთხვევაა.

აღსანიშნავია, რომ „ათლეტები“ ისტორიაში პირველად გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. „ატლეტიკო“ 27-ე კლუბია, რომელიც ამ ეტაპზე მოხვდა. მხოლოდ ერთხელ ნახევარფინალში ამ 27 გუნდიდან 11-ია გასული და აქედან ოდენ ერთმა შეძლო ფინალში გასვლა - „ლევერკუზენმა“ 2002 წელს.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „ბარსელონა“ მეოთხედ გადაეყარა ჩემპიონთა ლიგაზე ესპანურ გუნდს და მესამედ წააგო. იქამდე კატალონიელებს „ვალენსიამ“ (1999/2000 წლების სეზონში) და „რეალმა“ (2001/2002) სძლიეს, ხოლო თავად ერთადერთხელ იმავე „რეალს“ აჯობეს (2010/2011).

„ძალიან ბედნიერები ვართ. უაღრესად ძლიერ მეტოქეს ვძლიეთ, რომელსაც დიდი და საამაყო ისტორია აქვს. ახლა კი ძალები უნდა აღვიდგინოთ, რადგან კვირას მორიგი მნიშვნელოვანი მატჩია. პირველი 20 წუთი ბრწყინვალედ ჩავატარეთ, მაგრამ მერე „ბარსა“ ათამაშდა და საქმე გაგვირთულდა. თუმცა მაინც ვიმარჯვეთ. ჩემს ფეხბურთელებს მოტივირება არც სჭირდებათ, მათ ისედაც იციან, რომ ბოლომდე უნდა დაიხარჯონ. აღფრთოვანებული ვარ მათი შემართებით და მიხარია, რომ ერთად ასე კარგად ვმუშაობთ. ადრიანმა პირველ ტაიმში დიდებულად ითამაშა. მას შანსი ჰქონდა და აგრეთვე კოკესა და დავიდ ვილიას გადააწოდა ჩინებული პასები. ძალიან მიხარია, რომ ადრიანმა ფორმა აღიდგინა, ახლა ის სულ სხვა მოთამაშეა და შეტევაში დამატებითი ვარიაციების საშუალებას გვაძლევს“ - განაცხადა „ატლეტიკოს“ წარმატების მთავარმა შემოქმედმა **დიეგო სიმეონემ**.

„ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელი **ხერარდო მარტინო**: „ყველა შედეგს აქვს თავისი მიზეზი. როდესაც „ატლეტიკო“ გვჯობდა, გოლიც გაიტანა, ხოლო როცა ჩვენ გვქონდა შანსები, ისინი ვერ გამოვიყენეთ. ჩვენი მხრიდან მხოლოდ ერთი გოლი შეცვლიდა მატჩის მსვლელობას. ბევრ სირთულეს შევხვდით, რადგან მეტოქე თავს კარგად იცავდა და ბევრი მოთამაშე ჰყავდა საჯარიმოს სიახლოვეს, რამაც სივრცე ფაქტობრივად არ დაგვიტოვა. გარდა ამისა, „ვისენტე კალდერონზე“ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გულშემატკივრობაა, რაღაცით ეს ატმოსფერო არგენტინაში სტადიონებზე არსებულ გარემოს ჰგავს. პირველ 20 წუთში დავიჩაგრეთ, მაგრამ მერე მომენტები გვქონდა და ვწუხვარ, რომ ვერ გამოვიყენეთ. ახლა დარჩენილ ტურნირებზე უნდა გადავერთოთ, ლა ლიგაში და კოპა დელ რეიზე მნიშვნელოვანი მატჩები გველოდება“.

ისე, ვახსენოთ ერთიც, „სამეფო გუნდის“ ყოფილი ვარსკვლავი **გუტი**, როგორც ჩანს, „ბარსელონასთან“ ძველ დაპირისპირებებს ისევ ვერ ივიწყებს და იგი სოციალურ ქსელში ამ მატჩის შედეგს ცინიკური რეპლიკით გამოეხმაურა: „მსაჯების გარეშე ძნელია, არა?“.

დაბოლოს, კიდევ ერთი სტატისტიკური ინფორმაცია - „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ წარმატების გათვალისწინებით, ესპანეთს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში უკვე 24-ჯერ ჰყავს კლუბი გაყვანილი და 4-ით უსწრებს ინგლისს. მესამე-მეოთხე ადგილებზე იტალია და გერმანია არიან 13-13 ნახევარფინალის საგზურით.

გიორგი პაპაბაძე

**P.S. „ბარსელონასა“ და მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, თუ საუკეთესომ არა, ლიონელ მესიმ ამ შეხვედრაში კატალონიელთა მეკარე პინტოზე მხოლოდ 1,5 კილომეტრით მეტი ირბინა - „ბარსას“ მესი აკლდა.**

● ამბები


ჟოზე მოურინიო „ვილა პარკზე“

## მოურინიო დაჯარიმდა

ლონდონის „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** 8 ათასი ფუნტით დააჯარიმეს. ამის მიზეზი ისაა, რომ პორტუგალიელმა სპეციალისტმა „ასტონ ვილასთან“ წაგებული მატჩისას **რამირესის** გაძევების გამო ზედმეტად აგრესიულად გამოხატა უკმაყოფილება, მინდორზე შეიჭრა და მატჩის მთავარი არბიტრი **კრის ფოი** გააკრიტიკა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია მოურინიოს ბევრად უფრო მკაცრად დასჯის თუ მსგავსი ფაქტი განმეორდება.

## რონალდოს ტრავმა სახუმარო არ არის

მადრიდის „რეალმა“ დაადასტურა, რომ **კრიშტიანო რონალდოს** ბარძაყის ტრავმა აქვს და დაზიანება იმაზე სერიოზულია, ვიდრე თავიდან ჩანდა. ახლა პორტუგალიელი დეტალურ გამოკვლევებს ჩაიტარებს და ექიმები საბოლოო დიაგნოზს ამის მერე დასვამენ. თუმცა ესპანური პრესის ცნობით, „სამეფო გუნდს“ კოპა დელ რეიზე „ბარსელონასთან“ ფიდილი ლიდერის გარეშე მოუწევს და რონალდო ალბათ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველ მატჩსაც გამოტოვებს. ამასობაში, „რეალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა **რობერტო კარლოსმა** გაიხსენა, რომ ასეთი დაზიანება მასაც ჰქონდა და რონალდოს სიფრთხილისკენ მოუწოდა, ზედმეტი დატვირთვისა და გარისკვის შემთხვევაში ტრავმა შესაძლოა გამიზეზდესო. ეს კი რასაკვირველია პორტუგალიელის ინტერესებში არ შედის, მით უმეტეს კარსმომდგარი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ და რონალდოს საკლუბო დონეზე რამდენიმე მნიშვნელოვან მატჩზე მართლაც მოუწევს უარის თქმა, რათა ტრავმა ბოლომდე მოუშუშდეს.

გიორგი პაპაბაძე



კრიშტიანო რონალდო ელ კლასიკოს გამოტოვებს

● ევროპალიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# პაკოს და მესტალიას სასწაული

## ესეც კვარტეტი: ვალენსია, სევილია, იუვენტუსი და ბენფიკა

**ბენფიკა-ალკმაარი 2:0 (1:0)**

**გოლები:** 1:0 როდრიგო (39), 2:0 როდრიგო (71)

**ბენფიკა (4-3-3):** არტური - სილვიო (4. ალმეიდა), ლუიზაო, გარაი, სიკეირა - სალვიო, ფეიშა (64. პერესი), გომეში - როდრიგო, კარდოსო, სულეიმანი (70. მარკოვიჩი)

**ალკმაარი (4-3-3):** ალვარადო - მ. იოჰანსონი, გუველეუ, ვუიტენსი, ვიერგევერი - გუდელი, ორტისი (79. ჰენრიკსენი), ელმი - ბერგჰუისი (77. ჰაიე), ა. იოჰანსონი, ბეერენსი (77. გუდმუნდსონი)

**გაფრთხილება:** სალვიო, გომეში - ბერგჰუისი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9-4 (7-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 40 000

**იუვენტუსი -ლიონი 2:1 (1:0)**

**გოლები:** 1:0 პირლო (4), 1:1 ბრიანი (18), 2:1 მარკიზიო (68)

**იუვენტუსი (3-1-4-2):** ბუფონი - კასერესი, ბონუჩი, კიელინი - პირლო - ისლა, ვიდალი (75. პოგბა), მარკიზიო, ასამოა - ტევესი (78. ჯოვინკო), ვუჩინიჩი (59. ლორენტე)

**ლიონი (4-4-2):** ლოპეში - ტოლისო, კონე, უმტიტი, ბედიმო - მალბრანკი (76. დანიკი), ფერი, გონალონი, მვუემბა - ბრიანი (70. ნიე), ლაკაზეტი (70. გომისი)

**გაფრთხილება:** ბონუჩი, მარკიზიო - უმტიტი, გონალონი

**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 7-13; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 5-7 (2-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 40 710

**სევილია-პორტუ 4:1 (0:1)**

**გოლები:** 1:0 რაკიტიჩი (5-პენ), 2:0 ვიტოლო (26), 3:0 ბაკა (29), 4:0 გამეირო (79), 4:1 კვარეჟმა (92)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტო - კოკე, პარეხა, ფასიო, ნავარო - კარისო, მბია - რეიესი (56. ფიგეირაში), რაკიტიჩი (86. ტროხოვსკი), ვიტოლო - ბაკა (69. გამეირო)

**პორტუ (4-1-2-3):** ფაბიანო - დანილო (64. კელვინი), რეიესი, მანგალა, ალექს სანდრო - დეფური - ედუარდო (46. კინტერო), ერერა- ვარელა (46. რიკარდო), ლილასი, კვარეჟმა

**გაფრთხილება:** კოკე, ბაკა - მანგალა, ვარელა, კვარეჟმა, რიკარდო

გაძევება: კოკე (54)

**კუთხური:** 2-10; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 10-17 (7-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 38 000

ყველაზე თანაბარ და დაძაბულ ორთაბრძოლას „სანჩეს პისხუანზე“ ელოდნენ, თუმცა **უნაი ემერის** ბიჭები მალევე დაწინაურდნენ „პორტუსთან“ შეხვედრაში. **კარლოს ბაკა** ცოტა საკამათო სიტუაციაში წააქციეს საჯარიმოში და უკვე მეხუთე წუთისთვის **ივან რაკიტიჩმა** პორტუგალიურ გუნდთან ჩამორჩენა აღმოფხვრა. 26-ე წუთზე **ვიქტორ მაჩინმა,** იმავე **ვიტოლომ** ორამდე გაზარდა „სევილიას“ უპირატესობა, ხოლო ბაკამ მალე მეექვსე გოლი გაიტანა ევროთასებზე.

მეორე ტაიმში თამაშის მსვლელობა შეიცვალა, რაშიც როლი მასპინძელთა მარჯვენა მცველის, **კოკეს** გაძევებამაც ითამაშა, ჩვეულად ათამაშდა **რიკარდო კვარეჟმა**, თუმცა „სევილია“ მედგრად იდგა და ბოლოს იქით გაიტანა - შეცვლაზე შესულმა ფრანგმა **კევინ გამეირომ** ანგარიში გამანადგურებელი გახადა. კვარეჟმას ბრწყინვალე გოლი კი ოდენ პრესტიჟისა იყო. „სევილიამ“ ორი მატჩის ჯამში 4:2 იმარჯვა და ნახევარფინალში დამსახურებულად გავიდა.

„მესტალიაზე“ არავინ ელოდა, რომ „ვალენსია“ შეძლებდა სამბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას „ბაზელთან“, თუმცა „ღამურებმა“ მედგრად იბრძოლეს და 0:3 ამოქაჩეს. 38-ე წუთზე **პაკო ალკასერმა პერეირას** ჩაწოდებული საჯარიმოში მკერდით ჩამოიღო და ანგარიში გახსნა. 42-ე წუთზე **ედუარდო ვარგასმა** კუთხურიდან ჩამოწოდებულს თავურით მიუჩინა შვეიცარიელთა კარში ადგილი. 70-ე წუთზე ვარგასმა დაუგორა ალკასერს და ამ უკანასკნელმაც პირველი მატჩის ჩამორჩენა აღმოფხვრა. დაინიშნა დამატებითი ტაიმები. 101-ე წუთზე სტუმრებს ჩილელი **დიასი** გაუძევეს, ხუთ წუთში კი მას არგენტინელი **საურო** მიაყოლეს. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა: ჯერ პაკო ალკასერმა ახლო მანძილიდან გაიტანა და ჰეთთრიკი შეასრულა, შემდეგ **ხუან ბერნატმა** საბრალო „ბაზელს“ მეხუთეც გაუტანა.



“ვალენსიას“ ფორვარდმა პაკო ალკასერმა (მარჯვნივ) ჰეთთრიკი შეასრულა

**ვალენსია-ბაზელი 5:0 (3:0 დდ) (0:3)**

**გოლები:** 1:0 პ. ალკასერი (38), 2:0 ვარგასი (42), 3:0 პ. ალკასერი (70), 4:0 პ. ალკასერი (113), 5:0 ბერნატი (118)

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა -პერეირა (110. პიატი), ფუეგო, მატიო (82. რ. კოშტა), ბერნატი - ფეგული, პარეხო, კეიტა, კარტაბია (76. ჟონასი) - პ. ალკასერი, ვარგასი

**ბაზელი (4-4-2):** ზომერი - ჯაკა, შარი, საურო, საფარი (116. ემბოლო) - ელ ნენი, დიე, დიასი, დეგენი (61. ალიჯი) - ფრაი, დელგადო (53. სიო)

**გაფრთხილება:** ფეგული, კეიტა, ვარგასი, ალკასერი, ბერნატი, გუაიტა - საფარი, ელ ნენი, შარი, დიასი, საურო, ჯაკა

**გაძევება:** დიასი (101), საურო (106)

**კუთხური:** 16-6; **ჯარიმა:** 12-23; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 22-5 (13-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 32 000

**დღეს, საქართველოს დროით 14 საათიდან უეფა ნახევარფინალების კენჭისყრას ჩაატარებს - ჯერ ჩემპიონთა ლიგაზე შემორჩენილები გაიგებენ მეტოქეთა ვინაობას, მერე კი ევროპალიგას შემორჩენილი კვარტეტი, რომელიც ყველაზე ბოლოს გაირკვა...**

როცა „იუვენტუს არენაზე“ მე-4 წუთზე **ანდრეა პირლომ** საჯარიმო (უკვე მერამდენე!!!) გაიტანა, არარავის ეგონა, რომ „ლიონი“ რამეს შეძლებდა, თუმცა მე-18 წუთზე **ჯიმი ბრიანმა** მატჩს ინტრიგა შეუნარჩუნა, რომელიც **მარკიზიომ** შორეული დარტყმით (რიკოშეტის დახმარებით) მოკლა - „იუვემ“ ორი მატჩის ჯამში 3:1 მოიგო.

„ბენფიკა“ ერთადერთი გუნდია, რომელიც უპრობლემოდ გავიდა ნახევარფინალში, ჰოლანდიურმა „ალკმაარმა“ მას სათანადო წინააღმდეგობა ვერც ლისაბონში გაუწია. დუბლი შეასრულა ესპანელმა ფორვარდმა **როდრიგომ**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXIII ტურის წინ



„ატლეტიკო“ ჩემპიონი ბოლოს 1996 წელს გახდა, როდესაც დიეგო სიმეონე ამ კლუბში თამაშობდა

# დერბების ტური

## 11 აპრილი

**ოსასუნა-ვალიადოლიდი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** მარკ ბერტრანი (ოსასუნა)

**ტრავმა:** ლოლო, სისი (ორივე ოსასუნა)

ურთიერთშეხვედრები

**სულ 19 თამაში: +7 =9 -3 (24:17)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (4-14) +2 =2 -2 (4-6)

## 12 აპრილი

**სელტა-სოსიედადი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჩაბი პრიეტო, გრანერო (ორივე სოსიედადი)

ურთიერთშეხვედრები

**სულ 36 თამაში: +12 =13 -11 (55:53)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =0 -4 (2-10) +2 =1 -3 (8-12)

**ვილიარეალი-ლევანტე 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბარალი (ლევანტე)

**ტრავმა:** ი. უჩე, დორადო, პაბლო ინიგესი - მ. სისოკო, კამარასა

ურთიერთშეხვედრები

**სულ 17 თამაში: +10 =3 -4 (30:17)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =2 -3 (4-7) +1 =1 -4 (4-9)

**გრანადა-ბარსელონა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბ. ანგულო (გრანადა)

**ტრავმა:** რიკი - პიკე, პუიოლი, ვალდესი, ჯონათან დოს სანტოსი, კუენკა

ურთიერთშეხვედრები

**სულ 5 თამაში: +0 =0 -5 (4:14)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (7-10) +5 =0 -1 (18-5)

**რეალი-ალმერია 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** დანიელ კარვახალი, ჩაბი ალონსო (ორივე რეალი), რაფიტა (ალმერია)

**ტრავმა:** მარსელო, არბელოა, ხედირა, ხესე, კრიშტიანო რონალდო - დუბარბიერი, ჰ. მარტინესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +6 =2 -1 (27:9)**

ბოლო 6 მატჩი

+4 =0 -2 (17-6) +1 =1 -4 (9-14)

## 13 აპრილი

**ბეტისი-სევილია 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლ. რეიესი (ბეტისი)

**ტრავმა:** სალვა სევილია, პერკისი, ხოსე კარო, დიდაკ ვილა, ნოსა იგიებორი, ჩული, ნაჩო, ხავი ტორესი - კრისტოფორო, ჩერიშევი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 35 თამაში: +8 =14 -13 (34:49)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (7-8) +5 =0 -1 (15-6)

**ვალენსია-ელჩე 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** სენდეროსი, დიეგო ალვეში, ვიქტორ რუისი, რ. კოშტა - მანუ დელ მორალი, მანტეკონი, ედუ ალბაკარი, აარონ ნიგესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 1 თამაში: +0 =0 -1 (1:2)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =3 -2 (6-8) +1 =3 -2 (3-5)

**ხეტაფე-ატლეტიკო 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** სამირი, გავილანი, რ. ლაგო, დიეგო კასტრო, მოია - მანკილიო, დიეგო კოშტა, არდა თურანი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 23 თამაში: +4 =7 -12 (17:39)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (6-9) +6 =0 -0 (9-1)

**ესპანიოლი-ვალეკანო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** გალვესი, რაცი (ორივე რაიო ვალეკანო)

**ტრავმა:** ე. მორენო - ზე კასტრო, ხოსე კარლოსი, გალეანო, ხ. ვიერა

ურთიერთშეხვედრები

**სულ 19 თამაში: +10 =5 -4 (37:19)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (6-8) +4 =1 -1 (11-9)

## 14 აპრილი

**ბილბაო-მალაგა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** დუდა, ფლავიო (ორივე მალაგა)

**ტრავმა:** ეკისა, გურპეგი, კიკე სოლა, იბაი გომესი - ველიგტონი, სერხიო სანჩესი, ტისონე

ურთიერთშეხვედრები

**სულ 25 თამაში: +8 =8 -9 (32:34)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =3 -1 (6-5) +4 =0 -2 (11-5)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 32 | 25 | 4 | 3 | 70-22 | 79 |
| 2. ბარსელონა | 32 | 25 | 3 | 4 | 92-26 | 78 |
| 3. რეალი | 32 | 24 | 4 | 4 | 90-32 | 76 |
| 4. ბილბაო | 32 | 17 | 8 | 7 | 55-35 | 59 |
| 5. სევილია | 32 | 15 | 8 | 9 | 59-47 | 53 |
| 6. სოსიედადი | 32 | 14 | 8 | 10 | 54-48 | 50 |
| 7. ვილიარეალი | 32 | 14 | 7 | 11 | 51-38 | 49 |
| 8. ვალენსია | 32 | 11 | 8 | 13 | 44-45 | 41 |
| 9. ლევანტე | 32 | 10 | 10 | 12 | 30-40 | 40 |
| 10. ესპანიოლი | 32 | 11 | 7 | 14 | 35-40 | 40 |
| 11. მალაგა | 32 | 10 | 8 | 14 | 35-40 | 38 |
| 12. ვალეკანო | 32 | 11 | 3 | 18 | 37-68 | 36 |
| 13. სელტა | 32 | 10 | 6 | 16 | 34-47 | 36 |
| 14. ელჩე | 32 | 8 | 11 | 13 | 26-42 | 35 |
| 15. გრანადა | 32 | 10 | 4 | 18 | 29-46 | 34 |
| 16. ოსასუნა | 32 | 9 | 6 | 17 | 28-53 | 33 |
| 17. ვალიადოლიდი | 32 | 6 | 13 | 13 | 32-50 | 31 |
| 18. ხეტაფე | 32 | 8 | 7 | 17 | 29-49 | 31 |
| 19. ალმერია | 32 | 8 | 6 | 18 | 34-60 | 30 |
| 20. ბეტისი | 32 | 5 | 7 | 20 | 28-64 | 22 |

**ბომბარდირები:** 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 25 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო), ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)

**ესპანეთის პრიმერა დივიზიონის 33-ე ტურში ბევრი დერბი გაიმართება, რომელთაგანაც გამორჩეული, რა თქმა უნდა, სევილიური დაპირისპირებაა. ჩემპიონატის სამივე ლიდერს შედარებით იოლი მატჩი ელის და შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ცხრილის თავში არსებული სიტუაცია დიდად არ შეიცვლება...**

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ, „ბარსელონა“ ხასიათის გამოსწორებას გრანადაში ეცდება. მასპინძლებმა ჩემპიონატის ბოლო სამი თამაში წააგეს და გასავარდნ ზონას სახიფათო დისტანციაზე მიუახლოვდნენ. „გრანადას“ ტრავმის გამო **რიკი** არ ეყოლება, რაც საკმაოდ დიდი დანაკლისია. დიდი ხნის წინ დაშავებული მოთამაშეების გარდა, კატალონიელთა ლაზარეთში სხვა არავინ იმყოფება. არის შანსი, რომ „ნუევო ლოს კარმენესზე“ **კარლეს პუიოლმა** ითამაშოს - ყველაფერი მატჩის წინ გაირკვევა.

„რეალი“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ალმერიას“ უმასპინძლებს და მორიგ სამ ქულას აილებს. **კარლო ანჩელოტის** დისკვალიფიკაციის გამო **დანიელ კარვახალი** და **ჩაბი ალონსო** დააკლდება, **კრიშტიანო რონალდო** კი ისევ ტრავმირებულია, თუმცა „ალმერიას“ „სამეფო კლუბი“ ამ დანაკლისის მიუხედავადაც უნდა გაუსწორდეს.

მცირე მადრიდული დერბი ელის „ატლეტიკოს“, რომელიც სტუმრად „ხეტაფეს“ შეხვდება. **კოზმინ კონტრას** გუნდმა ბოლო 17 ტურში მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა და უკვე გასავარდნ ზონაში აღმოჩნდა. 2014 წელს თავისი მეორე გამარჯვების მოპოვება „ალფონსო პერესის“ ბინადრებს ძალიან გაუჭირდებათ, რადგან მიუხედავად მეტოქის გადაღლისა, წყვილის აშკარა ფავორიტი მაინც „როხიბლანკოა“, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული - ისტორიაში მე-10 საჩემპიონო ტიტულამდე „ატლეტიკოს“ 6 გამარჯვება აშორებს. ისევ საეჭვოა **დიეგო კოშტას** და **არდა თურანის** თამაში.

### დერბები

„ბენიტო ვილიამარინზე“ სევილიური დერბი გაიმართება. „ბეტისი“ და „სევილია“ ამ სეზონში ერთმანეთს უკვე სამჯერ შეხვდნენ. უპირატესობას ეს უკანასკნელი ფლობს - „სევილიამ“ თანაქალაქელს ორჯერ მოუგო და ერთხელ დამარცხდა. კიდევ ერთი წაგების შემთხვევაში, „ვერდიბლანკოსი“ სეგუნდას ნევრად უნდა გამოვაცხადოთ. **გაბრიელ კალდერონის** გუნდს ძალიან გაუჭირდება, რადგან „სევილია“ შესანიშნავ ფორმაშია - **უნაი ემერის** ბიჭებმა ბოლო 8 ტურში 7 გამარჯვება მოიპოვეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტურში რამდენიმე დერბი უნდა გაიმართოს. მადრიდული და სევილიური დაპირისპირებების გარდა, ასევე ორი ვალენსიური დერბი გველის. „ვილიარეალი“ „ლევანტეს“ უმასპინძლებს, „ვალენსია“ კი საკუთარ მოედანზე „ელჩეს“ შეხვდება. ეს უკანასკნელი სტუმრად ძალიან ცუდად თამაშობს და წესით, „ლოს ჩემ“ 3-მატჩიანი მოუგებელი სერია სწორედ კვირას უნდა შეწყვიტოს.

ამ სეზონში უკვე მეთერთმეტედ, ტურს ბილბაოს „ატლეტიკის“ თამაში დაასრულებს, რომელიც კვლავ ორშაბათს ითამაშებს. თუ „სევილიამ“ ქულები დაკარგა და „ატლეტიკმა“ მოიგო, **ერნესტო ვალვერდეს** გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს.

**ტატო ბაციკაძე**

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

# ანგულოს პოკერი

**სამივე ჯგუფში სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო. ბოლო ტურის წინ, 6 საგზურიდან მხოლოდ ერთის მფლობელი იყო ცნობილი - „უნიონ ესპანიოლას“ არაფერი ემუქრებოდა. ჩილელები „ინდეპენდიენტე დელ ვალეს“ მასპინძლობდნენ, პარალელურად კი „სან ლორენსო“ და „ბოტაფოგო“ თამაშობდნენ.**

„ინდეპენდიენტეს“ ხელს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა. ჯგუფიდან ეკვადორის კლუბი იმ შემთხვევაში გავიდოდა, თუ პარალელური მატჩი ფრედ დასრულდებოდა, ან „სან ლორენსო“ ვერ შეძლებდა დიდი ანგარიშით მოგებას. საბოლოოდ, ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა.

ჩილეში საოცარი მატჩი გაიმართა, რომელშიც ცხრა გოლი გავიდა. აქედან ოთხი გაიტანა ერთმა ფეხბურთელმა - **დანიელ ანგულომ** საკუთარი გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. შეხვედრის ბოლო გოლი პენალტით **ხუნიორ სორნოსამ** გაიტანა - 4:5. მატჩების 89-ე წუთისთვის, მომდევნო ეტაპზე სწორედ „ინდეპენდიენტე“ გადიოდა, რადგან არგენტინაში „სან ლორენსო“ 2:0-ს იგებდა, რაც საკმარისი არ იყო. სწორედ ამ დროს, მასპინძლებს მხსნელად **იგნასიო პიატი** მოევლინათ, რომელმაც მაურო მატოსის პასი მიიღო და „ბოტაფოგოს“ კარში მესამე გოლი გაიტანა.

„ბოტაფოგოს“ მსგავსად, გავარდა კიდევ ერთი ბრაზილიური გუნდი „ფლამენგო“, რომელმაც საკუთარ მოედანზე მექსიკურ „ლეონთან“ წააგო. ამ ჯგუფში, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ოთხივე გუნდს ჰქონდა. „ბოლივარმა“ ლა პასში „ემელეკს“ 2:1 მოუგო და პირველ ადგილზე გავიდა. მასპინძელთა მხრიდან ერთი გოლი **ხუან კალეხონმა** გაიტანა, რომელიც **ხოსე კალეხონის** ტყუპი ძმა გახლავთ. მეორე საგზური „მარაკანაზე“ გათამაშდა, სადაც „ლეონს“ ფრეც აძლევდა ხელს. პირველ ტაიმში ოთხი გოლი გავიდა, შეხვედრის ბოლოსკენ კი შეტევაში გადასულ „ფლას“ სტუმართა კონტრშეტევა გამოეპარა და **კარლოს პენიამ** მექსიკის ჩემპიონს გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა.

V ჯგუფში ორი საგზური კი თამაშდებოდა, მაგრამ „კრუზეირო“ საკუთარ თავზე იყო დამოკიდებული და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბრაზილიის ჩემპიონი უმოტივაციო „რეალ გარსილასოს“ დაამარცხებდა. ასეც მოხდა - მასპინძლებმა პირველივე ტაიმში სამი უპასუხო გოლი გაიტანეს და 1/8 ფინალში გავიდნენ. „დეფენსორი“ და „უნივერსიდად დე ჩილეს“ თამაში კი ფრედ დასრულდა, რის გამოც მომდევნო ეტაპზე, თანაც პირველი ადგილით, ურუგვაული კლუბი გავიდა, ჩილელები კი ტურნირს დაემშვიდობნენ.

### II ჯგუფი

**უნ. ესპანიოლა-ინდ. დელ ვალე 4:5**

**გოლები:** 1:0 მ. კამპოსი (12), 1:1 დ. ანგულო (12), 1:2 დ. ანგულო (49), 1:3 დ. ანგულო (58), 2:3 მ. კამპოსი (59), 3:3 ფ. ლეონი (66-საკ. კარში), 4:3 გ. კანალესი (73-პენ), 4:4 დ. ანგულო (76), 4:5 სორნოსა (78-პენ)

**სან ლორენსო-ბოტაფოგო 3:0**

**გოლები:** 1:0 ე. ვილიალბა (29), 2:0 ი. პიატი (54), 3:0 ი. პიატი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უნ. ესპანიოლა | 6 | 2 | 3 | 1 | 10-9 | 9 |
| 2. სან ლორენსო | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 3. ინდ. დელ ვალე | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 4. ბოტაფოგო | 6 | 2 | 1 | 3 | 5-7 | 7 |

### V ჯგუფი

**კრუზეირო-რეალ გარსილა[illegible] 3:0**

**გოლები:** 1:0 რიკარდო გულარტი (24), 2:0 ბრუნო როდრიგო (27), 3:0 ჟულიო ბაპტიშტა (42)

**დეფენსორი-უნივ. დე ჩილე 1:1**

**გოლები:** 0:1 რ. ფერნანდესი (39), 1:1 მ. ალონსო (57)

**გაძევება:** ლ. სიველი (90. უნივერსიდად დე ჩილე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეფენსორი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-5 | 11 |
| 2. კრუზეირო | 6 | 3 | 1 | 2 | 13-7 | 10 |
| 3. უნივ. დე ჩილე | 6 | 3 | 1 | 2 | 6-9 | 10 |
| 4. რ. გარსილასო | 6 | 1 | 0 | 5 | 4-13 | 3 |

### VII ჯგუფი

**ბოლივარი-ემელეკი 2:1**

**გოლები:** 1:0 ვ. ფერეირა (2), 2:0 ხ. კალეხონი (51), 2:1 ესკალადა (89

**ფლამენგო-ლეონი 2:3**

**გოლები:** 0:1 არისალა (21), 1:1 ანდრე სანტოსი (30), 1:2 ბოსელი (31), 2:2 ალექსანდრო (34), 2:3 კ. პენია (84)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლივარი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 2. ლეონი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 3. ფლამენგო | 6 | 2 | 1 | 3 | 10-10 | 7 |
| 4. ემელეკი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-12 | 6 |

**ბომბარდირი:** 5 - ხულიო დოს სანტოსი (სერო პორტენიო)

**ტატო ბაციკაძე**



„სან ლორენსო“ ჯგუფიდან ბოლო წუთებზე გატანილი ბურთის გამო გავიდა

## ამბები

### ტერი უქმეებზე ვერ ითამაშებს

„ჩელსის“ 33 წლის კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** შესაძლოა „პარი სენ-ჟერმენთან“ ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალის განმეორებით შეხვედრაში (2:0) მიღებული მიკროტრავმის გამო კვირას „ლიბერთი სტედიუმზე“ „სუონსისთან“ გასვლით შეხვედრა გამოტოვოს. საბოლოო გადაწყვეტილებას გუნდის მთავარი მწვრთნელი წინადღეს ჩატარებული ტესტების შემდეგ მიიღებს.

### არსენალს ტრავმა არ აშინებს

„საუთჰემპტონის“ 24 წლის ფეხმარდი გარემარბის **ჯეი როდრიგესის** შეძენას რამდენიმე კლუბი ცდილობდა, თუმცა უქმეებზე „მანჩესტერ სიტისთან“ მიღებული მუხლის უმძიმესი ტრავმის გამო ინტერესი ბუნებრივად განელდა. ერთადერთი, ვინც „წმინდანებთან“ ზაფხულზე ტრავმირებული ფეხბურთელის ტრანსფერზე მოლაპარაკებებს გეგმავს, „არსენალია“. ჩრდილოლონდონელები ორიოდე თვით პაუზას აილებენ და ფეხბურთელის გამოჯანმრთელების პროცესს დააკვირდებიან.

**ლევან ბიბილაშვილი**

იტალია. სერია A. XXXIII ტურის წინ

# ორი ბიანკონერი ფრიულიზე

## განახევრებული რომა და შემართული ნაპოლი

13.04. ნეაპოლი სან პაოლო **17:00**

**ნაპოლი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=0-2 | +3=1-2 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| 28 თამაში: +9=7-12 (34-44) | |

**ლაციო**

სავარაუდო შემადგენლობები

ნაპოლი: რეინა; ფერნანდესი, ალბიოლი, ენრიკე, გულამი; ინლერი, ფრელო; კალეხონი, ჰამშიკი, ინსინიე; იგუაინი.

ლაციო: კლოზე?; — კონკო, რადუ; ლედესმა, ონაზი; ლულიჩი; კანდრევა, კეიტა, პრომტიგა?; კანა, ბიავა; ბერიშა.

დისკვალიფიკაცია: [illegible]
ტრავმა: [illegible]

### 12 აპრილი

**სასუოლო-კალიარი 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** კანავარო (სასუოლო).
**ტრავმა:** ალექსე, ტერანოვა, არიაუდო, აჩერბი, ბრიგი, მანფრედინი, მარონე, პუჩინო, ბიანკო - ადრიანი, ნენე, ვეჩინო, ეკდალი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 1-1-4 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 1 თამაში: +0=1-0, (2-2) | |

**რომა-ატალანტა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** პიანიჩი, ფლორენცი, დესტრო - დელ გროსო.
**ტრავმა:** ბენატია, იედვა, ბალცარეტი, სტროტმანი - კარმონა, ბრიენცა, მორალესი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 6-0-0 | 5-0-1 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 30 თამაში: +19=3-8, (50-32) | |

### 13 აპრილი

**ბოლონია-პარმა 14.30**

**დისკვალიფიკაცია:** პაროლო (პარმა).
**ტრავმა:** დელა როკა - კასანო, გარგანო, ვერგარა, როსი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-2-3 | 2-1-3 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 29 თამაში: +10=10-9, (27-26) | |

**ვერონა-ფიორენტინა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** გონსალესი - ვარგასი, პეგაზი, როსი, რებიჩი, გომესი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-0-4 | 3-1-2 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 12 თამაში: +3=2-7, (13-20) | |

**ლივორნო-კიევო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ლუჩი, ემერსონი, მბაიე - დრამე.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-1-4 | 2-0-4 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 10 თამაში: +0=1-9, (3-17) | |

**სამპდორია-ინტერი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** გასტალდელო - გაბიადინი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-1-2 | 2-3-1 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 35 თამაში: +6=13-16, (34-51) | |

**ტორინო-ჯენოა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჟილე, დარმიანი - სკული.
**ტრავმა:** ლარონდო, მაზიელო, პასკუალე - მათუზალემი, დონარუმა, ვრსალკო, კუჩკა.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-0-3 | 1-1-4 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 21 თამაში: +5=9-7, (21-24) | |

**მილანი-კატანია 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** პერუცი (კატანია).
**ტრავმა:** ელ შაარავი, დე შილიო, პეტანია, ამელია, მუნტარი, ესიენი - ალმირონი, ფრიზონი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-1-2 | 0-1-5 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 17 თამაში: +9=7-1, (33-14) | |

### 14 აპრილი

**უდინეზე-იუვენტუსი 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბადუ (უდინეზე).
**ტრავმა:** დი ნატალე, პინცი, მაიკოსუელი, დომიცი - ბარცალი, პეპე.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-1-2 | 5-0-1 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 37 თამაში: +7=5-25, (28-64) | |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 32 | 27 | 3 | 2 | 69-22 | 84 |
| 2. რომა | 32 | 23 | 7 | 2 | 65-18 | 76 |
| 3. ნაპოლი | 32 | 19 | 7 | 6 | 59-33 | 64 |
| 4. ფიორენტინა | 32 | 16 | 7 | 9 | 51-33 | 55 |
| 5. ინტერი | 32 | 12 | 14 | 6 | 51-25 | 50 |
| 6. პარმა | 32 | 13 | 11 | 8 | 52-41 | 50 |
| 7. ლაციო | 32 | 13 | 9 | 10 | 42-40 | 48 |
| 8. ატალანტა | 32 | 14 | 4 | 14 | 37-41 | 46 |
| 9. ვერონა | 32 | 14 | 4 | 14 | 47-52 | 46 |
| 10. ტორინო | 32 | 12 | 9 | 11 | 47-41 | 45 |
| 11. მილანი | 32 | 12 | 9 | 11 | 49-44 | 45 |
| 12. სამპდორია | 32 | 11 | 8 | 13 | 40-45 | 41 |
| 13. ჯენოა | 32 | 10 | 9 | 13 | 35-41 | 39 |
| 14. უდინეზე | 32 | 11 | 5 | 16 | 35-44 | 38 |
| 15. კალიარი | 32 | 7 | 11 | 14 | 30-44 | 32 |
| 16. კიევო | 32 | 7 | 6 | 19 | 26-47 | 27 |
| 17. ბოლონია | 32 | 5 | 12 | 15 | 26-50 | 27 |
| 18. ლივორნო | 32 | 6 | 7 | 19 | 34-60 | 25 |
| 19. სასუოლო | 32 | 6 | 6 | 20 | 31-61 | 24 |
| 20. კატანია | 32 | 4 | 8 | 20 | 24-57 | 20 |

**ბომბარდირები:** 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი), ჩირო იმობილე (ჯენოა); 15 - მატია დესტრო (რომა); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), როდრიგო პალასიო (ინტერი), ლუკა ტონი (ვერონა); 13 - ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა), მარიო ბალოტელი (მილანი).



„რომას" მატია დესტრო დააკლდება

**33-ე ტურში** გრანდთა ჯახს ვერ ვიხილავთ, თუმცა რამდენიმე შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ერთ-ერთი ასეთი მატჩი ნეაპოლში შედგება, სადაც „ნაპოლი" „ლაციოს" უმასპინძლებს. ყურადღების ცენტრში იქნება „სტადიო ფრიულიც", სადაც „იუვენტუსი" ჩადის...

### ლიდერის რთული გასვლა

სერია A-ს მიმდინარე გათამაშება დასკვნით ფაზაშია და სულ მალე, ტრიუმფატორიც გამოვლინდება. წესით, სკუდეტო „იუვენტუსს" უნდა დარჩეს, რომელსაც ამ უქმეებზე რთული გასვლითი პაექრობა ელის. „ვეკია სენიორა" უდინეში ჩადის, სადაც „უდინეზესთან" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

**ანტონიო კონტე** ექსპერიმენტებს მოერიდება და ძირითად შემადგენლობაში წამყვან ფეხბურთელებს გაამწესებს - შეტევაში **კარლოს ტევესის** და **ფერნანდო ლორენტეს** ტანდემს ველოდებით, შუა ხაზს კი ძველი გვარდია გაამაგრებს **შტეფან ლიხტშტაინერის, ანდრეა პირლოს, პოლ პოგბას, არტურო ვიდალის** და **კვადვო ასამოას** შემადგენლობით. კონტემ შეგირდებს მობილიზებისკენ მოუწოდა, „იუვეს" თავკაცს კარგად ესმის, რომ საქმე ბოლომდეა მისაყვანი...

### დესტროს გარეშე

გასულ ტურში, „ატალანტას" რომ მოულოდნელად „სასუოლოსთან" ქულები რომ არ დაეკარგა, ამ უქმეებზე ერთმანეთის პირისპირ ორი ისეთი გუნდი წარდგებოდა, რომლებსაც ბოლო 6 შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი ექნებოდათ მოპოვებული. თუმცა, ბერგამოელები დამარცხდნენ და რომში ნახდენილი ხასიათით ჩადიან. რაც შეეხება **რუდი გარსიას** გუნდს, შესანიშნავი ტემპი აქვს აკრეფილი და ბუნებრივია, „ატალანტასთან" ფავორიტად ითვლება.

ერთი ეგაა, რომაელებს დიდი დანაკლისი აქვთ - **მირალემ პიანიჩი, ალესანდრო ფლორენცი** და **მატია დესტრო** დისკვალიფიცირებულნი არიან, **მეჰდი ბენატიას, ფედერიკო ბალცარეტის** და **კევინ სტროტმანს** კი ტრავმები აქვთ. მოკლედ, „ჯალოროსი" „ნერაძურის" განახევრებული შემადგენლობით დახვდება, მაგრამ მაინც, ფავორიტად სწორედ მასპინძელია მიჩნეული.

### ევროსაგზურისთვის

ტურის ცენტრალური მატჩი ნეაპოლში შედგება, სადაც „ნაპოლი" „ლაციოს" უმასპინძლებს. ემილიაში განცდილი მარცხის შემდეგ **რაფაელ ბენიტესის** გუნდმა საბოლოოდ დაკარგა მეორე ადგილზე ანაცვლების შანსი და შესაბამისად, მესამე აქვს შესანარჩუნებელი.

ბენიტესი ნაცად ტაქტიკას არ უღალატებს და ერთადერთ გამოკვეთილ ფორვარდ **გონსალო იგუაინს** შემტევ ტრიოს წაახმარს **ხოსე კალეხონის, მარეკ ჰამშიკის** და **ლორენცო ინსინიეს** შემადგენლობით. კიდევ ერთი ნაფორხილება და „ნაპოლის" „ფიორენტინა" წამოეწევა, ამიტომ, იგუაინს და კომპანიას ყურადღებით მართებთ ყოფნა. ბენიტესის თქმით, მისი გუნდი ისეა შემართული, როგორც არასდროს აქამდე. „ლაციოს" **მიროსლავ კლოზე** ჰყავს ტრავმირებული, თუმცა რომაელები გერმანელის გარეშე თამაშს მიჩვეულნი არიან.

„ინტერი" „სამპდორიას" ესტუმრება და თუ რა მოხდება „სტადიო მარასიზე", ღმერთმა უწყის... მილანური გრანდი კრიზისშია და ცალსახა ფავორიტად ვერ მოვნათლავთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ნერაძურის" სწორედ ასეთი მატჩების მოგება სჩვევია დამაჯერებლად. შედარებით იოლი გამოცდა აქვს „მილანს", რომელიც საკუთარ არენაზე აუტსაიდერ „კატანიას" უმასპინძლებს.

**ლაშა წიკლაური**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIII ტურის წინ


პსჟ-ს ფანები მომავალშიც მხურვალედ დაუჭერენ მხარს საყვარელ გუნდს

# პსჟ: მომავალი ჩვენია

### ოპტიმისტი ალ-ხელაიფი

ერთპიროვნულ და ულაპარაკო ლიდერ „პარი სენ-ჟერმენს" ჩემპიონთა ლიგაზე „ჩელსისთან" ძალიან მტკივნეული წაგების მერე მთელი ჯავრის ყრა „ლიონზე" შეუძლია, რომელმაც ასევე გადაიტანა ევრობატალია. რეალურად ქულები უფრო „ლომებს" სჭირდებათ, რომლებიც ევროპალიგის საგზურისთვის იბრძვიან. ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნება „ლომებს" „სენტ ეტიენთან" „დერბი დუ რონის" წაგების მერე უნდა შეეწყვიტათ. **რემი გარდს** არ გაუმართლა, რომ ასეთ ხასიათზე მყოფ პარიზელებთან მოუწევს ჭიდილი. პსჟ ზედიზედ მეორე სეზონია ჩემპიონთა ლიგიდან ისე ვარდება, რომ მეტოქეზე ნაკლები გოლი არ გააქვს და ეს ცხადია, განსაკუთრებით დასანანი და მტკივნეულია. ახლა **ლორან ბლანის** ბიჭები რეაბილიტაციას „პარკ დე პრენსის" „ჟერლანზე" ტურის ცენტრალურ და მთავარ მატჩში შეეცდებიან.

*„ჩვენ ნახევარფინალთან ძალიან ახლოს, ერთ ნაბიჯში ვიყავით, მხოლოდ 5 წუთი დაგვაკლდა. თუმცა ეს ფეხბურთია და მარცხს ვიღებთ. ახლა კიდევ უფრო დიდი გამოცდილება გვაქვს და კიდევ უფრო ძლიერ გუნდს ავაშენებთ. დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ"* - განაცხადა „ჩელსისთან" მარცხის შემდეგ პარიზელთა პრეზიდენტმა **ნასერ ალ-ხელაიფიმ**, რომელსაც როგორც ხედავთ, ოპტიმიზმი არ აკლია და სამომავლოდ დიდი და შორსმიმავალი გეგმები აქვს.

### მონაკო და სხვანი

„რენმა" ბოლო 3 ტურში 7 ქულა აიღო და ფაქტობრივად გაინაღდა ლიგა 1-ში დარჩენა. 6 ტურით ადრე ბრეტონელები გასავარდნ ზონას უკვე 9 ქულით მოსწყდნენ და აღარაფერი დაემუქრებათ. ასე რომ, **ფილიპ მონტანიეს** გუნდი ყოველგვარი წნეხის გარეშე შეეცდება „მონაკოს" წინააღმდეგ კარგი თამაშის ჩვენებას. განსაკუთრებით სადარდებელი არც მონტეკარლოელებს აქვთ, მაგრამ მაინც ცოტა ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან „ლილთან" სხვაობა 6 ქულაა და სიტუაციის თუნდაც ოდნავ დაძაბვა და დამატებითი ნერვიულობა **კლაუდიო რანიერის** გეგმებში სავარაუდოდ, არ უნდა შედიოდეს.

„მარსელს" მე-5 ადგილთან 3 ქულა აშორებს და ქულები სჭირდება. აი „მონპელიე" კი პრინციპში დამშვიდდა, მას მერე, რაც წინა სეზონში „გენგამს" მოუგო. **როლან კურბისის** გუნდი გასავარდნ ზონას უკვე 9 ქულით მოსწყდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ველოდრომის" ბინადრებს რამეს ადვილად დაუთმობს. მოკლედ, საინტერესო და სანახაობრივი მატჩია მოსალოდნელი, რომელიც დღეს გახსნის კიდეც ტურს.

ჯერ კიდევ შემორჩა გარკვეული იმედები „ტულუზს", რომელიც „სოშოს" ესტუმრება. მონბელიარელებს საკუთარ „ოგუსტ ბონალიზე" თამაში კარგად გამოსდით და გალაღებას შეეცდებიან.

დაახლოებით იგივე უნდა ვთქვათ, ცხრილში ტულუზელების მეზობელ „ბორდოზე", რომელიც გამოკვეთილ აუტსაიდერ „აიაჩოს" ეწვევა: კორსიკაზე თამაში რთულია, ხოლო ჟირონდელები გასვლებზე ვერ ბრწყინავენ, ეს დაპირისპირებაც დაძაბული უნდა გამოვიდეს.

44-ქულიანი „რეიმსი", რომელსაც ევროზონისთვის გაბრძოლების ბოლო შანსი აქვს, „სენტ ეტიენს" უმასპინძლებს. **კრისტოფ გალტიეს** ბიჭებმა წინა ტურში „ნიცასთან" ძალიან ძვირფასი 2 ქულა კი დაკარგეს და „ლილს" უკვე 5-ით ჩამორჩნენ, მაგრამ ვინ იცის, შანსი ჯერ კიდევ არის და მათაც მოსაგებად უნდა იბრძოლონ.

მესამე ადგილზე გამაგრებული „ლილი" კი „ვალანსიენს" უმასპინძლებს რომელიც წინა ტურში „ლიონთან" დამარცხდა და უსაფრთხო ზონას ანუ „ევიანსა" და „გენგამს" უკვე 6 ქულით მოსწყდა. ევიანელები შინ „ბასტიას" უმასპინძლებენ და კორსიკელების სტუმრად გამორჩეულად სუსტ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, **პასკალ დუპრაზის** გუნდმა აუცილებლად უნდა მოიგოს. რაც შეეხება „გენგამს", **ჟოსელინ გურვენეკის** შეგირდები „ნანტს" ესტუმრებიან, რომელიც მათ 2 ქულით უსწრებს და „იადონებთან" „სტად დე ლა ბუჟუარ - ლუი ფონტენოზე" 3 ქულის მოპოვება ცოტა არ იყოს, გაუჭირდებათ.

ტურის ყველაზე უმოტივაციო და სატურნირო კუთხით თითქმის უინტრიგო შეხვედრა ნიცაშია, სადაც **კლოდ პუელის** კლუბი მშვენიერ „ალიანც რივიერაზე" **კრისტიან გურკუფის** „ლორიანს" მასპინძლობს. ნიცელებს სამმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ, ხოლო ბრეტონელებს ოთხმატჩიანი და ორივენი თავისას შეეცდებიან.

### 11 აპრილი

| | |
|---|---|
| მონპელიე-მარსელი | 22:30 |

### 12 აპრილი

| | |
|---|---|
| ლილი-ვალანსიენი | 19:00 |
| აიაჩო-ბორდო | 22:00 |
| ევიანი-ბასტია | 22:00 |
| ნიცა-ლორიანი | 22:00 |
| რენი-მონაკო | 22:00 |
| სოშო-ტულუზი | 22:00 |

### 13 აპრილი

| | |
|---|---|
| ნანტი-გენგამი | 16:00 |
| რეიმსი-სტ. ეტიენი | 19:00 |
| ლიონი-პსჟ | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 32 | 24 | 7 | 1 | 74-18 | 79 |
| 2. მონაკო | 32 | 19 | 9 | 4 | 53-27 | 66 |
| 3. ლილი | 32 | 17 | 9 | 6 | 37-20 | 60 |
| 4. სტ. ეტიენი | 32 | 16 | 7 | 9 | 44-29 | 55 |
| 5. ლიონი | 32 | 14 | 9 | 9 | 48-38 | 51 |
| 6. მარსელი | 32 | 13 | 9 | 10 | 43-34 | 48 |
| 7. ბორდო | 32 | 11 | 11 | 10 | 39-37 | 44 |
| 8. ტულუზი | 32 | 11 | 11 | 10 | 41-45 | 44 |
| 9. რეიმსი | 32 | 11 | 11 | 10 | 39-43 | 44 |
| 10. ბასტია | 32 | 11 | 8 | 13 | 35-48 | 41 |
| 11. ნიცა | 32 | 11 | 6 | 15 | 28-36 | 39 |
| 12. რენი | 32 | 9 | 11 | 12 | 40-39 | 38 |
| 13. მონპელიე | 32 | 7 | 17 | 8 | 37-37 | 38 |
| 14. ლორიანი | 32 | 10 | 8 | 14 | 38-43 | 38 |
| 15. ნანტი | 32 | 10 | 7 | 15 | 28-36 | 37 |
| 16. გენგამი | 32 | 9 | 8 | 15 | 29-34 | 35 |
| 17. ევიანი | 32 | 8 | 11 | 13 | 31-46 | 35 |
| 18. ვალანსიენი | 32 | 7 | 8 | 17 | 33-51 | 29 |
| 19. სოშო | 32 | 6 | 9 | 17 | 29-56 | 27 |
| 20. აიაჩო | 32 | 3 | 10 | 19 | 31-60 | 19 |

**ბომბარდირები:** 25 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 15 - ედინსონ კავანი (პსჟ); 14 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); 13 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი)

**გიორგი პაპაბაძე**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტურის წინ

# ოთხი ომი და გერმანული კლასიკო

## 11 აპრილი

**შალკე-აინტრახტი 22:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** აოგო, ფუხსი, ჰიოვედესი, კირხჰოფი, უჩიდა, კლემენსი, ჰიოგერი - ანდერსონი, ოჩიპკა, ფლუმი, კიტელი, როდე, შვეგლერი

ბოლო 6 მატჩი

+4=2-0 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 79 თამაში: +30=21-28, (120:120)

## 12 აპრილი

**გლადბახი-შტუტგარტი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** შტრანცლი, ვენდტი - როხასი, სარარერი

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 87 თამაში: +24=26-37, (111:150)

**ჰანოვერი-ჰამბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰოფმანი, ჰუსტი (ორივე ჰანოვერი)

**ტრავმა:** მილერი, ფელიპე, პოკონიოლი, მ. დიუფი, ა. ზობიეხი - იანსენი, ლამი, რაიკოვიჩი, ბადელი, ბაისტერი, ლასოგა

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 51 თამაში: +15=15-21, (70:78)

**ვოლფსბურგი-ნიურნბერგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ბენალიო, ვიეირინია, დოსტი - ჩენდლერი, ნილსონი, გებჰარტი, ჰასებე, პეტრაკი, გინჩეკი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +1=0-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 23 თამაში: +5=8-10, (28:32)

**ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კრმასი, მუიჯა, პილარი, ჰანკე - პეტკოვიჩი, ერვიგ-დრიუპელი, ხელიფი, პფიტცნერი, კორტე, იორლი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +1=1-0, (1:0)

**მაინცი-ვერდერი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბელი - დი სანტო

**ტრავმა:** პარკი, ბაუმგარტლინგერი, ნ. მიულერი, დ. შაჰინი - ფ. კროოსი, იოზ. ილდირიმი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 15 თამაში: +4=3-8, (18:29)

## 13 აპრილი

**ლევერკუზენი-ჰერტა 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** გუარდადო, სტაფილიდისი, ჰეგელერი, კრუსი, რაინარტცი - ფრანცი, ლუსტენბერგერი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 35 თამაში: +16=11-8, (70:49)

**ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კასტეელსი, ვიზე, ვუკჩევიჩი - მორავეკი, ტო. ვერნერი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +1=2-2, (5:6)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 29 | 25 | 3 | 1 | 82-17 | 78 |
| 2. დორტმუნდი | 29 | 18 | 4 | 7 | 64-32 | 58 |
| 3. შალკე | 29 | 16 | 7 | 6 | 54-38 | 55 |
| 4. გლადბახი | 29 | 14 | 6 | 9 | 51-34 | 48 |
| 5. ლევერკუზენი | 29 | 15 | 3 | 11 | 48-36 | 48 |
| 6. ვოლფსბურგი | 29 | 14 | 5 | 10 | 49-44 | 47 |
| 7. მაინცი | 29 | 13 | 5 | 11 | 41-45 | 44 |
| 8. აუგსბურგი | 29 | 12 | 6 | 11 | 41-43 | 42 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 10 | 10 | 64-63 | 37 |
| 10. ჰერტა | 29 | 10 | 7 | 12 | 37-40 | 37 |
| 11. აინტრახტი | 29 | 9 | 8 | 12 | 37-48 | 35 |
| 12. ვერდერი | 29 | 8 | 9 | 12 | 34-55 | 33 |
| 13. ჰანოვერი | 29 | 8 | 5 | 16 | 36-54 | 29 |
| 14. ფრაიბურგი | 29 | 7 | 8 | 14 | 33-52 | 29 |
| 15. შტუტგარტი | 29 | 7 | 6 | 16 | 44-57 | 27 |
| 16. ჰამბურგი | 29 | 7 | 6 | 16 | 45-60 | 27 |
| 17. ნიურნბერგი | 29 | 5 | 11 | 13 | 34-54 | 26 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 29 | 6 | 7 | 16 | 28-50 | 25 |

**ბომბარდირები:** 17 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 16 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 14 - შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), რაფაელი (გლადბახი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი); 13 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), მარკო როისი (დორტმუნდი).

**ბუნდესლიგა ფინიშს უახლოვდება: სეზონის დასასრულამდე 5 ტურით ადრე 6 გუნდი გადარჩენისთვის უმძაფრეს ბრძოლაშია ჩართული. ამ ექვსეულიდან 30-ე ტურში ოთხს ერთმანეთთან ორი მძიმე დუელი ექნება: „ჰანოვერი“ „ჰამბურგს“ მასპინძლობს, „ფრაიბურგი“ - ბრაუნშვაიგს. „შტუტგარტი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელ „გლადბახს“ სტუმრობს, „ნიურნბერგი“ კი - „გლადბახის“ მდევარ „ვოლფსბურგს“. ტურის ცენტრალური მატჩი გერმანული კლასიკოა: შაბათ საღამოს გაჩემპიონებული „ბაიერნი“ მეორეადგილოსან დორტმუნდის „ბორუსიას“ მასპინძლობს.**

ტურს დღეს „შალკესა“ და ფრანკფურტის „აინტრახტის“ დაპირისპირება გახსნის. გელზენკირხენელებს პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისკენ მორიგი ნაბიჯის გადადგმა სურთ და ამ შეხვედრაში ფავორიტად მიიჩნევიან, რადგან „შალკემ“ ბუნდესლიგის ბოლო 14 მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო (1:5 „ბაიერნთან“), უკანასკნელ 6 ტურში კი 4 გამარჯვება იზეიმა. კარგ ფორმაშია მეტოქე „აინტრახტიც“ - ფრანკფურტელებმა ბოლო ოთხი თამაშიდან სამი მოიგეს და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე თითქმის აღარ ემუქრებათ. თავდამსხმელი **ხოსელუ** ამბობს, ახლა ცუდი ნამდვილად აღარაფერი მოხდებაო, სპორტული დირექტორი **ბრუნო ჰიუბნერი** კი დასძენს: *„35 ქულა გადარჩენისთვის წესით საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ დარჩენილ შეხვედრებში მაინც მაქსიმუმისთვის ვიბრძოლებთ.“*



„ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა და „დორტმუნდის“ თავკაცი იურგენ კლოპი - შაბათს საღამოს მათი დუელია

### გლადბახი ევროპის ელიტას უმიზნებს, შტუტგარტი გერმანიისას

მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და „შტუტგარტის“ დაპირისპირებაში მასპინძელსაც და სტუმარსაც ქულები ჰაერივით სჭირდებათ, თუმცა მათი მიზნები განსხვავებულია: „გლადბახს“ ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა, „შტუტგარტს“ პირველ ბუნდესლიგაში დარჩენა. მიონხენგლადბახურ კლუბს ჩემპიონთა ლიგის საგზურში „ლევერკუზენი“ და „ვოლფსბურგი“ ეცილებიან, თუმცა 30-ე ტურის წინ მეოთხე ადგილზე სწორედ „გლადბახია“. ასე რომ, მოგების შემთხვევაში **ლუსიენ ფავრის** გუნდი სასურველ პოზიციას შეინარჩუნებს. მაგრამ „შტუტგარტს“ წაგება არაფრისდიდებით არ აძლევს ხელს: წინა ტურში შვაბებმა უშუალო კონკურენტი „ფრაიბურგი“ 2:0 დაამარცხეს და გასავარდნი ზონიდან გამოვიდნენ, მაგრამ მორიგი მარცხი **ჰუუბ სტევენსის** გუნდს ისევ „შავ სიაში“ დააბრუნებდა...

### ჰანოვერი თუ ჰამბურგი?

გაცილებით მძაფრი და დრამატული უნდა იყოს „ჰანოვერისა“ და „ჰამბურგის“ დუელი, რადგან ორივე გუნდი გადარჩენისთვის იბრძვის. მართალია, „ჰანოვერი“ მე-13 ადგილზეა, მაგრამ გასავარდნ ზონამდე მხოლოდ ორი ქულა აშორებს და რაკი „წითლები“ „შავ სიასთან“ ასე ახლოს ამ სეზონში არასდროს ყოფილან, ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით ეს მატჩი „ჰანოვერის“ თავკაც **ტაიფუნ კორკუტისთვის** უკანასკნელი შანსია, რომლის ვერგამოყენების შემთხვევაში თურქ სპეციალისტს ალბათ დაითხოვენ. გადარჩენისთვის „ჰამბურგიც“ გააფთრებული იბრძვის და „ლევერკუზენთან“ მოგების (2:1) შემდეგ **მირკო სლომკას** შეგირდები იმედიანად არიან. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სლომკა „ჰანოვერს“ 2010-დან 2013 წლამდე წვრთნიდა, ახლა კი ყოფილ კლუბს მტრის რანგში ესტუმრება.

### ვოლფსბურგი და ნიურნბერგი გზაგასაყარზე

„ვოლფსბურგს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსიც აქვს და არც ისაა გამორიცხული, რომ „მგლები“ ევროპალიგის გარეშე დარჩნენ. ერთი სიტყვით, „ვოლფებს“ წინ გადამწყვეტი მატჩები ელით, რომელთაგან პირველი „ნიურნბერგთან“ დუელია. „ფრანკებმა“ ბოლო შვიდი მატჩიდან 6 წააგეს და ბოლოსწინა ადგილამდე ჩამოქვეითდნენ. თუ „ნიურნბერგი“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება, ეს ამ გუნდისთვის ელიტიდან რიგით მე-8 და შესაბამისად სარეკორდო გავარდნა იქნება.

### ბრაუნშვაიგელებს სასწაულების სჯერათ

ცოტა ხნის წინ „ფრაიბურგი“ გასავარდნ ზონას მოშორდა, მაგრამ მერე ისევ აურია და ბრაისგაუელების ელიტაში დარჩენის საკითხი ისევ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. „ფრაის“ თავკაცი **კრისტიან შტრაიხი** ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამბობს, დარჩენილ შეხვედრებში იმდენს აუცილებლად შევძლებთ, რომ მეორე ბუნდესლიგაში არ აღმოვჩნდეთო. „ფრაიბურგის“ მეტოქე ამჯერად ბოლოადგილოსანი „ბრაუნშვაიგია“, რომელმაც ბოლო დროს ძალიან მოუმატა და გადარჩენის რეალური შანსი გაუჩნდა. ამიტომაცაა, შტრაიხი რომ ამბობს, „ბრაუნშვაიგთან“ უდიდესი სიფრთხილე გვმართებსო.

„მაინცისა“ და „ვერდერის“ მატჩში სამი ქულა მაინცელებს უფრო სჭირდებათ, რადგან ევროპალიგის საგზურს უმიზნებენ და მეექვსეადგილოსან „ვოლფსბურგს“ სწორედ 3 ქულით ჩამორჩებიან. „ვერდერი“ კი ფაქტობრივად სამშვიდობოსაა.

### გერმანული კლასიკო

მერე რა, რომ „ბაიერნი“ უკვე გერმანიის ჩემპიონია და „დორტმუნდს“ 20 ქულით უსწრებს - ბუნდესლიგის საუკეთესო მატჩი ყოველთვის დამაინტრიგებელია და გამონაკლისი არც ეს გერმანული კლასიკო იქნება. ბევრი ფიქრობდა, რომ „ბაიერნი“ პირველ მარცხს სწორედ „დორტმუნდთან“ იწვნევდა, მაგრამ „ბორუსიას“ „აუგსბურგმა“ დაასწრო. **ხოსეპ გვარდიოლამ** იმ მატჩში სერიოზულ როტაციას მიმართა, რასაც „დორტმუნდთან“ ალბათ ველარ გაბედავს, რადგან რეკორდმაისტერისთვის ეს ძალიან პრესტიჟული დაპირისპირებაა. თუმცა გარკვეული ცვლილებები ორივე გუნდში იქნება, რადგან მომავალ კვირაში „ბაიერნსაც“ და „დორტმუნდსაც“ გერმანიის თასის ნახევარფინალური მატჩები ელით - მიუნხენელები „კაიზერსლაუტერნს“ ხვდებიან, დორტმუნდელები კი - „ვოლფსბურგს“.

12.04. მიუნხენი
ალიანს არენა
20:30

## ბაიერნი

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

89 თამაში: +39=28-22 (167-111)

## დორტმუნდი

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** რედერი, შტარკე, ბადშტუბერი, კონტენტო, შაჩირი, ალკანტარა - შმელცერი, სუბოტიჩი, ბენდერი, ბლაშჩიკოვსკი, გიუნდოგანი

ბაიერნი

# პეპი ფანებს შემოსწყრა

## სანამ გოლი არ მივიღეთ, ტრიბუნებზე სიმშვიდე სუფევდაო...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ბარიერიც დაძლეული - მიუნხენის „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. საპასუხო მატჩში 3:1-ზე გამარჯვებით რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** ძალიან ბედნიერი იყო, მაგრამ ერთი რამით უკმაყოფილო დარჩა. 43 წლის პეპი მატჩის შემდეგ „ბაიერნის“ ფანებს შემოსწყრა!

*„ყველაფრით კმაყოფილი ვარ გარდა ერთისა: გერმანელებმა უნდა ამიხსნან, ხასიათზე მოსასვლელად რატომ სჭირდებათ ის, რომ „ბაიერნმა“ გოლი გაუშვას, ანუ, მეტოქემ ანგარიში გახსნას. მიუნხენში ეს ჩემი პირველი სეზონია და რალაც-რალაცები ჯერ კიდევ არ ვიცი. ფანებმა შესანიშნავად გვიქომაგეს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მანჩესტერმა“ ანგარიში გახსნა, მანამდე კი ტრიბუნებზე აბსოლუტური სიმშვიდე იყო,“* - წუხს გვარდიოლა.

ესპანელი სპეციალისტის თქმით, მისთვის გაუგებარია, რატომ არ აქტიურობდნენ რეკორდმაისტერის ფანები პირველ ტაიმში და რატომ გამოცოცხლდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც **პატრის ევრამ** ანგარიში გახსნა. ისევ გვარდიოლა: *„ევრას გოლის შემდეგ ხალხი ფეხზე ადგა, მხურვალე ქომაგობა დაიწყო და მე ვფიქრობ, სწორედ ამის დამსახურებაა, ანგარიში მალევე რომ გავათანაბრეთ. ნახევარფინალში ფანებისგან სწორედ ასეთი მხარდაჭერა გვჭირდება, ოღონდ მთელი მატჩის განმავლობაში. შეიძლება, ჩვენც არ ვთამაშობდით იდეალურ ფეხბურთს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გულშემატკივრების მხარდაჭერის გარეშე ასეთ ფეხბურთს ვერც ვითამაშებთ. თუ ქომაგებს უნდათ, რომ „ბაიერნი“ ისევ ფინალში გავიდეს, ნებისმიერ დროს მხურვალედ უნდა გვიქომაგონ.“*

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საშინაო მატჩისთვის „ბაიერნმა“ ბილეთების 290 000 შეკვეთა მიიღო. მაგრამ ამ მატჩზე თავისუფალი მხოლოდ 25 000 ბილეთი იქნება, რადგან დანარჩენი აბონემენტებისა და საკონტრაქტო ბილეთების მფლობელებისთვისაა გათვალისწინებული. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ბილეთის შეძენის 10 დაინტერესებულიდან 9 უარს მიიღებს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




დენი უელბეკისა (19) და ტონი კროოსის (39) ორთაბრძოლა

## პრემიერლიგას წარმოგიდგენთ europe-bet.com

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტურის წინ

# ევროპული უქმეების მთავარი მარგალიტი

### 12 აპრილი

**პალასი–ასტონ ვილა 18:07**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** - ოკორე, ელ აჰმადი, აგბონლაჰორი, დელფი, ჰერდი, ბენტეკე, გარდნერი, კოზაკი, ნზოგბია

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 21 თამაში: +6=7-8 (17-23)

**ფულჰემი–ნორვიჩი 18:07**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰეიტინგა, კარაგუნისი, დაფი, ბრიგსი, მიტროღლუ, ბერნი - ფერი, ე. ბენეტი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 13 თამაში: +9=4-0 (27-6)

**საუთჰემპტონი–კარდიფი 18:07**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კ. დევისი, კლაინი, იოშიდა, ჯ. როდრიგესი, რამირესი, ბორუცი - ჰადსონი, ფაბიო

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +4=2-5 (14-13)

**სტოკი–ნიუკასლი 18:07**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰუთი, ასაიდი - კრული, სისოკო, რემი, რ. ტეილორი, ობერტანი, დებუში, ს. ამეობი

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 63 თამაში: +19=14-30 (75-108)

**სანდერლენდი–ევერტონი 18:07**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფლეტჩერი, კ. ვესტვუდი - გიბსონი, ჯაგიელკა, ოვიედო, კონე, ოსმანი, პიენაარი, ტრაორე

ბოლო 6 მატჩი
+0=1-5 +6=0-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 138 თამაში: +52=22-64 (218-240)

**ბრომვიჩი–ტოტენჰემი 18:07**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გერა - ულკერი, ვერტონგენი, სოლდადო, ლამელა, კაპუ

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 +3=0-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 107 თამაში: +40=25-42 (158-158)

### 13 აპრილი

**სუონსი–ჩელსი 19:07**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბარტლი - აზარი, ტერი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +4=0-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 7 თამაში: +1=3-3 (5-9)

### 15 აპრილი

**არსენალი–ვესტ ჰემი 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** ფლამინი -
**ტრავმა:** კოშელნი, უილშირი, იოზილი, ულკოტი, ფაბიანსკი, დიაბი, გიბსი, მიაიჩი, გნაბრი - მაკარტნი, ობრაიენი, კოლინსი, ბორიელო

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 112 თამაში: +53=32-27 (184-127)


„ეტიჰადზე“ „მანჩესტერ სიტიმ“ „ლივერპულს“ 2:1 მოუგო

### 6 მაისი

იუნაიტედი–ჰალ სიტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 33 | 23 | 5 | 5 | 90-40 | 74 |
| 2. ჩელსი | 33 | 22 | 6 | 5 | 65-24 | 72 |
| 3. სიტი | 31 | 22 | 4 | 5 | 84-29 | 70 |
| 4. არსენალი | 33 | 19 | 7 | 7 | 56-40 | 64 |
| 5. ევერტონი | 32 | 18 | 9 | 5 | 52-31 | 63 |
| 6. ტოტენჰემი | 33 | 18 | 5 | 10 | 45-45 | 59 |
| 7. იუნაიტედი | 33 | 17 | 6 | 10 | 56-38 | 57 |
| 8. საუთჰემპტონი | 33 | 13 | 9 | 11 | 50-44 | 48 |
| 9. ნიუკასლი | 33 | 14 | 4 | 15 | 38-51 | 46 |
| 10. სტოკი | 33 | 10 | 10 | 13 | 37-48 | 40 |
| 11. ვესტ ჰემი | 33 | 10 | 7 | 16 | 37-44 | 37 |
| 12. ჰალი | 33 | 10 | 6 | 17 | 34-40 | 36 |
| 13. ასტონ ვილა | 32 | 9 | 7 | 16 | 35-48 | 34 |
| 14. კრ. პალასი | 32 | 10 | 4 | 18 | 23-39 | 34 |
| 15. სუონსი | 33 | 8 | 9 | 16 | 45-49 | 33 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 6 | 14 | 12 | 37-48 | 32 |
| 17. ნორვიჩი | 33 | 8 | 8 | 17 | 26-52 | 32 |
| 18. ფულჰემი | 33 | 8 | 3 | 22 | 33-74 | 27 |
| 19. კარდიფი | 33 | 6 | 8 | 19 | 29-64 | 26 |
| 20. სანდერლენდი | 31 | 6 | 7 | 18 | 29-53 | 25 |

**ბომბარდირები:** 29 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 18 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

კვირას „ენფილდზე“ ისეთი თამაში გაიმართება, რომელმაც შესაძლოა განსაკუთრებული როლი ითამაშოს საჩემპიონო რბოლაზე. მასპინძელი წარმატების შემთხვევაში უკვე დაკარგული ქულებითაც ჩემპიონატის ლიდერი გახდება. „წითლებს“ დიდი მატჩის წინ შთამბეჭდავი შესავალი გამოუვიდათ. **ბრენდან როჯერსის** გუნდმა მიჯრით ცხრა თამაში მოიგო. აქედან ყველა არ ყოფილა „ცალი ფეხით მოგებული“. მაქსიმალური კონცენტრაციის ხარჯზე მოპოვებული სამი ქულის მაგალითი იყო, თუნდაც ბოლოს ტური „ვესტ ჰემთან“. „ლივერპულს“ შეუძლია მოიგოს, როცა გუნდის თამაშის ხარისხი უკეთესის სურვილს ტოვებს და ეს უკვე იღბლის კი არა, სამწვრთნელო გადაწყვეტილებებისა და გუნდის საერთო კლასის დამსახურებაა. ახლა კი, მოდი, გუნდების მთავარ მწვრთნელებს მოვუსმინოთ.

**ბრენდან როჯერსი** (ლივერპული): *„შემიძლია, წინასწარ დაგარწმუნოთ, რომ „სიტისთან“ თამაშზე ტრიბუნებზე განსაკუთრებული ატმოსფერო იქნება. „ვესტ ჰემთან“ უმძიმესი მატჩის შემდეგ მათი მხარდაჭერა განსაკუთრებით დაგვჭირდება. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ძალების აღდგენა მოვასწროთ, რათა ზედიზედ მეათე თამაშში ვიმარჯვოთ“.*

**მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სიტი): *„ჩვენ ყოველთვის უმაღლეს მიზნებს ვისახავთ. გამონაკლისს არც ამჯერად დავუშვებთ. „ენფილდზე“ მხოლოდ სამი ქულისთვის ვაპირებთ ბრძოლას. ეს არ ნიშნავს, რომ თუკი მატჩი ფრედ დასრულდება უკმაყოფილონი ვიქნებით, მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ ასეთ შედეგთან წინასწარ შეგუებას არ ვაპირებთ. მასპინძელი ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს. ასე რომ, საუკეთესო სანახაობას ველოდები“.*

„ლივერპულს“ მნიშვნელოვანი საკადრო პრობლემა აქვს. ტრავმის გამო ჯერ კიდევ „ვესტ ჰემთან“ ვერ დაეხმარა გუნდს **დანიელ აგერი**. არადა, აგერისა და **მარტინ შკრტელის** დუეტმა იქამდე ზედიზედ შვიდი შეხვედრა ჩაატარა ძირითადში. „სიტისთან“ მისი ასპარეზობა გამორიცხული არ არის, თუმცა ჩვენი ინგლისელი კოლეგები პირველივე წუთებიდან უფრო **მამადუ სახოს** გამოჩენას ელიან, ვინც „ჩაქუჩებთან“ მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა.

შეხვედრას 39 წლის **მარკ კლატენბერგი** განსჯის, ვისაც მიმდინარე სეზონში „ლივერპულის“ სამ („ასტონ ვილა“ 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ 0:1, 3:0) და „მანჩესტერ სიტის“ ორ („სუონსი“ 3:0, „სტოკი“ 0:0) შეხვედრაზე უმუშავია.

13.04. ლივერპული–სიტი
ენფილდი 16:37

### ლივერპული

ბოლო 6 მატჩი
+6=0-0 +5=1-0
ურთიერთშეხვედრები
149 თამაში: +69=40-40 (256-200)

### სიტი

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ხ. ენრიკე, აგერი - აგუერო, ნასტასიჩი

მანჩესტერ იუნაიტედი

# ბავშვური შეცდომები და სასჯელი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ სეზონის უკანასკნელი მნიშვნელოვანი ბრძოლაც წააგო. ახლა უკვე ხმამაღლა შეიძლება თქმა, რომ **დევიდ მოიესის** გუნდი სეზონს ტიტულის გარეშე დაასრულებს. „ეშმაკებს“ „ალიანს არენაზე“ შანსი იქამდე ჰქონდათ, ვიდრე მასპინძელი **პატრის ევრას** გოლით არ „გააღიზიანეს“, რის შემდეგაც ლიგის მოქმედ გამარჯვებულს ერთი შეტევა და სულ რამდენიმე წამი ეყო წონასწორობის აღსადგენად. რატომ დასჭირდა **მარიო მანჯუკიჩთან** საჰაერო ორთაბრძოლაში ჩაბმა ევრას და რატომ არ იდგნენ ხორვატ თავდამსხმელთან ტანმაღალი **ნემანია ვიდიჩი** და **კრის სმოლინგი**, ეს ის შეკითხვაა, რომელზეც პასუხს ახლა აზრი აღარა აქვს, მაგრამ იმის მაგალითად კი გამოდგება, როგორ არ უნდა ითამაშო ამ ფორმაციის „ბაიერნის“ წინააღმდეგ. დაცვა კიდევ ორჯერ შეცდა, პირველად, როცა **თომას მიულერს** ახლო მანძილიდან დარტყმის საშუალება მისცა. ეპიზოდს კონკრეტული დამნაშავე ჰყავდა - ვიდიჩი. სერბმა მოგვიანებით ვერც რობენის სლალომს შეუშალა ხელი. მიუხედავად თვალში საცემი სისუსტეებისა, მოიესი საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა. შეიძლება, ჩვენი შეფასება ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ „იუნაიტედის“ თავკაცს წაგების შემდეგ, წესით, კმაყოფილების უფლება არ უნდა ჰქონდეს.

**დევიდ მოიესი:** *„ამას ჯერ კიდევ ბავშვობაში ასწავლიან ფეხბურთელებს, რომ გოლის შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვა ასე სწრაფად. მეორე მხრივ ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ უმძიმესი თამაში გველოდა. ანგარიშის გახსნის შემდეგ როგორმე უნდა მოგვეხერხებინა ბურთის დაჭერა, თუმცა მეტოქემ ცენტრიდან გაითამაშა თუ არა, უმალ გაგვითანაბრა. ვერ გეტყვით, რა გახდა ამის მიზეზი, კონცენტრაციის ნაკლებობა, თუ ის, რომ ემოციები ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი, მაგრამ გუნდი საკმაოდ გამოცდილია იმისთვის, რომ მსგავსი რამ არ დაეშვა. ბევრი შეცდომა არ დაგვიშვია, მაგრამ რაც იყო, ისიც საკმარისი აღმოჩნდა დამარცხებისთვის. საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ იმ თამაშით, რაც ჩემმა ფეხბურთელებმა უჩვენეს“.*


დენი უელბეკისა (19) და ტონი კროოსის (39) ორთაბრძოლა

**გარი ნევილი:** *„სამწუხაროდ, გოლის შემდეგ 15 წუთის განმავლობაში „იუნაიტედმა“ ძალიან ღრმად დაიხია, ხოლო იმან, რომ გერმანელებმა სწრაფად გაათანაბრეს, გუნდზე ემოციური თვალსაზრისით დამღუპველად იმოქმედა. მეორე გოლი აუცილებელი იყო, მაგრამ თავადაც ნახეთ, რომ „ბაიერნმა“ მეტოქეს ამის შანსი არ მისცა. ვერ დავეთანხმები მტკიცებას, რომ „იუნაიტედს“ დიდი ტრანსფერების შანსი არ ექნება მარტო იმიტომ, რომ ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს. ხელმძღვანელობამ არ უნდა გაიმეოროს შარშანდელი შეცდომა და სასურველია ახალწვეულები, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიყვანოს გუნდში. მათ ამისთვის დრო საკმარისზე მეტი აქვთ“.*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ტრადიციული შეხვედრები

შოთა ხაბარელი



# ყოველმხრივ გამორჩეული

გუშინ „ლიდერბეთში“ მორიგი შეხვედრა გაიმართა ქართული სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენელთან. ამჯერად ლონისძიების სტუმარი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში, პარლამენტარი **შოთა ხაბარელი** იყო.

როგორც ყოველთვის ასეთ შეხვედრაზე, „ლიდერბეთში“ ახლაც ბევრმა ტიტულოვანმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ მოსკოვის ოლიმპიადის ქართველი ჩემპიონები - **ქეთევან ლოსაბერიძე** და **ვახტანგ ბლაგიძე**. თუმცა როგორც გაირკვა, ისინი თანამემამულის ოლიმპიურ ტრიუმფს არ დასწრებიან და ეს წარმატება მხოლოდ თამაშების დასრულების შემდეგ მიულოცეს.

მშვილდოსანთა ასპარეზობა თამაშების ბოლოს იმართებოდა და როცა შოთა იგებდა, მე ვარჯიშზე ვიყავიო, განაცხადა ლოსაბერიძემ, ბლაგიძემ კი დასძინა, ჩემი გამოსვლის მეორე დღესვე გამომაბრუნეს საქართველოში, ვინ მიმალოცვინაო. მოგეხსენებათ, საფინალო სასტვენის შემდეგ მან პირჯვარი გადაიწერა, რასაც იმ გაგანია კომუნიზმის ეპოქაში რა ამბავიც მოჰყვებოდა, ახსნა არ გჭირდებათ. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ხაბარელის მედლები. მით უფრო, რომ ჩვენში მისი კოლექციიდან რატომღაც მხოლოდ ოლიმპიური ოქროა ცნობილი. არადა, სხვა ჯილდოებიც ბლომად ჰქონდა - არის მსოფლიოს პირველობის მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატებზე პირად პირველობაში ორჯერ ფინალი იჭიდავა, ამდენივეჯერ კი ბრინჯაო მოიპოვა, ორჯერ მოიგო ევროპის გუნდური პირველობა, ასევე ორჯერ გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ერთხელ - სპარტაკიადისა.

ხაბარელის სპორტულსა თუ პიროვნულ ღირსებებზე, ძიუდოში გადადგმულ მის პირველ ნაბიჯებზე ვრცლად ისაუბრეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ძიუდოში **თემურ ხუბულურმა** და სეოკის პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში **ლერი ხაბელოვმა**, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა - **რაფაელ ჩიმიშკიანმა, ვაჟა კაჭარავამ**, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძემ**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ირაკლი დოლაბერიძემ**, სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა**, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **გიორგი გორგოძემ** და ჟურნალისტთა დიდმა არმიამ.

გასახსენებელ-სათქმელი კი ყველას ბევრი ჰქონდა როგორც სპორტსმენზე, როგორც - მწვრთნელსა და როგორც - პიროვნებაზე. ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია, ყველა დამეთანხმება, ხაბარელს მუდამ ახსოვდა, საზოგადოებისთვის ცნობადი სახე რომ იყო, თუმცა ეს არასოდეს გადადიოდა ქედმაღლობაში, არასოდეს დაგყურებდა ზევიდან. პირიქით - კარგად აცნობიერებს ამ ცნობადობის თანამდევ პასუხისმგებლობას, რა ეკადრება და რა - არა ანუ ის, რაც ბევრისთვის ინდულგენცია-პრივილეგიაა, მისთვის ტვირთია, საზოგადოებრივი ტვირთი.

ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული უკვე თავისთავადაა სპორტული დონის განმსაზღვრელი და ამას დამატებითი ახსნა არ სჭირდება, რადგან სპორტში უფრო დიდი სიმაღლე არ არსებობს, მაგრამ ტატამიდან წასვლის შემდეგ ხაბარელმა ისევ დაიპყრო ეს მწვერვალი უკვე მწვრთნელის რანგში. თანაც - ამჯერად ორჯერ, როცა თავის შეგირდებს - ჯერ **ზურაბ ზვიადაურს**, მერე კი **ირაკლი ცირეკიძეს** ზედიზედ ორ თამაშებზე მოაპოვებინა ეს ტიტული. ახალ ასპარეზზე მოპოვებული წარმატებებით ხაბარელი გამორჩეული ფიგურა გახდა არა მარტო ქართულ სპორტში - იშვიათია დიდი სპორტსმენი, რომელიც ასევე დიდი მწვრთნელიც დგება, თუმცა სამწვრთნელო ასპარეზზე მისი მიღწევა ამით არ ამოიწურება - ის ოთხჯერ დაასახელეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად, რაც ასევე გამორჩეული შედეგია. ამასთან, ნაკრებს რამდენჯერმე მოაგებინა ევროპისა და მსოფლიოს გუნდური პირველობები. ამ ყველაფერმა მას დიდი ავტორიტეტი შესძინა უცხოეთში, ძიუდოს მთელ სამყაროში.

თევზაძემ გაიხსენა სიდნეის ოლიმპიადა, სადაც მისი ავტორიტეტის წინაშე საერთაშორისო ფედერაციამ მოიდრიკა ქედი, ჩვენმა კოლეგა **მიხეილ აბაიშვილმა** კი მოიგონა იტალიურ ანკონაში თავს გადახდენილი, როცა სასტუმროში პასპორტი დარჩენია, კარაბინერებმა კი უპასპორტო უცხოელი თურმე კინაღამ დააკავეს. ამ ინციდენტს იმით გადაურჩა, რომ ერთ-ერთი კარაბინერი ძიუდოისტი აღმოჩნდა, რომელმაც ხაბარელის და სხვა ქართველების ხსენებისას დაპატიმრება კი არა, დახმარება აღმოუჩინა.

ხაბარელის საერთაშორისო ავტორიტეტის დასტურს ერთხელ მეც შევესწარი, 2007 წელს რიო დე ჟანეიროში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე. მაშინ მასპინძელთა დაუდევრობით თავისუფლად შევდიოდი სპორტსმენთა გასახურებელ დარბაზში და ფოტოებს ვიღებდი. ერთხელაც ხაბარელის გვერდით აღმოვჩნდი, რომელიც თავის შეგირდებს აკვირდებოდა, მე კი კადრებზე ვმეცადინობდი. ამ დროს შევხედე, დარბაზის შორეული კუთხიდან როგორ გამოემართა პირდაპირ ჩემკენ მოხალისე (ე.წ ვალანტიორი) ბიჭი - აპარატის დანახვაზე ისე შემომხედა, აშკარა იყო, გამარჯობის სათქმელად და მოსაკითხად არ მოდიოდა. როცა მოგვიახლოვდა, ამ დროს ხაბარელმა რაღაც გადმომილაპარაკა. აღარც მახსოვს, რა მითხრა, მაგრამ ამის დანახვაზე ბიჭი შედგა, ერთად ხართო, ჩაილაპარაკა და ხელით ერთმანეთზე გვანიშნა, მერე კი დაამატა, საქართველოს ნაკრები ძლიერიაო და გაბრუნდა. ვერ გეტყვით, რა იცოდა ხაბარელის და ქართული ძიუდოს შესახებ (არადა, ჩემდა გასაკვირად, ბრაზილიელებს ევროპელებზე ბევრად მეტი გაეგონათ საქართველოზე. მაგალითად, იცოდნენ, რომ რუსები არ ვართ), მაგრამ მოგვიანებით ხაბარელს რომ გავშორდი, ის ბიჭი ისევ მოვიდა და დარბაზში გადაღება არ შეიძლებაო - მითხრა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალში გავიდნენ

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) წყვილთა შორის მე-2 ნომრად განთესილმა **ეკატერინე გორგოძემ** და **სოფიო ქვაცაბაიამ** მეოთხედფინალში პეი-ჩი ლიისა (ტაივანი) და ტინა ტეჰრანის (აშშ) დუეტს ორ სეტში სძლიეს - 6:4, 7:5 და ნახევარფინალში იულია კალაბინას-მაია კაციტაძის (ორივე-რუსეთი) ტანდემს დაუპირისპირდებიან. იულიამ და მაიამ კი გუშინ თანამემამულეები - ანასტასია და ანა პრიბილოვები ჩამოიშორეს გზიდან - 7:6, 6:4.

სამწუხაროდ, ქვაცაბაიამ ერთეულებში ვერ იყოჩაღა - მეორე წრეში შვედ სუსანე გელიკს დანებდა - 2:6, 1:6.

**ვაჟა დანელია**

ბატუტზე ხტომა

# ქართველთა დუეტმა კვალიფიკაცია მოიგო

პორტუგალიურ გიმარაეშში დაიწყო ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 10 წარმომადგენელი მონაწილეობს ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **ზაურ სულაშვილის** ხელმძღვანელობით.

ასპარეზობის პირველი დღე სინქრონულად მოხტუნავეებს დაეთმოთ - როგორც უფროსებს, ისე ახალგაზრდებს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 16-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონებმა - **ანა ოდიშვილმა** და **თეონა ჯანჯღავამ** (პირადი მწვრთნელი **ლია ხრიკული**) რომლებმაც მაღალი ოსტატობითა და ვარჯიშების სირთულით თვით არბიტრებიც კი მოხიბლეს. ქართველთა დუეტმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 79.200 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ შვეიცარიელებს - მოირა ჯილბერტოსა და ლუჩია ჩაკარტის 0.700 ქულით გაუსწრო. 72.200 ქულით მესამე ადგილი პორტუგალიელებმა - მარიანა კარვალიომ და ანა რამოსმა დაიკავეს.

უფროსებში **ნანა გოგაშვილისა** და **თამარ კაკაშვილის** ტანდემის იმედი გვქონდა. ისინი ხომ 18-წლამდელებში მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორები არიან. ქართველმა სპორტსმენებმა ამჯერად საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინეს და საბოლოოდ 17 დუეტს შორის 48.000 ქულით მხოლოდ მე-13 ადგილს დასჯერდნენ. აქ რუსებმა - იანა პავლოვამ და ვიქტორია ვორონინამ იყოჩაღეს - 84.000 ქულით პირველობა არავის დაუთმეს. ლიდერებს 0.700 ქულით ჩამორჩნენ უკრაინელები - მარინა კიიკო და ნატალია მოსკვინა. 79.800 ქულით მესამე ადგილი ფრანგებს - მარინა ჟურბერტსა და ჟოელ ვალეზის ერგოთ.

მამაკაცებში ასპარეზობდა **თენგიზ კოშკაძისა** და **გიორგი ფუტკარაძის** ტანდემი, თუმცა მათ დიდი ვერაფრით გამოიჩინეს თავი - 80.300 ქულას მოუყარეს თავი, რაც მხოლოდ მე-14 ადგილისთვის ეყოთ. პირველი-მესამე ადგილები აქ ასე განაწილდა: 1. სერგეი აზარიანი, მიხაილ მელნიკი (რუსეთი, 91.200), 2. ულძისლაუ ხანჩაროვი, ნიკოლაი კაზაკი (ბელარუსი, 87.900). 3. დიოგო განჩინჰო, რიკარდო სანტოსი (პორტუგალია, 87.600).

გიმარაეშის ბატალიები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ახალგაზრდებისთვის იქ 2014 წლის ნანჯინგის მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშებისა და უფროსებისთვის ბაქოს 2015 წლის ევროპის პირველი ოლიმპიური თამაშების საგზურებიც თამაშდება.

როგორც სინქრონულ, ისე ინდივიდუალურ ხტომებში ფინალური პაექრობები კვირას - 13 აპრილს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



მარცხნიდან - ზაურ სულაშვილი, თეონა ჯანჯღავა, ანა ოდიშვილი, ლია ხრიკული

ფარიკაობა

# მოხმალავეთა გუნდური მე-15 ადგილი

ბულგარულ პლოვდივში დღეს დამთავრდება კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმაც იასპარეზეს.

როგორც გაუწყეთ, კადეტებში მოხმალავე **ნიკა შენგელიამ** მე-9 ადგილით ნანჯინგის მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა. დანარჩენმა ჩვენმა მოფარიკავეებმა სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს. ახალგაზრდა მოხმალავეებმა (**მიხეილ მჭედლიშვილი, საბა სულამანიძე, დავით უკლება**) გუშინ გუნდურშიც მოსინჯეს ძალები. ჩვენმა ბიჭებმა პლეი ოფში პირველი შეხვედრა მექსიკელებს მოუგეს - 45:41, მერვედფინალში რუსებთან დამარცხდნენ - 33:45 და 29 ნაკრებს შორის მე-15 ადგილი დაიკავეს.

კადეტმა მოფარიკავეებმა 66 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის საერთო გუნდურ ჩათვლაში 28-ე საფეხურზე დაიმკვიდრეს ადგილი, ახალგაზრდები კი მათ 8 ადგილით ჩამორჩნენ.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# მედლები გაინაწილეს

სასპორტო კომპლექს „არენაში“ გუშინ დასრულდა 2000-2001 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობა. ბოლო ტურამდე, როგორც ვწერდით, ოქროს და ვერცხლის მფლობელები გამოვლინდნენ. გუშინ ბრინჯაოს პრიზიორის ვინაობაც გახდა ცნობილი: ფოთის გუნდმა (დავით დანელია, თეზიკო ბჟალავა, რევაზ დიდია, კახაბერ გოგავა, გიგა ცხვარაძე, საბა შარტავა, ლუკა ლორთქიფანიძე, ჯანო ჯიქია, ნოდარ გურეშიძე, დავით ფანცულაია, საბა ნულაია, მწვრთნელები - გელა ჟვანია, თემურ ჭანტურია) თბილისის „ქარიშხალას“ 20:14 აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა. „სამტრედია“, რომელსაც ბოლო ტურამდე მესამე საფეხური ეკავა, წლევანდელ ჩემპიონ „პეგასთან“ (ირაკლი დიხამინჯია, გიორგი ლაპიაშვილი, აკაკი პატაშური, დავით ბახუტაშვილი, ნიკა კევლიშვილი, ნიკოლოზ კალანდაძე, გიორგი ცხოვრებაძე, გიორგი მაისურაძე, გიორგი ქათამაძე, გიორგი კუხალაშვილი, ლუკა ცხვიტარია, გიორგი კაჭკაჭაშვილი, ილია ნარსია, გიორგი კევლიშვილი, მწვრთნელები - გიორგი სახვაძე, ტიტე კალანდაძე)

21:27 დამარცხდა, ზღვისპირელებთან ერთად 8-8 ქულა მოაგროვა, მაგრამ ურთიერთშეხვედრაში უარესი ბალანსით მე-4 ადგილს დასჯერდა. ვერცხლის პრიზიორმა „გორმა“ (ბაკურ ჯაფარიძე, სანდრო გლუნჩაძე, თორნიკე თამარაშვილი, ბექა გახოკიძე, მიხეილ ტარუაშვილი, თორნიკე ქურდაძე, ნიკა სამნიაშვილი, ბიძინა გოგინაშვილი, დავით ნიაზაშვილი, ალეკო გუდურაშვილი, გიორგი ლურსმანაშვილი, მიხეილ მარტინოვი, ლუკა მაისურაძე, ნიკა მურადაშვილი, მწვრთნელები - გია მამაცაშვილი, თორნიკე გაგლოშვილი) „ქუთაისს“ მოუგო - 18:14.

საბოლოო მდგომარეობა: „პეგასი“ - 14, „გორი“ - 12, „ფოთი“ - 8, „სამტრედია“ - 8 (პირადი შეხვედრა 20:18), „ქუთაისი“ - 6, „ქარიშხალა“ - 4, „თელავი“ - 2, „ზუგდიდი“ - 2 ქულა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი



ბაადურ ჯობავა (მარცხნივ) და გატა კამსკი

# დაზავდნენ და ლიდერობა შეინარჩუნეს

## ჯობავამ ბელორეჩენსკის გუნდი დააწინაურა

ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა** რუსეთის მოჭადრაკეთა გუნდურ ჩემპიონატში ბელორეჩენსკის „უნივერსიტეტის" ლიდერია. მეორე-მესამე ტურებში მან დმიტრი იაკოვენკო („იუგრა") და გატა კამსკი („ლადია") დაამარცხა, რითაც თანაგუნდელებს (ევგენი ალექსეევი, მიხეილ ქობალია, კონსტანტინ ლანდა, პაველ ტრეგუბოვი, ალექსეი ალექსანდროვი, სერგეი ბეშუკოვი, ალექსანდრ ჩერნიაევი) შეუპოვარი ბრძოლის ჩინებული მაგალითი მისცა. სტუდენტებმა სამი ტურის შემდეგ 6 ქულა მოაგროვეს და ვარსკვლავებით დახუნძლულ სვერდლოვსკის „მალაქიტთან" (სერგეი კარიაკინი, ალექსანდრ გრიშჩუკი, პეტერ ლეკო, ალექსეი შიროვი, იგორ ლისი, ვიქტორ ბოლოგანი, ალექსანდრ მოტილევი, ვლადიმირ მალახოვი) ერთად დაწინაურდა. გუშინ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ორთაბრძოლის გაუმწვავებლად ექვსივე დაფაზე დაზავდნენ: სერგეი კარიაკინი-ბაადურ ჯობავა, ალექსანდრ გრიშჩუკი-ევგენი ალექსეევი, პეტერ ლეკო-მიხეილ ქობალია, ალექსეი შიროვი-კონსტანტინ ლანდა, იგორ ლისი-პაველ ტრეგუბოვი, ვიქტორ ბოლოგანი-ალექსეი ალექსანდროვი. 7-7 ქულით ლიდერებმა მეწინავეობა შეინარჩუნეს.

ვაჟთა ჩემპიონატში თუ 13 გუნდი იბრძვის მედლებისთვის, ქალებში მხოლოდ ოთხი მონაწილეობს. ყაზანის „ლადიას" სპორტულ ღირსებას იცავს **ნინო ბაციაშვილი.** მას პარტნიორობას უწევენ ალისა გალიამოვა, ეკატერინა ატალიკი, ელენა ზაიაცი და კარინა ამბარცუმოვა. პირველი წრის შემდეგ 4-4 ქულით „იუგრა" და „ნაშე ნასლედსტვიე" ლიდერობენ. „ლადია" მათ ქულით ჩამორჩება. ჩიგორინის კლუბს ერთი ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

# გრან პრი: დღე მეორე

ხანტი-მანსიისკში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის მეოთხე ეტაპი. გუშინ მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. **ნანა ძაგნიძე** თეთრი ფიგურებით ანა მუზიჩუკს (სლოვენია) დაუზავდა. დანარჩენი პარტიები: ეკატერინა ლაგნო (უკრაინა)-ოლგა გირია (რუსეთი) 1:0, ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი)-ჟაო სიუე (ჩინეთი) 1:0, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)-ანა უშენინა (უკრაინა) 1:0, ტუვშინთუგს ბატჩიმეგი (მონღოლეთი)-ჰოუ იფანი (ჩინეთი) 0:1, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)-ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) 0:1.

ორი ტურის შემდეგ: ჰოუ იფანი-2, მუზიჩუკი, სტეფანოვა - 1,5-1,5, გირია, კოსინცევა, ლაგნო, მუმინოვა, უშენინა, ჟაო სიუე - 1-1, ძაგნიძე, კოსტენიუკი - 0,5-0,5, ბატჩიმეგი - 0 ქულა.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: უშენინა-კოსტენიუკი, ჟაო სიუე-სტეფანოვა, გირია-მუმინოვა, მუზიჩუკი-ლაგნო, ჰოუ იფანი-ძაგნიძე, კოსინცევა-ბატჩიმეგი.

**ვაჟა დანელია**

## მილოცვები



„ლელოს" რედაქცია და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დაბადების 70 და პროფესიული მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეო თარიღებს ულოცავენ ვეტერან კოლეგას, კომენტატორს, რადიო „ჯაკოს" დამფუძნებელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კალათბურთში, „ქართულ სპორტულ ტელეჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრემიის ლაურეატს, კოტე მახარაძის სახელობის პრემიის ლაურეატს, „საპატიო თბილისელს", ქართულ -ებრაული ძმობის სიმბოლოს **ჯამლეტ ხუხაშვილს.**

ბატონო ჯამლეტ!

ფსკ „დინამო" და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი დაბადების 70 და პროფესიული მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეო თარიღებს გილოცავთ ღვაწლმოსილ სპორტულ კომენტატორს, ადამიანს, რომლის მრავალმხრივი გარჯა და ამაგი სამარადჟამოდ დარჩება ქართული სპორტის მატიანეში.

გმადლობთ იმ ძმობა-სიყვარულისათვის, რასაც თქვენ იჩენთ ადამიანების მიმართ, ადამიანებისა, რომლებიც თქვენ ძალიან გიყვართ და მათაც უყვარხართ, როგორც მრავალი ღირსებებით შემკული პიროვნება.

გილოცავთ!

**გურამ სალარაძე,**
**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში**

კალათბურთი. ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

# სლოვენიიდან ევრობასკეტისკენ

**ამ კვირაში სლოვენიიდან დაბრუნდა საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ამჟამად კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა. მასთან საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებულ სიახლეებზე ვილაპარაკეთ. მოგეხსენებათ, წინასწარაა დაგეგმილი, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი მოსამზადებელი ეტაპის ძირითად ნაწილს სლოვენიაში გაივლის.**

- ნაკრები ევროპის 2013 წლის ჩემპიონატისთვის სწორედ სლოვენიაში, დაბა პოდჩეტრტეკში მოემზადა. კმაყოფილები იყვნენ მწვრთნელებიცა და კალათბურთელებიც. ამიტომ გადაწყდა, რომ გუნდი წლეულსაც სწორედ პოდჩეტრტეკში გაივლის შეკრებას. ეს ადგილი იმიტომაცაა მისაღები, რომ ძალიან ახლოსაა როგაშკა სლატინასთან, სადაც ოთხთა ტურნირი გაიმართება. სურვილი, როგორც ევროპის ერთ-ერთ ძლიერ ნაკრებთან. მოგეხსენებათ, ოთხთა ტურნირის სათამაშოდ სლოვენიის გარდა მაკედონიამაც მიგვიწვია, ხოლო ევროპის ვიცე-ჩემპიონ ლიტვასთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ.

**- შეკრების დასკვნითი ეტაპი თბილისში გვაქვს.**

- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევზე პირველ შეხვედრას თბილისში ჩეხეთის წინააღმდეგ ჩავატარებთ. ამიტომ, აუცილებელია სპორტის სასახლესთან გაშინაურება. მართალია, ეს დარბაზი და ფარები ჩვენი ნაკრების კალათბურთელებისთვის უცხო არ არის, მაგრამ მთელი წელი სხვაგან რომ გიწევს თამაში, მაინც საჭიროა ერთგვარი ალღოს აღება. ამ საქმეში სამი ამხანაგური მატჩი გუნდს ძალიან წაადგება. თან ისეთი მეტოქეები არ გვეყოლება, მათი ძლევა ვერ შევძლოთ (ბელარუსი, დიდი ბრიტანეთი, მესამე მალე გაირკვევა) და ჩეხეთთან ოფიციალურ დაპირისპირებას, წესითა და რიგით, კარგი განწყობით უნდა შევხვდეთ. ნებ, ქართულ კერძებს გავასინჯებ... თუ თამაშამდე წამომყვა, უკეთესი იქნება. ეს ხუმრობით, თორემ ყველამ კარგად ვიცით, ასეთი თამაშის წინ რეჟიმს არავინ დაარღვევს. რაც შეეხება უშუალოდ ჩეხეთთან დაპირისპირებას, მიმაჩნია, რომ შეგვწევს ძალა, მეტოქეს შინ ვაჯობოთ.

**- გასვლაზე?**

- ჩეხეთი სუსტი მოწინააღმდეგე ნამდვილად არ არის, თუმცა მისი სტუმრად დამარცხებაც შეიძლება. მხოლოდ მათემატიკურად რომ ვიმსჯელოთ, კმაყოფილი ვიქნები, თუ ჯგუფში ექვსიდან 5 მატჩს მოვიგებთ და პირველ ადგილზე გავალთ. ამ ეტაპზე მთავარია ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისთვისაც ნაკრების კალათბურთელები შესარჩევ ტურნირს ჯანმრთელად შეხვდნენ.

**- როგორც ვიცით, საქართველოს ნაკრების ეკიპირებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ფირმასთან გქონდათ მოლაპარაკებები.**

- მოლაპარაკებები იყო, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არ გვაქვს ისეთი სახელი,



**- ცნობილი იყო, რომ სლოვენიის ტურნირზე სამ გუნდს უნდა ეთამაშა, სლოვენიას, საქართველოსა და კანადას...**

- მეოთხე უკრაინა იქნება. ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას მოსამზადებელ გეგმებში გარკვეული ცვლილებების განხორციელებამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო მოუწია. კარგია, რომ უკრაინელებსაც დავუპირისპირებით. ისინი ხომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მონაწილეები არიან, ისევე როგორც სლოვენიელები. ჩვენი ნაკრებისთვის ასეთ გუნდებთან გაჯიბრება ძალიან სასარგებლო იქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კანადა ამერიკის კონტინენტის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია.

**- გამოდის, რომ მოსამზადებელ ეტაპზე 11 მატჩის გამართვა გვიწევს. ერთი შეხედვით, ეს კარგია, მეორე მხრივ, საინტერესოა კალათბურთელების გადაღლას ხომ არ გამოიწვევს. როგორც ყოფილ მოთამაშეს, ამ საკითხთან დაკავშირებით რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ჩემი აზრით, რაც მეტია საკონტროლო მატჩი, მით უკეთესი. ვლაპარაკობთ ამხანაგურ დაპირისპირებებზე, რომელთა მოგება-წაგებაზე არაფერია დამოკიდებული და მწვრთნელი ნამდვილად არ დატვირთავს წამყვან კალათბურთელებს. სწორედ საკონტროლო შეხვედრებში მიეცემა ახალგაზრდების მოედანზე გამოცდის საშუალება, ხოლო კალათბურთელებს - გუნდთან შეგუების კარგი შანსი ექნებათ. ევროპაში, სხვადასხვა ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან საუბრისას სიამაყით ვივსებოდი, რადგან ბევრს ჰქონდა ჩვენთან თამაშის

**- ჩეხეთის ნაკრებში თქვენი ყოფილი თანაგუნდელი (სლოვენიის „ოლიმპიაში") ირჟი ველში თამაშობს. წილისყრის შემდეგ ხომ არ გისაუბრიათ?**

- ირჟი გამოცდილი კალათბურთელია, NBA-შიც უთამაშია. მართალია, საკმაოდ ასაკოვანია, მაგრამ შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს და საქართველოშიც ჩამოვა. მე კი, როგორც მეგობარს, პატივს ვცემ, თბილისს დავათვალიერებიფირმებმა რეკლამის სანაცვლოდ უფასოდ გადმოგვცეს ფორმები. მაგალითად, სლოვენიის ნაკრებს „სპალდინგი" მოსავს და სრულ ეკიპირებას უფასოდ აძლევს. ჩვენი ნაკრები, ალბათ, ისევ ლიტვური „ტუტას" პროდუქციას მოირგებს. 2009 წლიდან 2011-მდე სწორედ ამ ფირმის ფორმებით ვთამაშობდით.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამინისტრო


მარცხნიდან: ლერი ხაბელოვი, ლევან ყიფიანი, თამაზ თევზაძე
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# თანამშრომლობის მემორანდუმი

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს - მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა.**

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ჟურნალისტების შეკითხვებს მინისტრთან და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან ერთად მინისტრის მოადგილემ **თამაზ თევზაძემ** და ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა** უპასუხეს.

მემორანდუმის მიზანია: საქართველოში ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიური სახეობების შემდგომი განვითარება, მოსახლეობის ფართო ფენებში მათი პოპულარიზაცია, ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის აღნიშნული სახეობებით დაინტერესების ამაღლება, ნანჯინგის ზაფხულის II ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისათვის სათანადოდ მომზადება.

ასევე, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და ქართველი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლისათვის ხელშეწყობა. პირველი ევროპული თამაშების ბაქო 2015-ის სალიცენზიო ტურნირებისათვის მომზადება და მონაწილეობა, ავსტრია-ლიხტენშტეინი - 2015 ზამთრისა და თბილისი- 2015-ის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება.

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური**

● ჭადრაკი

# შეხვედრა ქასოშვილთან

გორელმა მოჭადრაკემ **ციალა ქასოშვილმა** პორტუგალიის ქალაქ პორტუში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სენიორებს შორის ხუთი სხვადასხვა ხარისხის მედალი მოიპოვა. მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებიდან წარმატებით დაბრუნებულ მოჭადრაკეს „გორის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" შეხვედრა მოუწყვეს.

შეხვედრას ქალბატონი ციალას მეგობრები, სპორტის გულშემატკივრები, ქალაქის ხელმძღვანელები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოდან ხუთი მონაწილე ასპარეზობდა – **ნონა გაფრინდაშვილი,** ციალა ქასოშვილი, **ნინო გურიელი, თამარ ხმიადაშვილი, ზურაბ სტურუა.**

გორელმა მოჭადრაკემ კლასიკურ ჭადრაკსა და ბლიცში ვერცხლის მედლები მოიპოვა. რაპიდში ყველას აჯობა და ოქრო ერგო, ხოლო კიდევ ორი ბრინჯაოს მედალი ბლიცსა და რაპიდში მამაკაცებს შორის დაიმსახურა.

ქასოშვილმა ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ მიიღო. იგი ამ რანგის შეჯიბრებაში (+50 ასაკში) პირველად ასპარეზობდა და დებიუტის მიუხედავად, საკმაოდ კარგად გამოვიდა. ქალბატონი ციალა გორის სასპორტო სკოლაში ჭადრაკის სექციის პედაგოგია, წლების განმავლობაში კი შიდა ქართლის ჭადრაკის რეგიონულ ფედერაციასაც ხელმძღვანელობდა.

*„პორტუში მიღწეული შედეგი ჩემთვისაც ერთგვარი მოულოდნელობა იყო, რადგან იქ ისე წავედი, რომ არც ვიცოდი ვინ იქნებოდნენ მეტოქეები, არ მყოლია მწვრთნელი და განსაკუთრებით თავიდან, როგორც დებიუტანტი, გვარიანადაც ვღელავდი. სწორედ ამის ბრალია, პირველივე შეხვედრაში მომგებიან სიტუაციაში, როდესაც მოწინააღმდეგეს თეთრებით ვეთამაშებოდი, შემოთავაზებულ ყაიმზე დავთანხმდი. ეს რომ არა, კლასიკურ ჭადრაკშიც პირველ ადგილზე გავიდოდი. საგულისხმოა, რომ კლასიკურ ჭადრაკში ერთადერთი ვიყავი, ვისაც არც ერთი პარტია არ წაუგია (5 მოგება, 4 ყაიმი), თუმცა მე და ტატიანა ფომინას ერთნაირი ქულები დაგვიგროვდა და ამ უკანასკნელს უპირატესობა მოგებების რაოდენობის ხარჯზე მიანიჭეს, მე კი ვერცხლით დავკმაყოფილდი. ადრე არასოდეს მიმიღია მონაწილეობა რაპიდში, რომელიც 15-წუთიანი პარტიებისგან შედგებოდა, მაგრამ სასიხარულოა, რომ საუკეთესო შედეგი ვაჩვენე. ზოგადად კი ჩემს გამოსვლას უდავოდ წარმატებულად შევაფასებ. საბედნიეროდ, ევროპის ჩემპიონატს ძალიან კარგ ფორმაში შევხვდი"* - მოუთხრო შეკრებილ საზოგადოებას პორტუგალიური პერიპეტიების შესახებ ქასოშვილმა.

აუდიტორიასთან ერთად ქალბატონმა ციალამ გორში ჭადრაკში არსებულ ვითარებაზე, პოზიტიურ ძვრებსა და პრობლემებზეც ისაუბრა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პრობლემათა მოგვარებაში მას თანადგომას დაჰპირდნენ. ბოლოს ევროპის ჩემპიონმა შეხვედრის მონაწილეებთან ერთობლივი სეანსი გამართა.

**ვასილ ბალახაძე**

● რაგბი. მსოფლიოს ალაფა

# საქართველო-აშშ, ფინალის ტოლფასი მატჩი

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები დღეს მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფას გათამაშებაში ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩს აშშ-ის ნაკრებთან გამართავს. ორივე გუნდმა პირველ ტურში გამარჯვებას მიაღწია და ფინალში გასვლის რეალური შანსი აქვს.**

ამერიკელებმა ტურნირის სტარტზე მასპინძელს, ჰონგკონგის ნაკრებს მოუგეს, რომელიც ამ შეჯიბრებაზე ყველაზე სუსტი გუნდია. ჩვენმა ბიჭებმა კი, პატარა გმირობა ჩაიდინეს და ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი, ტონგას ნაკრები დაამარცხეს. ცხადია, ამერიკელებთან დაპირისპირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ჩვენმა ნაკრებმა გაიმარჯვა, ვფიქრობთ, ბოლო ტურში მასპინძლების ძლევა აღარ გაუჭირდება და ფინალში გავა. ამერიკელები კი, ბოლო ტურში კუნძულელებს დაუპირისპირდებიან.

გუშინ „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" კაპიტნის ვარჯიში გამართეს. სამწვრთნელო შტაბის განცხადებით, გუნდმა ტონგასთან გამართული მატჩის შემდეგ ერთი დღე განტვირთვას დაუთმო და მერე ტურნირის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩისთვის მზადება დაიწყო.

**ზურაბ ამონაშვილი,** საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

*„ტონგასთან თამაშისას ტრავმა, საბედნიეროდ, არავის მიუღია. სამწუხაროდ შიორგი აფციაურს წინა კვირას მიღებული ტრავმა კვლავ აწუხებს და ის ვერ შეძლებს თამაშს. იმედი გვაქვს, რომ ტურნირის ბოლომდე მისი მდგომარეობა გამოსწორდება. როლანდ კვაჭაძე კი, ამჯერად უკეთეს ფორმაშია, მაგრამ მაინც არ ვრისკავთ და დაველოდით, სანამ საბოლოოდ მოიშუშებს ტრავმას.*

აშშ-ის ნაკრების თამაშს დავესწარით და მოგვიანებით ვიდეოანალიზიც გავაკეთეთ. შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ ორგანიზებული გუნდია, ფიზიკურად დიდი და სწრაფი ბიჭები ჰყავთ როგორც შერკინებაში, ისე უკანა ხაზშიც. საკმაოდ ადვილად კვეთენ უპირატესობის ხაზს. რაკში ბურთს სწრაფად ასუფთავებენ. ჰონგკონგის ნაკრების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ პირველ ნახევარში ისინი მედგრად იცავდნენ თავს და ანგარიშიც მხოლოდ 8:0 იყო აშშ-ს სასარგებლოდ, მაგრამ მეორე ტაიმში, თავიანთი ფიზიკური თვისებებისა და ორგანიზებულობის ხარჯზე, ამერიკელებმა შეძლეს მასპინძლების გატეხა და მატჩი 37:0 მოიგეს.

ტონგასთან თამაშში ჩვენი გუნდის შესაძლებლობების მხოლოდ სამოცი პროცენტი გამოჩნდა. აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგეს ვიდეოანალიზის გაკეთება სრულ სურათს ვერ მისცემს და ჩვენც გარკვეულ სიურპრიზებს შევთავაზებთ. ამასთან ერთად, ჩვენ ჰონგ კონგზე ბევრად უკეთესად ვთამაშობთ ერთი-ერთზე და უფრო აგრესიულ დაცვას ვთამაშობთ, შესაბამისად, ამერიკელ მორაგბეებს გაუჭირდებათ თავიანთი დადებითი თვისებების გამოყენება.

გუნდმა პირველი თამაშის შემდეგ ერთი დღე განტვირთვას დაუთმო. ახლა უკვე ოპტიმალურ ფორმაში იმყოფებიან, რაც კაპიტნის ვარჯიშზეც გამოჩნდა. ბიჭები საკმაოდ მოტივირებულნი არიან. მათ ესმით თუ რაოდენ მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს. ეს ფაქტობრივად ფინალის ტოლფასი მატჩია. აშშ-სთან მოგებით ჩვენი ფინალში გასვლის შანსი საგრძნობლად გაიზრდება."

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ნაკრების მწვრთნელებს ცვლილება არ განუხორციელებიათ და ამერიკელებს გამარჯვებული რაზმით დაუპირისპირდებიან. თამაში თბილსის დროით 11 საათზე დაიწყება.

**საქართველო**

15. დავით გულიტაშვილი, 14. მურაზ გიორგაძე, 13. გიორგი ფრუიძე, 12. გიორგი ტალახაძე, 11. შალვა შაშიაშვილი, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. რევაზ ბროძელი. 1. ზაურ ხარებავა, 2. ბადრი ალხაზიშვილი, 3. გიორგი მარგველანი, 4. ფარნავაზ გასვიანი, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. საბა შუბითიძე, 7. ბადრი დანგაძე, 8. ვახტანგ ამირანაშვილი.

16. გიორგი თორაძე, 17. ბექა კაკაბაძე, 18. დავით პაპავაძე, 19. ჟორა მღებრიშვილი, 20. თემურ თუთბერიძე, 21. გიორგი ბაბუნაშვილი, 22. დევი დევსურაშვილი.

**მსოფლიოს ალაფა**

**A ჯგუფი**

საქართველო-აშშ, ტონგა-ჰონგკონგი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აშშ - 5 ქულა, 2. საქართველო - 4, 3. ტონგა - 0, 4. ჰონგკონგი.

**B ჯგუფი**

იაპონია-ნამიბია, კანადა-ურუგვაი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ნამიბია - 5 ქულა, 2. ურუგვაი - 4, 3. იაპონია - 2, 4. კანადა - 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**


საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების სამზადისი

● რაგბი. ევროპის ჩემპიონატი

# დავძლიოთ ირლანდიური ბარიერი

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები დღეს ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩს გამართავს. „უმცროსი ბორჯღალოსნები" პოლონეთის ქალაქ პოზნანში ირლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

ელიტარულ გუნდებთან ჩვენი მორაგბეები მიჯრით მესამე წელიწადია ასპარეზობენ, მაგრამ წლეულს მოხდა პირველად, როცა პირდაპირ, შესარჩევი ტურნირის გარეშე მოგვცეს ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება. ეს „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" განვლილ ორ ტურნირზე ორივეჯერ იტალიის ნაკრების დამარცხებით დაიმსახურეს.

პოლონეთში მზადების პერიოდში გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა თქვა, წლეულს შარშანდელი შედეგი უნდა გავაუმჯობესოთო. ეს პირდაპირ რომ ვთქვათ, ირლანდიის ნაკრებთან გამარჯვებას და საუკეთესო ოთხეულში მოხვედრას ნიშნავს.

საბრძოლო რაზმი ცნობილია. ტრავმირებული არავინაა და ნაკრები, შეიძლება ითქვას, რომ ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ მეოთხედფინალში შარშან სწორედ ირლანდისთან დავმარცხდით, არადა იმ მატჩის მოგება რეალურად იყო შესაძლებელი.

თამაში თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება.


საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ირლანდიასთან მატჩის წინ

**საქართველო**

15. ირაკლი სვანიძე, 14. დავით ლობჟანიძე, 13. სანდრო ილურიძე, 12. გიორგი კოშაძე, 11. გიორგი მელაძე, 10. კონსტანტინე ახობაძე, 9. ვასილ ლობჟანიძე. 1. ნიკა ნეფარიძე, 2. ვანო მარგალიტაძე, 3. ლაშა ტაბიძე, 4. ბესიკი გოგოლაძე, 5. მიხეილ ბაბუნაშვილი, 6. ლაშა საჯაია, 7. თორნიკე ზოიძე, 8. ბექა გორგაძე.

16. ლუკა გოგინავა, 17. შაქრო ლომსიანიძე, 18. გიორგი ჯავახია, 19. გიორგი ხუროშვილი, 20. ლაშა მამუჩარაშვილი, 21. ბექა ნონიაშვილი, 22. თორნიკე ხურცილავა, 23. თორნიკე მანაგაძე.

**ევროპის ჩემპიონატი**

საქართველო-ირლანდია, ინგლისი-პორტუგალია, შოტლანდია-უელსი, საფრანგეთი-იტალია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



პაკიაო და ბრედლი გუშინ, მზერის დუელში

# 12 აპრილს, ლას ვეგასში...

შაბათს, გვიან ღამით ლას ვეგასში გაიმართება ორთაბრძოლა 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონს **ტიმოტი ბრედლისა** და **მენი პაკიაოს** შორის. 2012 წლის ივნისში ამერიკელმა ერთხელ უკვე დაამარცხა ფილიპინელი, მაგრამ ის ბრძოლა იმდენად სკანდალური გამოვიდა, რომ ახლა რევანში უფრო ბრედლის სჭირდება. მაგრამ მენისთვისაც ეს ბრძოლა - ერთ-ერთი მთავარია კარიერაში.

ორი წლის წინ, პაკიაოსა და ბრედლის 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ ქულების გამოცხადება როცა დაიწყეს, პირველად დასახელდა ანგარიში - 115:113 ფილიპინელის სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მსაჯმა მენის შვიდ რაუნდში მისცა მოგება და ტიმოტის - ხუთში. ესეც ბევრი იყო ამერიკელისთვის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გამარჯვებულად ფილიპინელი გამოცხადდა. კიდევ ორმა მსაჯმაც ასევე 115:113 დაწერა, მაგრამ უკვე ბრედლის სასარგებლოდ. ამერიკელი 66.7-კილოგრამამდე კატეგორიაში WBO-ის ჩემპიონად გამოცხადდა. ეს დიდი სკანდალი იყო.

*„ტიმოტი ბრედლიმ მსაჯების არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია მენი პაკიაოზე - მხოლოდ ღმერთმა უწყის, როგორ შეძლო ეს“*, - შეაფასა მომხდარი ტელეარხ HBO-ის კომენტატორმა. პაკიაომ ინტერვიუში გამოაცხადა, რომ აბსოლუტურად დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. ბრედლიმ კი, რომელსაც მთელი დარბაზი უსტვენდა, განმეორებითი ბრძოლის გამართვა შესთავაზა.

მაშინ პაკიაოს რევანში არ სჭირდებოდა. მსაჯების ვერსიით წაგებულ ბრძოლაში ის თითქმის ყველა რაუნდში უკეთესი იყო და ეს ყველამ დაინახა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ფილიპინელის უპირატესობა ბრძოლის პირველ ნაწილში: ის ბევრს ურტყამდა, მრავალფეროვანი შეტევები ჰქონდა, ხშირად ახვედრებდა მიზანში, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მარცხნიდან მისი ზუსტი დარტყმები, რის გამოც ბრედლიმ ორჯერ კინაღამ წონასწორობა დაკარგა. რაღაც მომენტში პაკიაომ რინგთან ახლოს მსხდომ თავის ნაცნობებსაც გაუღიმა. მართალია, ბრძოლის ბოლოს ბრედლი მოშინაურდა და დარტყმებიც ჰქონდა, მაგრამ ბრძოლის შედეგზე ეჭვი არავის გასჩენია. გამონაკლისი მხოლოდ ორი მსაჯი იყო.

## მარკესისა და რიოსის შემდეგ

წაგება პაკიაომ ღირსეულად მიიღო - *„კრივში ყველაფერი ხდება“*, - თქვა მან. და დაიწყო მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესთან** მეოთხე ბრძოლისთვის მზადება. წინა სამი შეხვედრის ანგარიში იყო - 2.5:0.5 ფილიპინელის სასარგებლოდ. პირველი ბრძოლა ფრედ დასრულდა, შემდეგ კი ორჯერ მინიმალური უპირატესობით მენიმ მოიგო.

მარკესი გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ სამივე შემთხვევაში გამარჯვება მას ეკუთვნოდა. მეორე და მესამე ბრძოლების დროს ის საზოგადოების წინაშე მაისურზე საინტერესო წარწერით მივიდა: *„მე ორჯერ დავამარცხე პაკიაო“*.

მეოთხე ბრძოლაში მარკესმა, როგორც იქნა, მოიგო - მეექვსე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე. ეს წაგება მენისთვის სერიოზული დარტყმა იყო. ნოკაუტის სიმძიმიდან გამომდინარე, გამორიცხული არ იყო ფილიპინელის მხრიდან კარიერის დასრულება.

ყველასთვის საბედნიეროდ, პაკიაო დაბრუნდა. გასული წლის ნოემბერში, მაკაოში მან დამაჯერებლად დაამარცხა ძალიან ძლიერი ამერიკელი **ბრენდონ რიოსი**. მენი სწრაფი და ზუსტი იყო, კარგად იცილებდა დარტყმებს. ფილიპინელის გულშემატკივრებს მხოლოდ ის არ მოეწონათ, რომ მენის არ ჰქონია ნოკაუტის სერიოზული მცდელობა, ბოლო რაუნდში კი საერთოდ შეწყვიტა ჩხუბი. პაკიაოს ბოლო ნოკაუტი 2009 წლის ნოემბრით თარიღდება, როცა **მიგელ კოტოს** მოუგო ვადაზე ადრე.

## პროვოდნიკოვისა და მარკესის შემდეგ

სანამ პაკიაომ მარკესთან წააგო და რიოსი დაამარცხა, ბრედლიმ ამ დროის განმავლობაში ორი ბრძოლა მოიგო, რითაც თანამედროვე კრივის ელიტაში შევიდა. 2013 წლის მარტში მან დაამარცხა რუსი **რუსლან პროვოდნიკოვი** და ის შეხვედრა ჟურნალმა „რინგმა“ წლის ბრძოლად გამოაცხადა. რაუნდების დიდი ნაწილი ამერიკელი უგებდა რუსს სისწრაფისა და ტექნიკის ხარჯზე, მაგრამ პროვოდნიკოვი აგრძელებდა პრესინგს და ბევრ დარტყმას ასრულებდა. მე-12 რაუნდში ბრედლი ნოკდაუნში ჩავარდა, მაგრამ შეძლო წამოდგომა და ქულებით მოიგო.

ასეთი რთული გამარჯვებების შემდეგ, მოკრივეები ცდილობენ მომდევნო ბრძოლისთვის შედარებით იოლი მეტოქე აირჩიონ, მაგრამ ბრედლი ასე არ მოიქცა. მან ხუან მანუელ მარკესთან შეხვედრა არჩია, აჯობა მას ტექნიკასა და სისწრაფეში, ბოლოს კი მეტოქის მიერ შეთავაზებულ აგრესიულ სტილს აჰყვა და კინაღამ ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე. საბოლოოდ, ტიმოტიმ დამსახურებულად მოიგო ქულებით.

## ბევრი სიტყვა დიდი ბრძოლის წინ

საერთო ჯამში, ბრედლისა და პაკიაოს პირველი ბრძოლიდან თითქმის ორი წლის თავზე ძალთა თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. როცა ისევ ჩამოვარდა ლაპარაკი რევანშზე, ფილიპინელმა უარი აღარ თქვა და მხარეებმა ძალიან სწრაფად მოილაპარაკეს. ბრძოლის რეკლამაც კარგი გამოვიდა: ბევრი რამ იყო სანახავი და მოსასმენი.

ოფიციალური პრესკონფერენციების გარდა, მეტოქეები ერთმანეთს HBO-ის არხზე პროგრამა Face Off-ში შეხვდნენ. ბრედლიმ ურცხვად განაცხადა, რომ პირველ ბრძოლაში 12-დან რვა რაუნდი მოუგო პაკიაოს, შემდეგ კი მენის დარწმუნებას მიჰყო ხელი იმაში, რომ მისი მეტოქის დრო გავიდა, ამიტომაც ფილიპინელს აღარ აქვს მკვლელის ინსტინქტი და „ვეფხვის გამოხედვა“. საბოლოოდ, მომავალი მოწინააღმდეგეები შეთანხმდნენ, რომ ყველაფერი რინგზე გაირკვევა.

ასეთი სერიოზული საუბრის შემდეგ, მენი **ჯიმი კიმელის** ტელეშოუზე მივიდა სტუმრად, სადაც მას ისევ მოუწია ბრედლისთან ბრძოლაში საკუთარ გეგმებზე საუბარმა. პაკიაომ დაარწმუნა ყველა, რომ ინსტინქტების მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს და „ვეფხვის მზერაც“ უჩვენა მაყურებელს. მენი დაჰპირდა გულშემატკივრებს, რომ 12 აპრილს ბევრს დაარტყამს და აგრესიული იქნება.

ორივე მხრიდან ბევრი იყო ინტერვიუები და განცხადებები. ბრედლი არ მალავდა, რომ ძალიან გაბრაზებულია გულშემატკივრებსა და ექსპერტებზე, რომლებიც არ აღიარებენ პირველ ბრძოლაში მის გამარჯვებას. ამერიკელსა და მის გუნდს კარგად ესმით, რომ მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლის შემთხვევაში, ამჯერად, გამარჯვებულად არა მას, არამედ ფილიპინელს გამოაცხადებენ. ბრედლი ხშირად იმეორებს, რომ ეცდება პაკიაოს ნოკაუტში გაგზავნას, მაგრამ შეძლებს თუ არა ამის გაკეთებას, ძნელი სათქმელია. მას არ გააჩნია ძალიან ძლიერი დარტყმა და მენიც დაცვაში იშვიათად უშვებს შეცდომებს.

მეტოქის ნოკაუტში გაგზავნის სურვილს არ მალავს პაკიაოც, მაგრამ ეს არ არის მისი მთავარი ამოცანა. მიუხედავად ამისა, ბრძოლის ვადაზე ადრე დასრულების უფრო დიდი შანსი სწორედ მას აქვთ. ხოლო თუ ბრძოლა 12 რაუნდი გაგრძელდება, ყველანაირი ვარიანტია მოსალოდნელი. მთავარია, რომ ამჯერად, მსაჯების გადაწყვეტილება იყოს ადეკვატური იმასთან, რაც რინგზე მოხდება.

ფორმულა 1

# BMW ისევ დიდ ცირკში?

ამ საუკუნის დასაწყისში გერმანული კონცერნი BMW ბრიტანულ საჯინიბო „უილიამსს“ ძრავებით ამარაგებდა, 2005 წელს კი მან გუნდი „ზაუბერი“ შეიძინა, რომელთანაც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე თანამშრომლობდა. ოთხი წლის შემდეგ, კომპანიამ დაიწყო ფორმულა 1-ში დაბრუნების შესაძლებლობათა გაანალიზება. წარსულში ფორმულა 1-ის გუნდის „მინარდის“ (ამჟამინდელი „ტორო როსო“) დამაარსებლისა და ხელმძღვანელის **ჯანკარლო მინარდის** ინფორმაციით, BMW 2015 წლიდან გუნდებისთვის ძრავების მიწოდებას გეგმავს.

*„ფორმულა 1-ის რეგლამენტში კარდინალურმა ცვლილებებმა ძრავების მწარმოებელი ბევრი კომპანიის დაინტერესება გამოიწვია, თანაც არ აქვს მნიშვნელობა - გამოდიან თუ არა ისინი „დიდ ცირკში“.*

*გერმანული წყაროების ინფორმაციით, მაისში გაიმართება BMW-ს დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილავენ კონცერნის ჩემპიონატში დაბრუნების შესაძლებლობას, ოღონდ ძრავების მიმწოდებლის რანგში. ამ პროექტის პრომოუტერია სტივენ ალტაუსი - BMW-ს მთავარი ბრენდმენეჯერი და მარკეტინგული სამსახურის ხელმძღვანელი. გერმანული ავტოკონცერნის ინტერესი დადასტურებულია იმით, რომ წინასასეზონო ტესტებისა და ჩემპიონატის პირველი რბოლების დროს, ტრასაზე კომპანიის ინჟინრები იმყოფებოდნენ და მნიშვნელოვან ინფორმაციას აგროვებდნენ.*

*ამ გერმანული ავტომწარმოებლის გამოჩენა შეიძლება ერთგვარი შვება გახდეს ფორმულა 1-ისთვის როგორც ტექნიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით და დაეხმარება გუნდებს, რომლებიც ამ სეზონში ბევრ სირთულეს წააწყდნენ. გარდა ამისა, BMW-ს დონის კომპანიის დაბრუნება იმის დამადასტურებელი იქნება, რომ ფორმულა 1-მა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა ტურბოძრავებზე გადავიდა“*, - ამბობს მინარდი.




ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ვაშინგტონი ჩარჩა, კოლამბუსი გავიდა

რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ, პლეი ოფის ყველა მონაწილე გაირკვა აღმოსავლეთ კონფერენციაში. გუშინ, „კოლამბუსმა“ სტუმრად 3:1 დაამარცხა „დალასი“, რითაც თავისი არსებობის ისტორიაში მეორედ და ბოლო ხუთ წელიწადში პირველად მოხვდა სტენლის თასზე.

„კოლამბუსის“ პლეი ოფში გასვლა იმას ნიშნავს, რომ „ვაშინგტონი“ წელს ვერ იბრძოლებს სტენლის თასისთვის. დედაქალაქური კლუბი 2007 წლის შემდეგ პირველად ვერ მოხვდა პლეი ოფში.

გუშინვე, „დეტროიტმა“ ბულიტების სერიაში წააგო „პიტსბურგთან“, თუმცა ამ მატჩში აღებული ერთი ქულა „რედ უინგზს“ ეყო პლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად.

**ჩიკაგო-მონრეალი 3:2 (ო)**

**0:0, 0:0, 2:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 ვაიზი-6 (გორგესი-13, რენე ბურკი-7), 1:1 მორინი-4 (ბრუკბანკი-5), 1:2 ბუიონი-2 (ვანეკი-41, დეშარნე-36), 2:2 მარიან ჰოსა-29 (შარპი-44, ჰანზუში-12), 3:2 შარპი-34 (კიტი-55, მარიან ჰოსა-30).

**პიტსბურგი-დეტროიტი 4:3 (ბ)**

**0:1, 2:1, 1:1, 0:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 იურკო-8 (ალფრედსონი-31, ჰელმი-8), 1:1 ჯ. ნილი-25 (კროსბი-67, პ. მარტინი-11), 1:2 კინდლი-2 (ტატარი-18, ნიკუისტი-20), 2:2 ჯ. ნილი-26 (ნისკანენი-34, პ. მარტინი-12), 3:2 ი. იოკინენი-19 (ლეტანგი-9, ნისკანენი-35), 3:3 შიჰენი-7 (კრონვალი-41).

**ბულიტები გაიტანეს:** ი. იოკინენი (პიტსბურგი).

**კალგარი-ლოს ანჯელესი 4:3 (ბ)**

**1:0, 2:2, 0:1, 0:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 გალიარდი-4 (კამალერი-19, ჰუდლერი-36), 2:0 მონეჰანი-21 (გალიარდი-13), 3:0 სტაიანი-14 (აგოსტინო-1), 3:1 სტოლი-8 (ვოინოვი-27, პირსონი-4), 3:2 კოპიტარი-26 (გაბორიკი-17, ვოინოვი-28), 3:3 კინგი-15 (მუზინი-19).

**ბულიტები გაიტანეს:** გაბორიკი (ლოს ანჯელესი), ჰუდლერი (კალგარი), მონეჰანი (კალგარი).

**ანაჰაიმი-სან ხოსე 5:2**

**1:1, 3:1, 1:0**

**გოლები:** 0:1 დემერსი-5 (პაველსკი-38), 1:1 პერი-43 (ბელესკი-15, ბოშემენი-12), 2:1 მარუნი-9 (სელიანე-17, მ. პერო-24), 2:2 კუტური-22, 3:2 მარუნი-10 (სელიანე-18, ლინდჰოლმი-23), 4:2 ბელესკი-8 (პერი-39, გეტცლაფი-56), 5:2 სილფერბერგი-10 (კოლიანო-20).

**დალასი-კოლამბუსი 1:3**

**0:2, 0:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 ანისიმოვი-22, 0:2 ლეტესტუ-11 (იოჰანსენი-28, სავარი-10), 1:2 დელეი-8 (ჯეიმი ბენი-43, სეგუინი-47), 1:3 ჰორტონი-5 (კალვერტი-14, ვისნიევსკი-43).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




დეტროიტი პლეი ოფშია

ველოსპორტი

# ლენსმა ყველა ჩაუშვა

ყოფილმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** განაცხადა, რომ **იოჰან ბრიუნელმა**, რომელიც ველოსაჯინიბო US Postal-ში სპორტულ დირექტორად მუშაობდა, კარგად იცოდა, რომ მისი გუნდის ლიდერი დოპინგს იყენებდა.

ეს ინფორმაცია არმსტრონგმა იმ საქმეზე ჩვენების მიცემისას გაამხილა, რომელიც მის წინააღმდეგ Acceptance Insurance Company-მ დაიწყო. ლენსის მიერ დასახელებულ პირებს შორის აღმოჩნდა ბრიუნელიც, რომელიც US


ლენს არმსტრონგი

Postal-ს მაშინ ხელმძღვანელობდა, როცა არმსტრონგმა შვიდჯერ მოიგო ტურ დე ფრანსი.

პროფესიულ ველოსპორტში ბრიუნელის ბოლო გუნდი იყო - RadioShack. მან ეს საჯინიბო ორი დღის შემდეგ დატოვა, როცა აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტომ არმსტრონგის საქმის ანგარიში გამოაქვეყნა და ბრიუნელი აკრძალული პრეპარატების უკანონო ბრუნვაში დაადანაშაულა. თუმცა ცნობილმა სპეციალისტმა დღემდე არ აღიარა საკუთარი დანაშაული. გაზეთ USA Today-ის ინფორმაციით, ბრიუნელმა იცოდა, რომ არმსტრონგი დოპინგს იყენებდა და საერთოდაც, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ სკანდალურ ისტორიაში.

ასევე ლენს არმსტრონგმა გამოძიების მსვლელობისას ჩვენება მისცა მწვრთნელ **პეპე მარტის**, ექიმების - **ლუის დელ მორალისა** და **მიკელე ფერარის**, მასაჟისტისა და ორი მექანიკოსის წინააღმდეგ, რომლებმაც იცოდნენ რაც ხდებოდა გუნდში და ეხმარებოდნენ არმსტრონგს დოპინგის მიღებაში.

არმსტრონგის ინფორმაციის თანახმად, ამ ისტორიის შესახებ იცოდა **ტომას ვიზელმა**, რომელიც აფინანსებდა US Postal-ის თანადამაარსებელ Tailwind Sports-ს, აგრეთვე გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **მარკ გორსკიმ** და მწვრთნელმა **კრის კარმაიკლმა**.

მძლეოსნობა

# ასაფასაც 18 თვე მისცეს

მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი 100 მეტრზე სირბილში, იამაიკელი სპრინტერი **ასაფა პაუელი** ქვეყნის ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ 18-თვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. მიზეზი აკრძალული პრეპარატების გამოყენებაა.

31 წლის მორბენლის დოპინგ-სინჯმა, რომელიც გასულ წელს აიღეს, დადებითი შედეგი აჩვენა სტიმულატორ ოქსილოფრინზე. ამ გარემოებამ აიძულა იამაიკის ანტისადოპინგო სააგენტო დაწვრილებით გამოეძია ეს საქმე. საბოლოოდ, პაუელს ბრალი დაუმტკიცეს და სანქციები ასეთია: დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა 2013 წლის 21 ივნისიდან იწყება და სპორტსმენს 20 დეკემბრიდან შეეძლება სარბენ ბილიკზე დაბრუნება.

შეგახსენებთ, რომ ერთი დღით ადრე, ასევე 18-თვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო პაუელის თანამემამულე **შერონ სიმპსონმა**. ორივე იძულებული იყო გამოეტოვებინა გასულ წელს, მოსკოვში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი.

პაუელი, რომელსაც მოგებული აქვს პეკინის ოლიმპიადა 4x100 მეტრზე ესტაფეტაში, 100 მეტრზე მსოფლიოს რეკორდს 2005-08 წლებში ფლობდა.

ამბები

ფორმულა 1

## გუნდები აქციონერები გახდებიან?

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** აღნიშნა, რომ პელოტონის რამდენიმე გუნდი „დიდი პრიზების" აქციათა შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. მისი სიტყვებით, ასეთი ლაპარაკი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ მოთმინებაა საჭირო იმის გასარკვევად - როგორ განვითარდება მომავალში სიტუაცია.

*„უნდა მოვიცადოთ და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, - ამბობს ბრიტანულ პრესაში ექლსტოუნი. - შესაძლოა, გუნდებს აღმოაჩნდეთ საკმარისი ფინანსური რესურსი ფორმულა 1-ის აქციების შესაძენად. ასეთი საუბარი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ მხოლოდ საუბრად რჩებოდა".*

## კუბიცა დიდ ცირკს არ გამორიცხავს

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **რობერტ კუბიცამ** აღნიშნა, რომ 2011 წლის თებერვალში მომხდარი ავარიის შემდეგ, მისი ცხოვრება საკმაოდ შეზღუდული გახდა. მან აგრეთვე არ გამორიცხა „დიდ ცირკში" დაბრუნება, ოღონდ ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება.

*„იმ ავარიის შემდეგ, ცხოვრებაში ბევრი რამის გამო შეზღუდული ვარ, - ამბობს კუბიცა, რომელიც ამჟამად კლასიკური რალის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოდის. - ეს გარკვეულ სირთულეებს ქმნის. შესაძლოა, ოდესღაც მე დავბრუნდე ფორმულა 1-ში, მაგრამ არა ახლა. ჯერჯერობით ჩემი ჯანმრთელობა არ იძლევა ამის საშუალებას".*

ჩოგბურთი

## ტონი ნადალი: რაფა იდეალური არ არის

მსოფლიოს პირველი ჩოგანის, **რაფაელ ნადალის** მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** 2014 წლის სტარტზე თავისი შეგირდის გამოსვლა შეაჯამა.

*„სეზონის სტარტს არ შეიძლება იდეალური ეწოდოს, მაგრამ არც ცუდი ყოფილა. ავსტრალიაში რაფამ ვერ შეძლო სრული ძალით ფინალში ბრძოლა, ინდიან უელსსა და მაიამიში კი ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუმცა პრწყინვალე ფორმაში მყოფ ნოვაკ ჯოკოვიჩთან ბრძოლა - ძალიან რთული ამოცანაა", - განაცხადა ტონი ნადალმა.*

*რაფაელის მონოდება სერიოზულად ზარალდება ზურგთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მაგრამ მე მჯერა, რომ უკვე გრუნტისსაფრიან კორტებზე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. ეს საფარი არ ითხოვს აბსოლუტურ შედეგს მონოდებაზე.*

*უიმბლდონზე რაფას ყოველთვის ექმნება პრობლემები. მუხლები ვერ უძლებენ დატვირთვას, როცა დაბალი ბურთების მიღება უწევს. დღეს, ამ მხრივ, სიტუაცია უკეთესია, ხოლო ხუთი ლონდონური ფინალი ამტკიცებს, რომ ბალახის საფარი - ნადალის ძლიური მხარეა", - დაამატა ტონი ნადალმა.*

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი


ლებრონი და კევინი

„მაიამი ჰიტის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** თავისი მოსაზრება გამოთქვა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან აღელვებთ გულშემატკივრებს - ვინ უნდა გახდეს წლევანდელი სეზონის MVP (უძვირფასესი მოთამაშე)?

# ლებრონი: MVP დურანტი უნდა იყოს!

*„კევინ დურანტს ფანტასტიკური სეზონი აქვს. ის სხვებზე მეტად იმსახურებს MVP-ის ტიტულს. კევინი მთელი რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში სტაბილურია და უმაღლესი დონის თამაშს აჩვენებს. დღეს ლიგაში ასე ვერავინ თამაშობს",* - განაცხადა ლიგის ოთხგზის MVP-მ.

შედარებისთვის, გთავაზობთ ამ სეზონში ორივე კალათბურთელის სტატისტიკას: ლებრონ ჯეიმსი საშუალოდ 26.9 ქულას, 6.9 მოხსნასა და 6.5 შედეგიან გადაცემას აგროვებს, დურანტის მონაგარი კი 32.0 ქულას, 7.6 მოხსნასა და 5.6 შედეგიან პასს უდრის.

# ლიდერი ისევ შეიცვალა

რეგულარული ჩემპიონატის დასასრულს, „მაიამი" ისევ დამუხრუჭდა და კვლავ დაკარგა პირველი ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში. ორი დღის წინ, მოქმედი ჩემპიონი „ბრუკლინთან" დამარცხდა და გუშინ, „მემფისთან" მატჩში სცადა სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ ამის გაკეთებამ **უეიდის**, **ჩელმერსისა** და **ანდერსენის** გარეშე მოუწია. ამიტომაც, თამაშის მთელი ტვირთი **ლებრონ ჯეიმსს** დააწვა ზურგზე. და „მეფემ" შეხვედრა 37 ქულით დაასრულა, მაგრამ ამან ვერ უშველა ფლორიდელებს. „გრიზლის" მოტივაცია უფრო სერიოზული აღმოჩნდა - ეს გუნდი დასავლეთში პლეი ოფის ბოლო საგზურისთვის იბრძვის.

მეოთხე მეოთხედის შუაში, **ნიკ კალატესის** მონდომებით „მემფისმა" ტემპი გაზარდა და სირენამდე სამ-ნახევარი წუთით ადრე ათქულიანი უპირატესობა მიიღო. „ჰიტისთვის" ამ ჩამორჩენის გაბათილება შეუძლებელი აღმოჩნდა.

■ ■ ■

პარალელურ მატჩში „ინდიანა" „მილუოკის" ხვდებოდა. და მიუხედავად იმისა, რომ „პეისერსი" და „ბაქსი" ცხრილის სხვადასხვა პოლუსებზე იმყოფებიან, ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოვიდა. თუმცა ამის მიზეზი ის არის, რომ „ინდიანას" მთავარმა მწვრთნელმა **ფრენკ ფოგელმა** მოედანზე არ გაიყვანა სასტარტო ხუთეულის არც ერთი მოთამაშე - **ჯორჯ ჰილი, ლენს სტივენსონი, პოლ ჯორჯი, დევიდ უესტი** და **როი ჰიბერტი**. ასეთი ფორის მიუხედავად, „მილუოკიმ" სეზონში 64-ე მატჩი წააგო.

მატჩის დასასრული დრამატული გამოვიდა. სირენამდე 14 წამით ადრე „პეისერსი" სამი ქულით იგებდა, მაგრამ „ბაქსის" ფორვარდმა **კრის მიდლტონმა** აიძულა **იან მაინმი**, თამაშის წესი დაერღვია შორეული ტყორცნის შესრულების დროს. შედეგად, 4.9 წამით ადრე, ანგარიში გათანაბრდა. მაგრამ" ინდიანას" აღმოაჩნდა საიდუმლო იარაღი **კრის კოუპლენდის** სახით - მან სირენამდე ერთი წამით ადრე ზუსტად ისროლა ორქულიანი და თავის გუნდს მოგება და კონფერენციაში ლიდერობა მოუტანა. კოუპლენდმა ამ მატჩში 18 ქულა დააგროვა, არადა, აქამდე მისი სტატისტიკა 3.4 წუთში 6 ქულას უდრიდა.

ახლა, „ინდიანას" 54 მოგება და 23 წაგება აქვს, „მაიამის" მაჩვენებელი კი 53 მოგებასა და 23 მარცხს შეადგენს.


კრის კოუპლენდი

**მილუოკი-ინდიანა 102:104**

**25:25, 25:28, 17:19, 35:32**

მ: ნაითი (25+10 პასი), სეშენსი (20), მიდლტონი (16), ფაჩულია (15+9 მოხსნა), ედრიანი (13+17 მოხსნა).

ი: სკოლა (24+9 მოხსნა), ტერნერი (23+9 პასი), კოუპლენდი (18), ბატლერი (10).

**მემფისი-მაიამი 107:102**

**31:32, 23:26, 26:22, 27:22**

მემ: კონლი (26), რენდოლფი (25+11 მოხსნა), გასოლი (20+14 მოხსნა), ლი (18).

მაი: ჯეიმსი (37), ლუისი (17), ბოში (13), ჩელმერსი (12).

**კლივლენდი-დეტროიტი 122:100**

**31:18, 38:19, 29:33, 24:30**

კ: უეიტერსი (22+8 პასი), ზელერი (18), ჰოიესი (15), დელავედოვა (14+12 პასი), დენგი (13), ვარეჟაო (11+12 მოხსნა), ტომპსონი (10).

დ: ჯენინგსი (17), ჟერებკო (17), მონრო (15), სტაკი (15), დრამონდი (11+14 მოხსნა).

**ორლანდო-ბრუკლინი 115:111**

**20:22, 35:21, 28:35, 32:33**

ო: აფლალო (25), მური (17), ჰარისი (16), ნელსონი (14), ო'ქუინი (13).

ბ: ჯონსონი (31), ტელეტოვიჩი (17+9 მოხსნა), პლამლი (16), ტორნტონი (13), უილიამსი (11).

**ტორონტო-ფილადელფია 125:114**

**34:28, 34:32, 30:29, 27:25**

ტ: ლოური (29+8 პასი), ვალანჩუნასი (26+12 მოხსნა), დეროზანი (17), პატერსონი (17), როსი (11).

ფ: სიმსი (22), კარტერ-უილიამსი (19+9 მოხსნა+8 პასი), ანდერსონი (17), იანგი (16), როტენი (11), უილიამსი (11).

**ვაშინგტონი-შარლოტი 88:94 (ო)**

**18:32, 23:22, 25:17, 21:16, 1:7**

ვ: გორტატი (27+14 მოხსნა), ბუკერი (16+5 დაფარება), უოლი (14+12 მოხსნა+11 პასი), ნენე (10).

შ: ჯეფერსონი (20+18 მოხსნა), უოკერი (17+12 პასი), ნილი (16), ჰენდერსონი (13), მაკრობერტსი (12).

**ატლანტა-ბოსტონი 105:97**

**32:23, 24:28, 14:26, 35:20**

ა: ტიგი (19+8 პასი), კორვერი (17), მილსეპი (14+14 მოხსნა), ბრენდი (13+13 მოხსნა), კეროლი (13), სკოტი (13).

ბ: ბრედლი (24), რონდო (19+12 პასი), სალინჯერი (15+11 მოხსნა), გრინი (13), ჯონსონი (10).

**მინესოტა-ჩიკაგო 87:102**

**25:26, 28:22, 17:27, 17:27**

მ: ლავი (17+10 მოხსნა), რუბიო (15), ტურიაფი (11).

ჩ: ოგასტინი (21), ჰაინრიხი (16), ნოა (15+13 მოხსნა+10 პასი), დანლივი (15), ბატლერი (14), გიბსონი (13).

**ნ. ორლეანი-ფინიქსი 88:94**

**14:23, 32:24, 18:24, 24:23**

ნ-ო: უიზი (17), მოროუ (14), მილერი (14), ბებიტი (12), რივერსი (10+8 პასი), ევანსი (10).

ფ: გრინი (21), დრაგიჩი (20+9 პასი), ბლედსოუ (16), ტაკერი (15+9 მოხსნა), მორისი (10).

**დენვერი-ჰიუსტონი 123:116**

**30:18, 38:40, 37:30, 18:28**

დ: ფოიე (30+15 პასი), ფარიდი (23+9 მოხსნა), მოზგოვი (22), ფურნიე (14), ბრუქსი (13).

ჰ: ლინი (18), პარსონსი (16), აშიქი (12+12 მოხსნა), დენიელსი (12), ჰემილტონი (11), ჯონსი (11), მოტეიუნასი (11), ჰარდენი (10).

**პორტლენდი-საკრამენტო 100:99**

**27:20, 29:26, 23:25, 21:28**

პ: ოლდრიჯი (22), ლილარდი (19+10 პასი), მეტიუზი (19), ლოპესი (13+9 მოხსნა), ბატუმი (11).

ს: კაზინსი (30+12 მოხსნა), მაკალუმი (23+8 პასი), მაკლემორი (16).

**კლიპერსი-ოკლაჰომა 101:107**

**22:29, 32:30, 19:26, 28:22**

კ: გრიფინი (30+12 მოხსნა), პოლი (25+8 პასი), კოლისონი (12), ჯორდანი (10+12 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (30+11 მოხსნა), დურანტი (27), იბაკა (15+4 დაფარება).

# ლიგამ ოქტომბერი დაგეგმა



ჩრდილოეთ ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ლიგის კლუბები 2014 წლის ოქტომბერში ოთხ ქვეყანაში ხუთ საჩვენებელ შეხვედრას ჩაატარებენ Global Games 2014-ის ეგიდით.

ამ პროგრამაში ჩართულნი იქნებიან „ბრუკლინი", „კლივლენდი", „მაიამი", „საკრამენტო" და „სან ანტონიო". თამაშები ბრაზილიაში, ჩინეთში, გერმანიასა და თურქეთში გაიმართება.

**Global Games 2014-ის განრიგი**

**8 ოქტომბერი.** ბერლინი, გერმანია. ალბა-სან ანტონიო

**11 ოქტომბერი.** სტამბოლი, თურქეთი. ფენერბაჩე-სან ანტონიო

**11 ოქტომბერი.** რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილია. მაიამი-კლივლენდი

**12 ოქტომბერი.** შანხაი, ჩინეთი. საკრამენტო-ბრუკლინი

**15 ოქტომბერი.** პეკინი, თურქეთი. საკრამენტო-ბრუკლინი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# არსებობს თუ არა რასიზმი?


სერენა უილიამსი

ორი დღის წინ ვნერდით იმის შესახებ, რომ იუნიორი ბრიტანელი ჩოგბურთელის **აიზეკ სტოუტის** ოჯახი ქვეყნის საჩოგბურთო ასოციაციას სასამართლოში უჩივის. სტოუტებს მიაჩნიათ, რომ ასოციაცია არ ეხმარება აიზეკს კარიერის განვითარებაში და ამას ჩოგბურთელის კანის ფერის გამო აკეთებს.

ძნელი სათქმელია, რაში მდგომარეობს რეალური მიზეზი იმისა, რომ ბრიტანეთის საჩოგბურთო ასოციაცია სათანადოდ არ ეხმარება სტოუტს. რა თქმა უნდა, მსოფლიოში გარკვეული რასისტული გამოვლინებები არსებობს, მაგრამ ნამდვილად არავინ ფიქრობს იმას, რომ ასოციაციის წევრთა უმრავლესობა გამოუსწორებელი რასისტია, რომლებიც უარს ეუბნებიან შავკანიან ჩოგბურთელს ფინანსურ დახმარებაზე და მას ვარჯიშის საშუალებას არ აძლევენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბრიტანელი ჩოგბურთელი **ჰიზერ უოტსონი**. 2009 წელს, აშშ-ის ღია პირველობაზე იუნიორთა ტურნირის გამარჯვებული ასევე მულატია, მაგრამ არასოდეს დაუჩივლია ეროვნული ასოციაციის მხრიდან ჩაგვრაზე. შესაძლოა, ისააკ სტოუტს ბრიტანეთში არასაკმარისად პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევენ.

ასეა თუ ისე, დღეს შეგვიძლია გავიხსენოთ ჩოგბურთში რასიზმთან დაკავშირებული სხვა შემთხვევები.

## ინდიან უელსი-2001. სერენა უილიამსი

ეს ისტორია ყველაზე ცნობილი და გახმაურებულია XXI საუკუნეში, თუნდაც იმიტომ, მას დღემდე იხსენებენ. მაშინ **ვინუს უილიამსმა** ტრავმის გამო ვერ ითამაში ნახევარფინალი თავის უმცროს დასთან - **სერენა უილიამსთან.** მაყურებელს ეს არ მოეწონა და სერენასა და **კიმ კლაისტერსის** ფინალური მატჩის დროს. უარყოფით განწყობას გამოხატავდა თანამემამულის მიმართ - უსტვენდა, უხაროდა მისი ყველა წარუმატებლობა... უილიამსმა მაინც მოიგო ფინალი სამ პარტიაში, სტვენა კი არ წყდებოდა დაჯილდოვების ცერემონიის დროსაც. უილიამსების მამამ რიჩარდმა განაცხადა, რომ გულშემატკივრები ასევე შეურაცხყოფდნენ მას და ვინუსს რასისტული რეპლიკებით. შედეგი ასეთია: მას შემდეგ, სერენასა და ვინუსს ინდიან უელსში აღარ უთამაშიათ. სხვათა შორის, სერენას ასევე უსტვინეს 2003 წელს, როლან გაროსის ნახევარფინალში **ჟუსტინ ანენის** წინააღმდეგ, მაგრამ იმ ტურნირის ბოიკოტი არ ყოფილა.

## აშშ-ის ღია-2001. ლეიტონ ჰიუიტი და ხაზის მსაჯი

2011 წელი საჩოგბურთო მწვერვალისკენ **ლეიტონ ჰიუიტის** გარღვევით აღინიშნა. სეზონის ბოლოს ის მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა და ამ სტატუსს თითქმის წელიწად-ნახევარი ინარჩუნებდა. ამ პროგრესის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო 20 წლის ავსტრალიელის გამარჯვება აშშ-ის ღია პირველობაზე. ლეიტონი არასოდეს გამოირჩეოდა კორტზე ჯენტლმენური საქციელით, მაგრამ სწორედ იმ წელს, ნიუ იორკში მას თავს გადახდა ინციდენტი, რომელსაც შემდეგ დიდი ხანი განიხილავდა პრესა.

მეორე წრეში, მაშინ ჯერ კიდევ უცნობ 21 წლის **ჯეიმს ბლეიკთან** მატჩში ლეიტონმა პირველი სეტი მოიგო, მაგრამ დათმო მეორე პარტია და აგებდა მესამეში, რაც შესაბამისად აისახა მის განწყობაზე. რაღაც მომენტში ლეიტონს ნერვებმა უმტყუნეს და გეიმებს შორის შესვენებისას, მთავარი არბიტრისგან **ანდრეას ეგლისგან** ხაზის შავკანიანი მსაჯის შეცვლა მოითხოვა, რომელმაც მატჩის მსვლელობისას ავსტრალიელს მოწოდების დროს რამდენჯერმე კორტზე ნაადრევად შესვლა დაუფიქსირა. *„შეხედე ამ მსაჯს და მითხარი, რა აქვს მას საერთო ბლეიკთან?“* - რიტორიკულად იკითხა ჰიუიტმა, რითაც აშკარად მიანიშნა მეტოქისა და ხაზის მსაჯის კანის ფერზე. *„მინდა ის მოაშორონ კორტიდან, რადგან ერთადერთია, ვინც ასეთ შეცდომაზე მიმითითებს და შესაბამისად, ქულებს მართმევს“*. პრესკონფერენციაზე ლეიტონმა უარყო თავის რეპლიკებში რასიზმის გავლენა, მაგრამ ეჭვგარეშეა, მისი რეპუტაცია შეილახა.

## 2012 წლის დეკემბერი. ვოზნიაცკისა და შარაპოვას საჩვენებელი მატჩი

ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ გადააქცევენ ბუზს სპილოდ. საგამოფენო მატჩებში მოთამაშეები მაქსიმალურად ცდილობენ გაართონ პუბლიკა, მათ შორის, სხვა ჩოგბურთელებზე პაროდიებით. **კაროლინ ვოზნიაცკიმ მარია შარაპოვასთან** მატჩში სერენა უილიამსის პაროდირება გადაწყვიტა. პირსახოცების საშუალებით მკერდი და საჯდომი „გაიდიდა“ და შემდეგ ამერიკელს სიარულითაც გააჯავრა. თითქოს ამ უწყინარმა ხუმრობამ სკანდალი გამოიწვია - ბევრმა გაზეთმა სრული სერიოზულობით დაადანაშაულა დანიელი ჩოგბურთელი რასიზმში. ჟურნალისტების აზრით, ასეთი პაროდია ისედაც შეურაცხმყოფელია, ხოლო იმის გამო, რომ ობიექტად არჩეულია შავკანიანი ჩოგბურთელი, გამოდის, რომ კაროლინა რასისტია. არადა, თავად სერენამ USA Today-ში დაიცვა დანიელი. აღნიშნა, რომ ის და ვოზნიაცკი მეგობრები არიან და ამ საქციელში რასისტული არაფერი ყოფილა.

## ყველაზე ცნობილი შავკანიანი ჩოგბურთელები

**სერენა უილიამსი.** მსოფლიოს პირველი ჩოგანი 183 კვირის განმავლობაში. „დიდი სლემის“ ტურნირების 17-გზის ჩემპიონი. ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

**ვინუს უილიამსი.** პირველი ჩოგანი 11 კვირის განმავლობაში. „დიდი სლემის“ ტურნირების 7-გზის ჩემპიონი. ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

**ალთეა გიბსონი.** პირველი შავკანიანი ჩოგბურთელი ისტორიაში. „დიდი სლემის“ ტურნირების 5-გზის ჩემპიონი.

**ზინა გარისონი.** მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგანი. 1990 წლის უიმბლდონის ჩემპიონი. ფედერაციის თასზე აშშ-ის ნაკრების ყოფილი კაპიტანი.

**ჩანდა რუბინი.** მსოფლიოს ყოფილი მეექვსე ჩოგანი. WTA-ის 7 ტიტულის მფლობელი.

**არტურ ეში.** „დიდი სლემის“ ტურნირების 3-გზის ჩემპიონი. მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომერი. მის სახელს ატარებს აშშ-ის ღია პირველობის ცენტრალური კორტი.

**იანიკ ნოა.** მსოფლიოს ყოფილი მესამე ჩოგანი. 23 ტურნირის ჩემპიონი, მათ შორის 1983 წლის როლან გაროსის გამარჯვებული.

**ჯეიმს ბლეიკი.** მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგანი. ATP-ის 9 ტურნირის ჩემპიონი.

**ჟო-ვილფრიდ ცონგა.** მსოფლიოს ყოფილი მეხუთე ჩოგანი. ATP-ის 9 ტურნირის ჩემპიონი. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი (2008).

**მალივეი ვაშინგტონი.** მსოფლიოს ყოფილი მე-11 ჩოგანი. უიმბლდონის ფინალისტი (1996).

# მადრიდში ლიდერი შეიცვლება?


ნოვაკ ჯოკოვიჩი

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ფრანჩესკო რიჩი-ბიტიმ** განაცხადა, რომ **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** დევისის თასზე თამაში **ვიქტორ ტროიცკის** დისკვალიფიკაციის გამო იუარა. სერბ ვარსკვლავს დღემდე მიაჩნია, რომ ტროიცკის ჩამოშორება საერთაშორისო ტურნირებიდან დიდი უსამართლობა იყო.

*„ნოვაკმა გადაწყვიტა, არ გამოვიდეს დევისის თასზე ტროიცკის დისკვალიფიკაციის გამო და ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია იმისთვის, რომ მან ეს გადაიფიქროს“*, - განაცხადა პრეზიდენტმა.

■ ■ ■

ამასობაში, ATP-ის რეიტინგის შემდგენლებმა გამოთვალეს - როდის შეუძლია ნოვაკ ჯოკოვიჩს მსოფლიოს კლასიფიკაციაში **რაფაელ ნადალის** გასწრება.

ამჟამინდელი მდგომარეობით, ესპანელი სერბს 2050 ქულით უსწრებს, მაგრამ უახლოესი რვა კვირის განმავლობაში ნადალს 3 ათასი ქულით მეტის დაცვა უწევს, ვიდრე ჯოკოვიჩს. ნოვაკს თეორიულად რაფას გადასწრების შანსი უკვე მადრიდის მასტერსის შემდეგ ექნება. ეს ტურნირი 5 მაისს დაიწყება.

უახლოესი ტურნირი, რომელშიც ჯოკოვიჩი და ნადალი მიიღებენ მონაწილეობას, მონტე კარლოს მასტერსია - შეჯიბრება ორშაბათს დაიწყება. შარშან, აქ ფინალში სწორედ ნოვაკი და რაფაელი შეხვდნენ ერთმანეთს და სერბმა ორ სეტში მოიგო - 6:2, 7:6, რითაც შეწყვიტა ესპანელის რვაწლიანი ჰეგემონია მონაკოში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

| 1/4 ფინალი. II მატჩები | |
|---|---|
| ბენფიკა-ალკმაარი | 2:0 (1:0) |
| იუვენტუსი-ლიონი | 2:1 (1:0) |
| სევილია-პორტუ | 4:1 (0:1) |
| ვალენსია-ბაზელი | 3:0 დ.დ. 5:0 (0:3) |

**ინგლისი**

| კონფერენსი | |
|---|---|
| დარტფორდი-გრიმსბი | 1:0 |
| უოკინგი-კემბრიჯი | 0:3 |

**დანიის თასი**

| 1/2 ფინალი. II მატჩი | |
|---|---|
| ნორდსილანდი-კოპენჰაგენი | 1:1 (0:1) |

| ბულგარეთი | |
|---|---|
| ლოკომოტივი (ს)-ჩერნომორეცი | 1:1 |
| ცსკა-ბოტევი | 2:0 |

| ლიბერტადორესის თასი | |
|---|---|
| ატ. მინეირო-სამორა | გვ. დასრულდა |
| ნასიონალი-სანტა ფე | გვ. დასრულდა |

| სინგაპური | |
|---|---|
| იანგ ლაიონსი-ნიიგატა | 1:2 |
| ტანიონგი-უორიორსი | 1:1 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-ეფესი | 84:65 |
| ბარსელონა-კახა ლაბორალი | 86:97 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 68:65 |
| ლოკომოტივი-ბაიერნი | 84:75 |
| მაკაბი-ცსკა | 76:81 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ლევი-ლოკომოტივი | 3:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 2:1 (ო) |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სტავანგერი-ვოლერენგა | 4:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| კოშიცე-ნიტრა | 1:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ტრშინეცი-ზლინი | 3:4 (ო) |
| სპარტა-ბრნო | 1:2 (ბ) |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ციურიხი-სერვეტი | 4:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კასაბლანკა | |
|---|---|
| სოუზა-კარბალიესი | 7:6, 6:7, 2:6 |
| კუზნეცოვი-ვესელი | 6:2, 3:1 უარი |
| გარსია ლოპესი-ბერლოკი | 6:2, 7:5 |
| მონტანიესი-პერი | 4:6, 7:5, 4:6 |
| კარენო ბუსტა-ნედოვესოვი | 3:6, 6:1, 7:6 |
| რამოსი-გრანოლერსი | 3:6, 6:7 |

| ATP. ჰიუსტონი | |
|---|---|
| მონაკო-იანგი | 7:6, 4:6, 3:6 |
| ჯონსონი-ვერდასკო | 0:6, 6:4, 3:6 |
| სოკი-ბეკერი | 6:4, 6:3 |
| ლოპესი-გონსალესი | 3:6, 0:2 უარი |

| WTA. ბოგოტა | |
|---|---|
| ოპრანდი-ბეგუ | 6:4, 6:1 |
| იანკოვიჩი-შაფათავა | 6:4, 6:3 |
| გარსია-კოვინიჩი | 2:6, 6:3, 6:4 |
| არუაბარენა-ორმაეჩეა | 6:4, 7:6 |

| WTA. კატოვიცე | |
|---|---|
| კორნე-კუკოვა | 6:3, 4:6, 6:3 |
| ა. რადვანსკა-სკიავონე | 6:4, 6:3 |
| მოისბურგერი-ლუჩიჩი | 6:2, 6:3 |
| რიბარიკოვა-სოლერ ესპინოსა | 6:2, 6:0 |

TV პროგრამა

**11 აპრილი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. იუვენტუსი-ლიონი. საპასუხო მატჩი.
12:00 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. სევილია-პორტო. საპასუხო მატჩი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. დორტმუნდი-ვოლფსბურგი.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტური. ბოკა ხუნიორსი-გოდოი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
19:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVI ტური. პორტო-აკადემიკა.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. შალკე-აინტრახტი (LIVE).
01:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. დორტმუნდი-რეალი. საპასუხო მატჩი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ეშტორილი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XIV ტური. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
14:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰოფენჰაიმი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-საფრანგეთი.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XIV ტური. გალათასარაი-პარტიზანი (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
12:45 სპორტ-NEWS.
13:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
17:35 სპორტ-NEWS.
18:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
23:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 20 | (მზე) |
| ქუთაისი | 10 | 24 | (მზე) |
| ბათუმი | 12 | 25 | (მზე) |
| ფოთი | 11 | 23 | (მზე) |
| ზუგდიდი | 7 | 22 | (მზე) |
| გორი | 0 | 22 | (მზე) |
| თელავი | 4 | 20 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 4 | 19 | (მზე) |
| გუდაური | -4 | 10 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -2 | 14 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | -1 | 19 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 5 | 16 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4273 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7499 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.9374 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9212 |

ბიატლონი


ტარიე ბოე

# ლოთობა ისჯება

ცნობილი ნორვეგიელი ბიატლონისტები - **იოჰანეს ბოე, ტარიე ბოე** და **ემილ-ჰეგლე სვენდსენი** პრემიების გარეშე დარჩნენ და 16 ათასი დოლარით დაჯარიმდნენ სლოვენიის ქალაქ პოკლიუკაში მსოფლიოს თასის ეტაპის მსვლელობისას ლოთობის გამო.

ნორვეგიის ნაკრების სპორტულმა დირექტორმა **პერ-არნე ბოტნანმა** ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, რომ ბიატლონისტებმა 6 მარტს სასტუმრო მიატოვეს და ერთ-ერთ ბარში სმა დაიწყეს. საბოლოოდ, მთვრალმა ტრიომ ჯერ ტბაში იბანავა, შემდეგ კი მეტოქე გუნდის ავტომობილებზე საბურავები დააზიანა.

მომხდარის შემდეგ, ნორვეგიის ბიატლონის ასოციაცია აპირებს სპორტსმენების კონტრაქტებში შეიტანოს პუნქტი, რომლის მიხედვითაც მკაცრად რეგლამენტირებული იქნება მათი საქციელი ტურნირების პერიოდში.

25 წლის ტარიე ბოე ვანკუვერი ოლიმპიადის ჩემპიონია, აგრეთვე ხუთჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი, 28 წლის სვენდსენი ოთხგზის ოლიმპიური და მსოფლიოს 11-გზის ჩემპიონია, 20 წის იოჰანეს ბოეს კი ხუთი გამარჯვება აქვს მსოფლიოს თასის ეტაპებზე.

ელ-ფოსტა ან ძიებილ... პაროლი
ვაჟა სიმონიშვილი ●●●●●●●●●●● ავტორიზაცია
დამიმახსოვრეთ დაგავიწყდათ პაროლი?
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასინეთა



Nesulauké savo numylėtinių Tbilisio „Dinamo" futbolininkų ir šie vaikinukai. Valdo MALINAUSKO nuotr.

ოთხშაბათს 9 აპრილი იყო, მწარე დღე, რომელმაც მსოფლიოს ისტორიაში ბოლო იმპერიის დაშლა დააჩქარა. ამ თემას პოლიტიკური გაზეთები სათანადოდ გამოეხმაურნენ, ჩვენ კი მხოლოდ ერთ ფოტოს შემოგთავაზებთ, რომელიც 1989 წლის 15 აპრილის ლიტვურ გაზეთში დაიბეჭდა რუბრიკით „ფოტოფაქტი".

სურათზე ალბეჭდილია „ჟალგირისი"-"დინამოს" ვილნიუსური მატჩის შემდგომი ამბავი: სამმა ლიტველმა ჭაბუკმა თბილისის „დინამოს" დროშასთან ჩაიმუხლა, რითაც თანაგრძნობა გამოხატა საქართველოში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის გამო.

ამ ამბავმა 2011 წელს ქალაქ კლაიპედაში ახალგაზრდა ლიტველის მონათხრობი გამახსენა: 2008 წელს საქართველოში რუსეთი რომ შემოიჭრა, მთელი ლიტვა ქართველების გვერდში იდგა, მე და ყველა ჩემს ნაცნობს საქართველოს დროშიანი სამკერდე ნიშნები გვეკეთაო.

ლიტვა და საქართველო „დიდი" რუსეთის მოსაზღვრე თითქმის თანაბარი ფართობისა და თანაბარი რაოდენობის მოსახლეობის ქვეყნებია და რა გასაკვირია, რომ ორივეს ერთნაირად აწუხებს დიდი ზომის მეზობელი. არც პოლიტიკაა სპორტული მიმომხილველის საქმე, მაგრამ მაინც მაინტერესებს: რატომ არ შეიძლება საქართველომ, უკრაინამ, ლიტვამ, პოლონეთმა და კიდევ მსგავსმა მეგობრულად განწყობილმა ქვეყნებმა ჩამოაყალიბონ კავშირი, რომლის მიზანიც გაჭირვების დროს ერთად დგომა იქნება?!

### ჯაბა, ჯანო, შოთები

გლობალური პოლიტპრობლემიდან საქართველოში გადმოვინაცვლოთ. ამას წინათ „ფეისბუკ-მეგობარმა" გამიზიარა ამონაჭერი გაზეთიდან... რა გაზეთი იყო, მხოლოდ პატარა ფრაგმენტის მიხედვით ძნელი განსასაზღვრია, თუმცა მთავარი არა დასახელება, არამედ შინაარსია. აი რა წერია:

„13 მაისს ღამით საჩხერის რაიონული საავადმყოფოს სამეანო განყოფილებაში დაიბადა 6 ვაჟი, რომელთა შორის ერთი ტყუპია. დიუსელდორფში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში თბილისის „დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად ახალშობილებს დაერქვათ: დავითი, ალექსანდრე, რამაზი, ოთარი, ვლადიმერი და ვიტალი.

ამავე ღამეს დაიბადა ერთი გოგონა, რომელსაც ჩვენი „დინამოს" დიდი ქომაგის, ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის პატივსაცემად ნონა დაარქვეს.

ტელეფონოგრამა გადმოგვცა საჩხერის რაიონულ გაზეთ „ახალი ცხოვრების" რედაქტორმა ო. ცარციძემ."

რა კომენტარი შეიძლება მიესადაგოს? ეჰ, ნეტავ ყოველ წელს ვიგებდეთ ევროსარბიელზე და გვყავდეს სულ ჯაბები, ჯანოები, შოთები...



### დახატული დოლარები

გარკვეული შესვენების შემდეგ საკალათბურთო სუპერლიგას მიუბრუნდა პირველი არხი, ორი ტურის წინ დაიგეგმა „სოხუმი"-"ბათუმის" ტელერეპორტაჟი, მაგრამ ბედი არ გინდა?! - მოედანზე გამოსულმა სოხუმელებმა მოიბოდიშეს: რა ვქნათ, სექტემბრიდან უხელფასოდ ვართ და მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, არ ვთამაშობთო. ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა იხუმრა: ეს იყო პირველი შემთხვევა ჩემს კარიერაში, როცა რეპორტაჟი დავიწყე და იქვე დავამთავრეო.

„სოხუმს" ახლაც სჭირდება დახმარება, რეპორტაჟის ამბავი კი ერთმა ფოტომ ამოატივტივა: მექსიკის საფეხბურთო ჩემპიონატში უხელფასობით შეწუხებულმა ფეხბურთელებმა მატჩის წინ თავზე ქაღალდის პარკები ჩამოიმხვეს, ზედ დოლარის ნიშნები დაახატეს და მოედანზე ისე გავიდნენ. დაგვეთანხმებით, პროტესტის გამოხატვის ორიგინალური სახეობაა, თუმცა არ ვფლობთ ინფორმაციას, მატჩი „ჩაფხუტებით" განაგრძეს, მოიხადეს, თუ საერთოდ არ უთამაშიათ.



### ჯაშუში ბოსტონელთა ბანაკში

მექსიკიდან ცოტა ზემოთ, ამერიკაში ავინაცვლოთ, სადაც NBA-ს ვაშინგტონური მატჩისას ფოტოობიექტივმა მეტად საინტერესო ფაქტი დააფიქსირა: „ბოსტონის" კალათბურთელები ფარქვეშ შეიკრიბნენ და „ვაშინგტონის" წინააღმდეგ საიდუმლო ოპერაცია დაგეგმეს. ქართველებისთვის კარგად ნაცნობი „ვაშინგტონის" პოლონელი ცენტრი მარცინ გორტატი ფეხაკრეფით მიიპარა ბოსტონელებთან და ქართული ფილმის გმირივით ყური მიუგდო. ვითომ, იმედი ჰქონდა, რომ მოწინააღმდეგეები 211 სმ სიმაღლის ასინეთას ვერ შენიშნავდნენ?







### კოსტადინოვი

ბოლოს ჩემპიონთა ლიგაზე. მეოთხედფინალიდან გამოვარდნილი ოთხი გუნდიდან მხოლოდ ორი დამენანა - „ბორუსია" და პსჟ. მათ მართლაც ღირსეულად იბრძოლეს, პარიზელებს ნახევარფინალამდე წამები დააკლდათ, დორტმუნდელებს - სანტიმეტრები. მწვრთნელებს, ლორან ბლანსა და იურგენ კლოპს საქმეს ვერ დაუწუნებ და შესაძლოა თანაგრძნობის თვალითაც შეხედო... განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბლანს ლონდონური მატჩის დასრულებისას ემილ კოსტადინოვის მაისურა აუფრიალეს (იხილეთ ფოტო).

ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ 1993 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო შეხვედრაში საფრანგეთი ბულგარეთს მასპინძლობდა. ფრე ფრანგებს აძლევდათ ხელს და მუნდიალი 1994-ის საგზური ჯიბეში დაიგულეს. პირველ ტაიმში ფრანგი კანტონას გოლს ბულგარელმა კოსტადინოვმა უპასუხა და ძირითადი დრო ისე ამოიწურა, ტაბლოზე 1:1 ციმციმებდა. ...თუმცა 90-ე წუთზე ფრანგული ტრაგედიისა და ბულგარული ტრიუმფის მომსწრენი გავხდით: ემილ კოსტადინოვი „სამფეროვნების" საჯარიმოში შეიჭრა და ხარიხიდან ასხლეტით ბურთი ბადეში გაახვია. 1:2 და მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატმა კანტონას, პაპენის, ბლანის, დესაის, დეშამის გარეშე ჩაიარა.

...2014 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში კი მესის, ჩავის, ინიესტას, ნეიმარს ვერ ვიხილავთ. თუმცა ამაზე თავად უნდა ეზრუნათ, „სელტიკოსთან" ამ კვარტეტიდან ერთ-ერთს კინკილა გოლი რომ გაეტანა... ვერა? ჰოდა, ისხდნენ სახლში და ჩვენსავით ტელევიზორში უყურონ ლიგის ფინალს.

### იღბლიანი ჯენტლმენები



ამის შემდეგ უნდა ჰქონდეს ლიონელ მესის ოქროს ბურთის მოგების იმედი? ერთი შანსიღა დარჩა - მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე „მარადონობა".

მართალია, ამ ვითარებას ნაკლებად შეესაბამება, მაგრამ „იღბლიანი ჯენტლმენების" პერსონაჟებთან საფეხბურთო ვარსკვლავების გაიგივება მეტად საინტერესო სანახავია. მონტაჟიც ხარისხიანადაა შესრულებული.

● ქართველი NBA-ში

# ფაჩულია ბავეტას ინდიკატორი?

## ერთი მოხსნა ორმაგ დუბლამდე

რუბრიკა „ტაიმლაინის" გაგრძელებად გამოდგება ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მომხდარი ამბავი. „ინდიანა პეისერსისა" და „მილუოკი ბაქსის" შეხვედრის ერთ ერთ ეპიზოდში **ზაზა ფაჩულია** მოწინააღმდეგესთან შეჯახებისას მოედანზე აღმოჩნდა. თეთრთმიანმა არბიტრმა **დიკ ბავეტამ** ქართველზე წესების დარღვევა დააფიქსირა და სამსაჯო მაგიდისკენ გაემართა. გზად, წაქცეულმა ფაჩულიამ ბავეტას ხელი გაუწოდა, წამომაყენეო, მაგრამ არბიტრმა ისე ჩაუარა, დახმარებაზე არც უფიქრია.

ეს ამბავი ამერიკული გამოცემების ყურადღების ცენტრში მოექცა, „დაიმაგმა" ცალკე პუბლიკაციაც უძღვნა სახელწოდებით - ბავეტა მეტად მოხუცია საიმისოდ, რომ ზაზა ფაჩულიას წამოდგომაში დაეხმაროსო.

■ ■ ■

ახლა უშუალოდ მატჩზე. აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდ „ინდიანასთან" ფაჩულიას „მილუოკიმ" მაღალ დონეზე ითამაშა და გამარჯვებასთანაც ახლოს იყო. საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე მილუოკელმა **კრის მიდლტონმა** მეტოქე აიძულა, წესები დაერღვია და მსაჯს სამი საჯარიმოს ტყორცნის უფლება გამოსტყუა - 102:102. დარჩენილ მცირე დროში „ინდიანას" არგენტინელმა ლეგიონერმა **ლუის სკოლამ** თამაში საკუთარ თავზე აიღო და ზუსტი ორქულიანით სტუმრებს გამარჯვება მოუტანა - 104:102.

გადამწყვეტ მომენტში ზაზა ფაჩულია მოედანზე იყო და თუ პლუს-მინუსებით ვიმსჯელებთ, მატჩში ყველას სჯობდა: იმ მონაკვეთებში, როცა ქართველი ცენტრი მოედანზე იყო, „მილუოკი" +10-ით დაწინაურდა. ასეთი მაღალი მაჩვენებელი არც ერთ კალათბურთელს არ ჰქონია.

ზაზას არც სტატისტიკა ჰქონდა მწირი: 33 წუთი, 15 ქულა (10-დან 6 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 9 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება.

ვაჟა სიმონიშვილი




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608